

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

## არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XIX

2008 წლის 25-28 მარტი

### მასალები

თბილისი  
2008

### მუშაობის გეგმა

25 მარტი, 11 საათი

ლ. ეზუგბაია, შესავალი სიტყვა

1. ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXIII—XXVIII
2. ი. ჩანტლაძე, ჩემი მოძღვართმოდღვარი
3. თ. უთურგაძე, ქვემდებარე-დამატების საკითხები III სერიის ზმნით გამოხატულ შემასმენელთან (აქტივები და მედიოაქტივები)
4. გ. კვარაცხელია, ახალ დისციპლინათა საერთო თეორიული საფუძველი და ურთიერთმიმართება
5. შ. აფრიდონიძე, ფონეტიკური ფაქტორის როლი ტერმინთა შექმნისას
6. გ. ბედოშვილი, სიტყვა „კახამბალის“ შესახებ
7. ლ. სანიკიძე, ბრუნებათა ძირითადი ტიპების შედარებითი ანალიზი ნახურ და დაღესტნურ ენებში
8. მ. სუხიშვილი, პირდაპირი დამატების საკითხი ძველი ქართულის რთულ ზმნებში
9. ნ. მაჭავარიანი, ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში. 2. **ადგდან** // **ადგზდან** „ალი, ფერია“
10. მ. რობაქიძე, „აფხაზი“ და „აფხაზები“ სომხურ წყაროებში
11. ნ. ჯორბენაძე, „აქედან / იქიდან გამომდინარე“ ფორმათა უმართებულო ხმარების გამო ქართულში

**26 მარტი, 11 საათი**

1. გ. გოგოლაშვილი, კიდევ ერთხელ -ია დაბოლოების თაობაზე -ად და -ამ თემისნიშნისა ზმნათა | თურმეობითის ფორმათა შორის
2. ვ. მაღრაძე, რამდენიმე კალკის შესახებ
3. ნ. არდოტელი, გრამატიკული კლასების სისტემა ხუნძური ენის ზედსართავ სახელებში
4. ე. გიუნაშვილი, შედგენილი ზმნების კვლევის საკითხებისათვის ადრე საშუალო სპარსულში
5. ნ. სურმაგა, ხმოვანი ჩანაწერის ტრანსკრიფცია ქართულ დიალექტურ კორპუსში
6. ნ. მუზაშვილი, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისათვის
7. მ. ბერიძე, დ. ნადარაია, დიალექტური ტექსტების კორპუსის პირველადი ანოტირება (პროექტი: საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი)
8. მ. ბუკია, სინონიმებისათვის მეგრულ მესაქონლეობის ლექსიკაში
9. ლ. ბაკურაძე, თვისებისა და რიცხვის ექსპრესიული გამოხატვის შემთხვევები -ობა სუფიქსიან სახელებში
10. ც. ჯანჭღავა, მეგრული **შური** „სული“ დერივატებსა და კომპოზიტებში
11. რ. იოსელიანი, კაუზატივის ფორმების შესახებ სვანურში
12. რ. ლოლუა, კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსის დაზუსტებისათვის

**27 მარტი, 11 საათი**

1. ლ. ნოზაძე, ზოგი ცნების (მნიშვნელობის) დაზუსტებისათვის „ქეგლ“-თან მიმართებით
2. თ. ვაშაკიძე, კოორდინაციის სისტემისათვის თანამედროვე ქართულში
3. ც. ბარბაქაძე, სამყაროს ენობრივი სურათები პოეტურ მეტყველებაში („ვარსკვლავების პოეტიკა“ ანა კალანდაძის პოეზიაში)
4. ლ. ეზუგბაია, თავისებურ ზმნათა კომპიუტერული აღწერისათვის
5. მ. საღელიანი, ქართველური ეტიმოლოგიები
6. მ. ჯღარკავა, **ო—უ** აფიქსები მეგრულსა და ლაზურში
7. ნ. დოლიძე, აჭარულ და გურულ დიალექტთა ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის (ალ. ლლონტის „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი მასალების მიხედვით)
8. ნ. ცეცხლაძე, ფლორონიმები შავშეთის ტოპონიმიში
9. გ. ვანილიში, 100 წლის ლაზი შემოქმედი
10. ნ. ხარჩილაგა, საქორწილო სუფრა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი სამურზაყანოში
11. თ. ტეტელოშვილი, ერთპირიანი ვნებითის ზოგ ფორმათა უმართებულო გამოყენების გამო

28 მარტი, 11 საათი

1. ნ. ქუთელია, ირღვევა თუ არა ფონემათა შეერთების სინტაგმატური კანონზომიერებანი
2. ი. ჩანტლაძე, **ჟურ-/ჟირ-/ჟერ-** ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში
3. თ. გვანცელაძე, აფხაზური ზმნის კიდევ ერთი მორფოლოგიურ-მოდალური კატეგორიის შესახებ (წინასწარი ცნობა)
4. მ. ჩუხუა, საერთოკავკასიური სამეურნეო ყოფა (შენობა-ნაგებობები)
5. ნ. ჭოხონელიძე, **ფუტკ-**, **ფუნკ-** ფუძეთა წარმომავლობისათვის
6. შ. გაბესკირია, მეტყველების აღმნიშვნელი ქართველური ზმნების ზოგი თავისებურების შესახებ
7. რ. შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგი საკითხისათვის
8. ლ. აზმაიფარაშვილი, მახვილთან დაკავშირებული მოვლენები ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში (ყვარლის რ-ნის სოფ. თივის მეტყველების მიხედვით)
9. მ. ჩაჩანიძე, ექსტრალინგვისტური ინფორმაცია ლექსიკონებში
10. გ. გვანცელაძე, **-ურ||-ულ** სუფიქსთა ერთი ფუნქცია ისტორიული საბუთების მიხედვით
11. კ. მითაგვარია, ადამიანის ასაკობრივ დიფერენციაციასთან დაკავშირებული ტერმინები ჩერქეზულ ენებში
12. ქ. მარგინი-სუბარი, მირთვა სვანურში

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

**მახვილთან დაკავშირებული მოვლენები ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში**

(ყვარლის რ-ნის სოფ. თივის მეტყველების მიხედვით)

მახვილის მოქმედებით გამოწვეული ისეთი გავრცელებული ფონეტიკური პროცესების შესახებ, როგორცაა ხმოვანთა ასიმილაცია და რედუქცია, ხუნძური ენის არაერთ მკვლევარს უმსჯელია (შ. მიქაილოვი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ტ. გუდავა, გ. გოგოლაშვილი...).

ხუნძურ დიალექტურ მეტყველებაზე დაკვირვება საყურადღებო ფაქტებს წარმოგვიჩინს. როგორც ჩანს, მახვილის მოქმედება ამჟამადაც უწყობს ხელს გარკვეული ფონეტიკური პროცესების წარმოქმნასა და მიმდინარეობას. მახვილთან დაკავშირებულ ფონეტიკურ მოვლენათა ერთი წყება ახალი ჩასახულია და მათ განვითარებაზე დაკვირვება სინქრონიულ ჭრილშიც არის შესაძლებელი.

წარმოვადგენ ზოგიერთ ფაქტს, რომელიც შეინიშნება კახეთში მოსახლე ანწუხელი ხუნძების ცოცხალ მეტყველებაში. განიხილება, კერძოდ, ანწუხური დიალექტის ტონურ-ჰადაქოლოურ კილოკავთა მონაცემები. სხვა დიალექტთა და კილოკავ-თქმათა ვითარება ამ მხრივ შესასწავლია.

სოფ. თივის მეტყველებაში გვხვდება ზმნისართი **ცავენ** „წინ“. აქ რედუქციას გამოწვეული მახვილიანი **ე**-ს მიერ; შდრ. ჩრდ. ხუნძ. **ცავენ** (I კლ.), **ცაენ** (II კლ.), **ცაებ** (III კლ.), **ცაერ** (მრ. რ.) „წინ“ (ანწუხურ ზმნისართში **-ხ** ბოლოსართი მიმართულების გამომხატველი ფორმანტია: **ცაენ-ხ**). საყურადღებოა, რომ ჩრდილოური ხუნძურის ზმნისართისაგან განსხვავებით ანწუხური **ცავენ** არ განარჩევს ხოლმე კლასებს. განვიხილოთ, მაგალითად, ერთი ასეთი წინადადება: სო ღედუ ცავენ კანწონ ვა ცავენ გი ტონ სარალ ბერ ბავზი ბატამოლა „ერთი ყვავი წინ გამოხტა და წინაც წავიდა, რა მელიის თვალის ამოთხრა მონილომა“. სიტყვა ღედუ („ყვავი“) III კლასს (ნივთისას) განეკუთვნება, ამიტომ მოსალოდნელი იყო **გ**-ს ნაცვლად ზმნისართში **ბ** ნიშანი ყოფილიყო წარმოდგენილი. შეიძლება გაჩნდეს

შთაბეჭდილება, რომ **ცავენ** ზმინისართში გაქვავებულია I კლასის (მა- მაკაცის) **გ** აფიქსი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მოვლენას ფონეტიკურ ნიდაგზე მოეძებნება უფრო მართებული ახსნა: ამოსავლად ამ შემთხვევაში გვექნებოდა III კლასის **ბ** ნიშნიანი ფორმა **ცებქნ**, ხოლო მახვილიანი **ე** ხმოვნის მიერ ფუძის შეკუმშვის შედეგად უნდა გაჩენილიყო არაბუნებრივი ბგერათკომპლექსი **ცაბ** სიტყვის თავკიდურში (ცაბეხ ← ცებქნ). ამის გამო მოხდა ბაგისმიერი **ბ**-ს შეცვლა ასევე ბაგისმიერი **გ** ბგერით: **ცაბ** → **ცავ**; ბგერათკომპლექსთა ასეთი ტიპი (თანხმოვანი + **გ**) კი სავსებით ჩვეულებრივია ხუნძურის ფონოტაქტიკისათვის და იგი ფართოდაა გავრცელებული სიტყვათა ანლატში.

თივის ანწუხურ მეტყველებაში უმახვილო ხმოვნებს შეემჩნევა დასუსტების ტენდენცია. ასეთი ხმოვანი ადვილად განიცდის ხოლმე ცვლილებას, მაგ., სიტყვაში **ბაბა** („დედა“) უმახვილო **ა**-ს არტიკულაცია შესუსტებულია და ორ ბაგისმიერ თანხმოვანს შორის მოქცეული იგი თვითონაც ბაგისმიერი ხდება, ანუ **უ** ხმოვნად გარდაიქმნება: **ბუბა**. აღსანიშნავია, რომ ორივე ფონეტიკური ვარიანტი ამ სიტყვისა თავისუფლად შეიძლება თანაარსებობდეს ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც.

სიტყვების თავკიდურ მარცვალში უმახვილო ხმოვანთა არტიკულაციის შესუსტება განსაკუთრებით საგრძნობია იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ხმოვანი მახვილიანის იდენტურია, ანდა მახვილიანთან შედარებით უფრო მაღალი აწეულობისაა, ვთქვათ, მაგ., სიტყვებში **დაბა** „იქ“, **სადავ** „ერთად“, **სარაჯან** „ლამით“, **მეთერ** „ხვალ“, **რეტელ** „ტანისამოსი“, **სუკუმ** „საპონი“, **ვიჟან** „ბავშვი“, **ჰიჟე** „ახლა“. ასევე ანთროპონიმებშიც: **სიქინთ**, **ბიტინთ** (ქალის საკუთარი სახელებია) და სხვ. სიტყვების სხარტად წარმოთქმისას უმახვილო ხმოვნები თითქოს არც ისმის: დბა, სდავ, სრაჯან, მთერ, რტელ, სკუმ, ჯჟან, ჰჰე, სქინთ, ბტინთ... ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ზმინის ანალიზურ ფორმებშიც, მაგ., მეშველზმინიანი **რეჟრთუ ვონა** („თანახმა ვარ“) გაბმულ მეტყველებაში მოისმის ასე: რჟრთუნ...

აქ შეიძლება გავახსენდეს ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენა ქართულში: ძმა ← ძამა, ძლიერ ← ძალ-რერ და სხვ. როგორც გარკვეულია, ხმოვნის ამოღება ფუძეში და მისი შეკუმშვა გამოუწვევია

ძლიერ დინამიკურ მახვილს, რომელიც ოდესღაც მოქმედებდა (არნ. ჩიქობავა). მაგრამ ჩვენს ენაში ეს მოვლენა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ხოლო ანწუხურში იგი ამჟამად ცოცხალი პროცესია. შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენცია სიტყვის ანლატში თანხმოვანთკომპლექსების გაჩენისა. ყოველ შემთხვევაში, თანხმოვანთა საბოლოოდ შერწყმა თუ არა, მათ შორის ზღვარის შესუსტება და ერთმანეთთან მიახლოება საგრძნობი ხდება.

სხვათა შორის, თვითონ თივის მკვიდრი აღნიშნავენ, რომ სიტყვებს ჩვენ უფრო მოკლედ წარმოვთქვამთ, ვიდრე ხუნძახელებიო.

როცა თიველ სალიპათ მაჰომედოვას (1976 წ. დაბ., მეღდა) ვთხოვე თავად დაეწერა ზოგიერთი ანწუხური სიტყვა, მან ასე დაწერა: **ბ|ატри** (ბატარი „გასცილდა“), **г|дин** (ჭიდინ „მსგავსად“), **г|დიг|ნугу** (ჭიდინჭნუგუ „ნუ ჩქარობ“), **гьресрох|но** (ჭერქსი როჰნო „ილაპარაკეს“), **гьже** (ჭიჟე „ახლა“.. უკვე დაწერილი ჰქონდა ასე, მაგრამ შემდეგ მაინც ჩაუმატა **и: гьже**). ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აღიქვამს თვითონ მეტყველი მშობლიურ მეტყველებაში არსებულ მოვლენას, კერძოდ, ხმოვანთა დასუსტებას უმახვილო პოზიციაში. ეს აისახება სიტყვათა დაწერილობაში, სადაც უმახვილო ხმოვნები საერთოდ არ არის გრაფიკულად გამოსახული.

ღირსსაცნობია, რომ ცალკეულ სიტყვათა ანლატში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჩანს ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებშიც მეორე კომპონენტად გვევლინებიან სონორი თანხმოვნები **ლ** და **რ**; ასეთი კომპლექსებია **სლ**, **ულ**, **ერ**. მაგალითები:

**სლუ** „სალამური“, „სტირი“. ამოსავალი სახე ამ სიტყვისა იყო **სულუ**. კახეთის ანწუხურ მეტყველებაში ბევრად უფრო ადრე ილ. ცერცვაძემ გამოავლინა მისი ჭადაქოლოური ვარიანტი ამგვარი სახით: **შოლო**. მკვლევარს მახვილი არ აღუნიშნავს სიტყვაში.

სიტყვა **ელინ** „სიგარეტი“ ← ყილინ. ← ყალინ; შდრ. ლიტ. ვალრძან, ქართ. ყალიონ-ი. ილ. ცერცვაძეს იგივე სიტყვა განსხვავებულად აქვს დადასტურებული: **ყალიჰან** „პაპროსი“. სოფ. თივის თქმაში ეს უკანასკნელი ვარიანტი ამჟამად აღარ გვხვდება.

**ერულ** „ქვრივი“; შდრ. ლიტ. ყორრლ-ავ (I კლ.), ყორრლ-აჲ (II კლ.). ილ. ცერცვაძის ჩანაწერის თანახმად, ეს სიტყვა ანწუხურში სხვაგვარად გამოითქმოდა: **ყურულა**. ყურადღებას იქცევს ბოლოკი-

დური ა-ს გაუჩინარების ფაქტი. ეს ბოლოსართი ხმოვანი კლასის ნიშანს წარმოადგენდა, მიღებულს -ავ და -ამ სუფიქსთა ფონეტიკური გამარტივებით: ავ → ა, ამ → ა.

ჩრდილოურ ხუნძურს **სლ**, **ულ**, **ურ** თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის თავკიდურში ეუცხოება.

თუ უმახვილო ხმოვნის დასუსტების შედეგად ერთმანეთს მიუახლოვდება ორი იდენტური თანხმოვანი, მაშინ სიტყვის თავკიდურში მთელი მარცვალი შეიძლება მოიკვეცოს. ასეთი შემთხვევები დასტურდება, მაგალითად, კომპოზიტებში **დღღვაცა** „ბიძა მამის მხრიდან“, **ბლვაცა** „ბიძა დედის მხრიდან“: დღღვაცა ← დედღღვაცა, ზედმიწ. „მამის ძმა“, ბლვაცა ← ბაბლვაცა, ზედმიწ. „დედის ძმა“. ანლაუტში ერთმანეთთან ძლიერ ახლოს აღმოჩნდა ორი იდენტური თანხმოვანი, რომელთა დასაშორიშორებლად შესუსტებულ უმახვილო ხმოვანს უკვე ღონე აღარ შესწევდა, ხოლო შემდგომ მოხდა მათი გამარტივება ერთ თანხმოვანად: **დდ** → **დ**, **ბბ** → **ბ**; უმახვილო ხმოვანი კი სრულიად შეიწირა ამ პროცესმა. საინტერესოა, რომ ამოსავალი ფორმები **დედღღვაცა**, **ბაბლვაცა** კიდევ არსებობენ სოფ. თივის მეტყველებაში **დღღვაცა**, **ბლვაცა** კომპოზიტთა პარალელურად.

ცალკე აღსანიშნავია ფონეტიკურ ცვლილებათა შემთხვევები მახვილიანი მარცვლის მომდევნო პოზიციაში. ცვლილებები შეინიშნება სხვადასხვა სიტყვებსა და ფორმებში. მაგალითად:

ანთროპონიმებში მახვილი კუმშავს ფუძეს მომდევნო უმახვილო მარცვალში ხმოვნის ამოღებით, მაგ., ქალის საკუთარ სახელებში: **სიღრმა** ← სიღრმათ ← საღრმათ, **სიქინთ** ← სიქინათ ← საქინათ, **ბიტინთ** ← ბიტინათ ← ბატინათ (შდრ. ჩრდ. ხუნძურის ფატრმათ), **მუსლინთ** ← მუსლინათ. საკმაოდ ნიშანდობლივია **მ** → **ნ** ანწუხურის ანთროპონიმებში, როცა ისინი შეიკუმშებიან ხოლმე და **მ** მოექცევა **თ**-ს წინ. ანთროპონიმი **რუყრმა** ← რუყრმათ... **მა** დიფთონგში ჩვეულებრივ ქრება სრული ხმოვანი, თუ ეს დიფთონგი მახვილიანი **ი**-ს უშუალო მეზობლობაში მოექცევა ხოლმე (ამის სხვა მაგალითები იხ. ქვემოთაც).

მიმღეობებსა და ზედსართავებში: **უნთრა** „ავადმყოფი“ ← უნთარა, **ბიტრაბ** „სწორი“ ← ბიტარაბ, **ბყრაბ** „მშვიერი“ ← ბყარაბ,

**წალრაბ** „წაკითხული“ ← წალარაბ, **ბრცრაბ** „ნამყოფი“ ← ბრცარაბ, **ბიტრაბ** „გაყოფილი“ ← ბიტარაბ (მაგ., მყარ გამოთქმაში **ტულ-ბიტრა ვაცა** „ღვიძლი ძმა“, ზედმიწ. „ღვიძლ-გაყოფილი ძმა“), **ბრპრაბ** „ცივი“ ← ბრპარაბ... **წიმა** „ახალი“ ← წრმაბ...

არსებით სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში: სიტყვა **ჩი** („კაცი“) ნათესაობითი იქნება ჩრდსულ „კაცის“ ← ჩრდასულ. **მა** დიფთონგში **ა** ხმოვნის გაქრობას ჩვეულებრივ იწვევს წინამავალი მახვილიანი **ი**. მსგავსადვე: **გურყრმაზულ** „ქართველებისა“ ← გურყრმაზულ და სხვ.

სოფ. თივის ანწუხურ თქმაში მახვილთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები ჯერ არ დასრულებულა. შეინიშნება ამ მხრივ არც თუ უმნიშვნელო სხვაობანი სხვადასხვა ასაკის პირთა მეტყველებაში. კიდევ არაერთი ფაქტი გამოსავლენი და საკვლევი რჩება.

## ნოდარ არდოტელი

### გრამატიკული კლასების სისტემა ხუნძური ენის ზედსართავ სახელებში

1. ცნობილია, რომ ხუნძურში სრულ (resp. გაფორმებულ) ზედსართავ სახელებს ყოველთვის დაერთვის კლას-კატეგორიის სუფიქსური ნიშნები, რომლებიც წარმომავლობით ჩვენებითი ნაცვალსახელების მზამზარეულ ფორმებად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1942, 33; ბოკარევი 1949, 150; კიკვიძე 1958, 99; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 185...).

დასტურდება ისეთი ზედსართავებიც, რომლებსაც, სუფიქსის გარდა, კლასის ექსპონენტი პრეფიქსადაც დაერთვის, მაგ.: ბ-ე-წ-აბ „ბნელი“, ბ-ა-შარ-აბ „წითელი“, ბ-ო-რხათ-აბ „მაღალი“, ბ-ა-წაბ-აბ „სუფთა“, „წმინდა“, ბ-ი-ცაბ-აბ „სქელი“...

2. ჩვენი აზრით, ზემომოყვანილი ზედსართავის ფორმები უნდა იყვნენ ოდინდელი მიმღეობები, რომლებმაც მოგვიანებით ზედსართავ-

გი სახელის სტატუსი შეიძინეს. ამას მოწმობენ სათანადო ზმნები, რომელთაგან უნდა წარმოქმნილიყვნენ ამგვარი ზედსართავი (resp. მიმღობური) ფორმები\*, მაგ.: ბ-ე-წ-აბ (შდრ. ბ-ე-წ-ი-ზე „ჩაქრობა“, „დაბნელება“) „ბნელი“, ბ-ა-ჭარ-აბ (შდრ. ბ-ა-ჭარ-ი-ზე „გაცხელება“, „დაწვა“...) „წითელი“, ბ-რ-რხათ-აბ (შდრ. ბ-რ-რხ-ი-ზე „აწევა“, „ატანა“...) „მაღალი“, ბ-ა-წად-აბ (შდრ. ბ-ა-წ-ი-ზე „გაწმენდა“, „გასუფთავება“...) „წმინდა“, „სუფთა“, ბ-რ-ტარ-აბ (შდრ. ბ-რ-ტ-ი-ზე „გასწორება“, „გაგზავნა“...) „სწორი“, „პირდაპირი“ და მისთ.

იშვიათად შეიძლება ანალოგიური ზედსართავი სახელი ზმნიზე-დისგანაც მომდინარეობდეს, მაგ.: ბ-ი-ცაბ-აბ (შდრ. ბ-ი-ცაბ-ი-ზე „სქლად“) „სქელი“...

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ საანალიზო ზედსართავებსა და მათ შესაბამის ზმნურ ფორმებს მახვილი ერთსა და იმავე ხმოვანზე მოუდის.

3. მიმღობა, როგორც ზედსართავი სახელი, სემანტიკური გადააზრიანებით შეიძლება ვითარებით ზედსართავ სახელად იქცეს. ამ მოვლენას ბევრ ენაში ეძებნება ანალოგი, მათ შორის, ქართულშიც, მაგ.: ყარ-ს — მ-ყრ-ალ-ი, წით-ს — წით-ელ-ი, მ-წით-ურ-ი, შრ-ებ-ა — მ-შრ-ალ-ი...

ზემომოყვანილი ფორმები (მყრალი, მ-წით-ურ-ი...) ამჟამად ზედსართავებად გაიგებიან, თუმცა ისტორიულად ისინი მიმღობებს წარმოადგენდნენ.

რაც შეეხება ფუნქციურ მხარეს, სუფიქსური კლას-ნიშანი ზედსართავ სახელსა და საზღვრულს შორის ატრიბუტული კავშირის დასამყარებლად გამოიყენება, ხოლო პრეფიქსული ექსპონენტი რეალური სუბიექტის კლასს გამოხატავს.

## შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე

### ფონეტიკური ფაქტორის როლი ტერმინთა შექმნისას

ენის ლექსიკური გამდიდრების, მათ შორის ახალი ტერმინების შესაქმნელად ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, ლექსემათა სესხებასთან ერთად, სამართლიანად ითვლება სიტყვაწარმოება. დერივაციულ აფიქსებს მრავალ ენაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიის ეროვნულ ნიადაგზე გამდიდრებისათვის. სალიტერატურო ქართული თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე ამგვარი ნიმუშების უნიკალურ მაგალითებს იძლევა.

მაგრამ აფიქსაციასთან ერთად და მის პარალელურად (თუმცა შეუდარებლად ნაკლები დოზით) ტერმინოლოგიის სამსახურში დგება ფონეტიკური ცვლილებებიც. გამოიკვეთა ზოგი ამგვარი ცვლილება: აქ განვიხილავთ **ბგერის დაკარგვას** და **ბგერათა შერწყმას**

#### 1. ბგერის დაკარგვა

ა) **მრგლოვანი**. ქართული დამწერლობის ერთ-ერთი, ქრონოლოგიურად პირველი საფეხურის სახელწოდებაა **მრგლოვანი**, რომლის ამოსავალია მიმართებითი ზედსართავი **მრგვლოვანი** (შერქმეულია ასოების ფორმის მიხედვით). ნაწარმოები ადიექტივის ეტიმოლოგია სრულიად გამჭვირვალეა: იგი მიიღება ვითარებითი (ძირეული) **მრგვალ-** ზედსართავისაგან **-ოვან** სუფიქსის დართვით.

სწორედ ამ დერივაციული წარმოების — ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვის პროცესში ხდება **ა** ხმოვნის აუცილებელი კუმშვა, რის შედეგადაც თავს იყრის 5 თანხმოვანი, რომელთაგან ყველა სონორია (**მრგვლ**), გარდა ერთისა. ამიტომ იკარგვის წინამავალი სონორი **გ** იდენტური სუფიქსისეული **გ** თანხმოვნის გავლენით (დისიმილაციური დაკარგვა), რის შედეგადაც ვიღებთ გასუბსტანტივებულ გრაფოლოგიურ ტერმინს — **მრგლოვანს**.

ბ) **ლურსმული**. ანალოგიური სემანტიკისაა ადიექტივი წარმოშობის სიტყვა **ლურსმული**, რომლის ეტიმოლოგიაც ასევე გამჭვირვალეა: მიღებულია **ლურსმან-** სახელისაგან (ტერმინი ამჟამად შექმნილია წერის იარაღის სახელის მიხედვით). ზედსართავთა ყველაზე

\* სიმარტივისათვის ზედსართავებს III კლასის ფორმით ვიმოწმებთ.

ხშირი მაწარმოებლის -ურ სუფიქსის დართვა და ფუძისეული ა ხმოვნის აუცილებელი სინკაობირება იწვევს რამდენიმე (4) თანხმოვნის თავმოყრას. მათგან ასევე ყველა სონორია, გარდა ერთისა (**რსმნ**). დერივატის ფონეტიკური გამარტივება ამ შემთხვევაშიც სუბსტანტივაციის გავლენით იძლევა სათანადო გრაფოლოგიურ ტერმინს.

გ) კომპოზიციის გზით ნაწარმოები სიტყვა **თანამოსაგრე**, რომელიც ამჟამად ქართულში იხმარება კოლეგიური საქმიანობის, კერძოდ, თანამოსაქმის მნიშვნელობით, წარმოშობით სინონიმური **თანამებრძოლის** მნიშვნელობიდან მომდინარეობს და ეტიმოლოგიურად უკავშირდება არსებით სახელს — **სანგარს** (შდრ. რუს. **окоп**). მისი მორფემატიკული ანალიზი ასეთია: **თანა-მო-სანგ(ა)რ-ე**. შრდ. **მო-სანგრ-ე** იხ. **მე-სანგრ-ე**<sup>1</sup>.

**მო—ე** ცირკუმფიქსის ხმოვანთა დართვამ გამოიწვია ფუძისეული ა ხმოვნის აუცილებელი კუმშვა: თანამოსანგარე > თანამოსანგრე; შემდგომ ეტაპზე დაიკარგა **ნ** სონორიც, მაგრამ ეს გაუჩინარება მხოლოდ ფონეტიკურ დონეზე არ დარჩენილა და მას სიტყვის სემანტიკური გადახალისების ფუნქცია დაეკისრა, როცა ამგვარად სახეცვლილმა სათანადო სიტყვამ „თანამებრძოლის“ მეტონიმის გზით უფრო „მშვიდობიანი“ ნიუანსი (**კოლეგის, თანამოსაქმის, თანამშრომლისა**) შეიძინა — ამ უკანასკნელი სინონიმით არა ოდენ ოფიციალური სტატუსის, არამედ რეალური ერთობლივი, ამასთან, მჭიდრო თანამოსაქმეობის აღსანიშნავად თუ მისანიშნებლად.

დ) კომპოზიციისავე ფარგლებში უჩინარდება სონორი **მ** ბგერა „ფალსიფიკატორის“ ქართული ეკვივალენტის — „გამყალბებლის“ ტერმინოლოგიზაციის მიზნით ნაწარმოებ კომპოზიტ „ყალბისმქნელში“, რომელიც, ჩვეულებრივ, დოკუმენტების ან ფულის დამხატველს აღნიშნავს. რუსულშიც ეს ტერმინი კომპოზიციის მეშვეობით შეიქმნა, ოღონდ იქ მეორე კომპონენტად ფუძე **მონეტა** — სპეციფიკური სუფიქსის დართვით — დამკვიდრდა, ქართულში კი მისი ადგილი

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ „თანამებრძოლის“ მნიშვნელობით რუსულში იხმარება **соратник**, რომელიც ნაწარმოებია რუსული სიტყვისაგან **рать** (= 1. ჯარი, ლაშქარი; 2. ბრძოლა, ომი) **со-** პრეფიქსითა და **-ник** სუფიქსით (ანალოგიური წარმოებისათვის შდრ. **თანა-მ-შრომ-ელ-ი** და მისი რუსული შესატყვისი **со-труд-ник**).

მიმღეობა **მქნელმა**<sup>2</sup> დაიკავა; ტერმინოლოგიური კომპოზიცია მოხდა **მ** სონორის დაკარგვის შედეგად გამარტივების ხარჯზე: **ყალბისმქ(მ)ნელი**. ამ ზმნის მიმღეობის ამოსავალი **ქნა** ჩანს (შდრ. ხალხური დერივატიული წარმოების „გააიმასქნა“, რომელიც მიხ. ჯავახიშვილმა ესოდენ მარჯვედ გამოიყენა თავისი ცნობილი რომანის მთავარი პერსონაჟის — კვაჭი კვაჭანტირაძის აფერისტულ-ავანტიურული საქმიანობის მხატვრულად დახასიათების მიზნით).

## 2. ბგერათა შერწყმა

ქართულში ბგერათშერწყმის სახელით ცნობილი შემთხვევებიდან, რომლებიც, ჩვეულებრივ, დიალექტიზმებადაა კვალიფიცირებული (თვალი > თოლი, შვიდი > შუდი...), ერთ-ერთი მასდარული წარმოების სიტყვა — **გამარჯება** — სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა მისალმების ფორმულად: **გამარჯობა** (< გამარჯვება). აღნიშნულმა ფონეტიკურმა ცვლილებამ — ვინიანი კომპლექსის ბგერათშერწყმამ — ხელი შეუწყო მის ერთგვარ „კონვერსიას“. ამ ტერმინში აქ ნაგულისხმებია სახელის გაზმნავება, რომლის შედეგაცაა საპასუხო ფორმულის წარმოქმნა ფუძისეული **გ-ს** ჩავარდნით და პირისა თუ ქცევის პრეფიქსებისა და ზმნის დრო-კილოური პარადიგმის ნაკვეთის მაწარმოებელი სუფიქსის გამოყენებით: **გა-გ-ი-მარჯ-ო-ს-ქო** (< გაგამარჯვოს/თ), **გა-უ-მარჯ-ო-ს-ქო** (< გაუმარჯვოს/თ).

ამ ზმნური ფორმულის ანალოგიამ თავდაპირველი **გამარჯობა**-ც თანდათან ზმნურ პარადიგმებში გადაიყვანა, რასაც მოწმობს მრავლობითი რიცხვისა თუ თავაზიანი მიმართვის ფორმებში მრავლობითობის **-თ** სუფიქსის გაჩენა (**გამარჯობა-თ**, ბავშვებო! **გამარჯობა-თ**, ქალბატონო თამარ!), რომელიც მსგავს სიტუაციებში მისალმების პასუხად სათქმელი ზმნური **გაგამარჯო-თ** ფორმის ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი.

ზემოაღნიშნული ფონეტიკური პროცესების ანალიზმა გამოკვეთა ერთი საერთო ნიშანი: ყველა შემთხვევაში სემანტიკური გადახალისება ხდება **სონორი თანხმოვნების** ან მათი შემცველი კომპლექსების

<sup>2</sup> აქ იქნებ ზედმეტი არ იყოს იმის აღნიშვნა, რომ სიტყვა **ქმარი**, რომელიც დღეს ბუნებრივადაა დამკვიდრებული ყოფით სიტყვახმარებაში, მიმღეობური წარმოშობისავე უნდა იყოს, ოღონდ ამ შემთხვევაში თავიდან, მიმღეობის მაწარმოებელი **მ** სონორის დისიმილაციური დაკარგვით მიღებული.

ფონეტიკური მოდიფიკაციის ფონზე.

ტერმინების შექმნაში ფონეტიკურ ცვლილებათა როლის დამადასტურებელი ზემოგანხილული მაგალითები თუმცა სინშირითა და პროდუქტიულობით სიტყვაწარმოებას ვერ შეედრება, მაგრამ მათი გათვალისწინება, დამატებითი მასალის გამოვლენა და სათანადო კვალიფიკაცია აუცილებელია ფაქტობრივადაც და მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. მსგავსი მასალის ანალიზი თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს სპეციალურ ტერმინთა თუ სპეციფიკური ენობრივი ფორმულების შექმნა-ჩამოყალიბების კვლევაში.

## ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

### თვისებისა და რიცხვის ექსპრესიული გამოხატვის შემთხვევები -ობა სუფიქსიან სახელებში

**-ობა** სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა აბსტრაქტული და კრებითი სახელების წარმოება. ეს სუფიქსი, ფაქტობრივად, მიუთითებს საგნის ან საგანთა თვისებაზე: **ოფიცრობა, ახალგაზრდობა**.

ამ ფორმებს ერთდროულად აქვთ თვისებისა და სიმრავლის გამოხატვის უნარი. **-ობა** სუფიქსიანი კრებითი სახელების წარმოება ყველა ძირიდან არ ხერხდება. მაგ. **მხატვრობა, დამლაგებლობა** სულაც არ ნიშნავს მრავალს და მხოლოდ თვისების აღმნიშვნელია. **-ობა** სუფიქსის გვერდით გვაქვს **-ნარ** სუფიქსიანი კრებითი სახელებიც.

ძველ ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **-ობა** და **-ნარ** სუფიქსით ნაწარმოები კრებითი სახელებიც:

**ხილნარნი იყვნეს მშვენიერნი, ეგეთნი, რომელი ყოველი ფერი ხილი მუნ იბოვებოდა** (ამირანდარეჯანიანი).

**ქარისაგან ხევნართა შიგან შეექმნების ჰმა** (ვისრამიანი).

**სმიდეს და გაიხარებდის, იყო დიდებულთა ჭალაბობა** (ვისრამიანი).

**ყოველი მუსლიმანობა ბრძანებასა თქვენსა მორჩილებდეს და მზესა თქვენსა ფიცვედეს** (ვისრამიანი).

გვიქრობთ, ამოსავალი ფუნქცია **-ობა** სუფიქსისა უნდა იყოს

თვისების და არა სიმრავლის, რიცხვის გამოხატვა.

გრამატიკული რიცხვი თუ სიმრავლე, ბუნებრივია, საგნებისა თუ მოვლენების თვისობრივ განსაზღვრასაც ვგაძლევს და, პირიქით, თვისების მახასიათებელი გადადის რიცხობრივ მახასიათებელში, რადგან ორივე რაოდენობის კატეგორიაა, რომელიც საგნებისა და მათი ნაწილების გარეგნულ, ფორმალურ ურთიერთმიმართებას გამოხატავს: თვისებას, სიდიდეს — ზომას, წონას, რიცხვს, ასევე ამა თუ იმ თვისების ხარისხს.

**-ობა** სუფიქსიანი სახელების სახასიათო თვისების რიცხობრივში გადასვლისათვის, ის უნდა ახასიათებდეს მხოლოდ ადამიანთა კლასს და ამ მახასიათებლით გამოარჩიოს იგი საზოგადოების სხვა ნაწილისაგან: **მასწავლებლობა, ოფიცრობა, გლეხობა** (ადამიანთა გარკვეული სოციალური სტატუსი). თვისების სიმრავლე პარალელურად მოიაზრება როგორც არათვლადი სიმრავლე (ახალგაზრდობა — თვისება; ახალგაზრდობა — სიმრავლე ამ თვისების მატარებელი ხალხისა). მას შეუძლია მეორეული გადააზრიანების შემდეგ ხელახლა მოირგოს თვისების გაგება და ახლა უვე სიმრავლის სისრულე განსაზღვროს. **მთელი ახალგაზრდობა აქ იყო..** გამოდის, რომ რიცხვი (არათვლადი სიმრავლე) და თვისება მონაცვლეობენ ერთმანეთში და ამიტომ პარალელურად გამოხატავენ ორივე კატეგორიას. ეს ექსპრესიულობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა ენაში. სიმრავლის ექსპრესიულობის განვითარების პროცესი ასე გვესახება: 1. **კაცები — კაცობა** წყვილის გაჩენა შესაძლებელია გაპირობებული იყოს სიმრავლის ექსპრესიულობის გამოხატვის საჭიროებით. 2. შემდეგ, მოგვიანებით **-ობა** სუფიქსი იძენს ერთგვარი ქვეკატეგორიის მაწარმოებლის ფუნქციას (კაცობა, გლეხობა), ამიტომ ექსპრესიულობის გამოსახატავად საჭირო ხდება მსაზღვრელ **მთელის** დამატებაც.

ქართული ენის დიალექტებში, თავის მხრივ, მრავლობითის გამოსახატავად მონაცვლეობს **-ობა** და **-ებ** სუფიქსი: **მთელი ხელმწიფობა, ყველა ხელმწიფეები/ მთელი ხელმწიფეები**. ორი მსაზღვრელი — **მთელი** და **ყველა** კი განარჩევს თვლად და არათვლად საგანთა სიმრავლეს. აქაც **მთელის** დართვით **ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაზე ჩანს ენაში თვლადიდან არათვლად სიმრავლეში გადასვლის ტენდენცია. თუმცა, ზოგჯერ დიალექტებში პროცე-



სი ისე შორს არის წასული, რომ თვისების სიმრავლეს შეიძლება მსაზღვრელად მოველინოს რიცხვითი სახელი, ისევე თვლადი სიმრავლის მსაზღვრელი: **ორი კომლობა (ფერეიდნული)**. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რაოდენობის კატეგორიებს შორის მონაცვლეობის პროცესი უწყვეტია და ექსპრესიულობის ხარისხზე დამოკიდებული.

## ც ი რ ა ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე

### სამყაროს ენობრივი სურათები პოეტურ მეტყველებაში („ვარსკვლავების პოეტიკა“ ანა კალანდაძის პოეზიაში)

ცალკეულ ავტორთა პოეტურ შემოქმედებაში გამოიყოფა ისეთი „სიტყვა—ნაწარმოებები“, „სიტყვა—კონცეპტები“, რომელთა გარშემო შეიძლება გადაეწყოს პოეტის ენობრივი სამყარო. იმისათვის, რომ ამგვარი სიტყვა—კონცეპტები, სემანტემები, გამოვლინდეს, აუცილებელია:

ა) ტექტში სემანტემის გამოყენების მაღალი სიხშირე, მარკირება;

ბ) აღნიშნული სემანტემის მეტაფორულობის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნაში;

გ) პოეტის შემოქმედების კონცეპტი თავისი ფუნქციონირებით ტექსტში გამოხატავს ავტორის იდეას.

ჩვენი კვლევის ობიექტს ამ მიმართულებით წარმოადგენდა ანა კალანდაძის პოეზია. პოეტურ ნაწარმოებში არის ისეთი სიმბოლოები, რომლებიც ითხოვენ ინტერპრეტაციას თავად ავტორისათვის (მ. მაშარდაშვილი). კვლევის შედეგად პოეტის შემოქმედებაში გამოიკვეთა სიტყვა-კონცეპტი **„ვარსკვლავი“**.

შეიძლება ითქვას, რომ სემანტემა „ვარსკვლავი“ მეტნაკლები სიხშირით თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში გვხვდება, მაგრამ ანა კალანდაძის „ვარსკვლავი“ ნამდვილად განსაკუთრებულია. რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვა? კითხვაზე პასუხი მარტივია და პოეტის ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. როგორც ჩანს, ამ სიტყვით გამო-

ხატული აზრი ყველაზე მეტად ენათესავება პოეტის სულს. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობიდან დაწყებული მის ყველაზე უფრო დაუსაზღვრავ მნიშვნელობამდე, თითქმის ყველაფერს თავი მოუყრია ანა კალანდაძის შემოქმედებაში.

ანა კალანდაძის პოეტური ტექსტების მიხედვით, სიტყვა „ვარსკვლავის“ საბოლოო აზრი უფლისკენ მიდის, ვარსკვლავი უფლის ერთ-ერთი ეპითეტია, საბოლოო აღსანიშნი ღმერთია, რომელიც თავად დაუსაზღვრავია და დაუსაზღვრავია ის სემანტემა, რომელიც მისი აღმნიშვნელი ხდება.

ფეშენკო წერს: „თუ დავუშვებთ, რომ სემიოტიკას აქვს თავისი განვითარების სიუჟეტი, მაშინ ამ განვითარების კულმინაცია ის წერტილია, რომელშიც სემიოტიკა ხვდება პოეტიკას“.

მაშ, რაზე გადის გზა აზრიდან სიტყვისკენ და პირიქით, სიტყვიდან აზრისკენ? ამაზე ვიგოტსკი გვიპასუხებდა: „...აზრი არ ემთხვევა არათუ სიტყვებს, არამედ არც მათ მნიშვნელობებს, რომლებითაც ის გამოითქმება. გზა აზრიდან სიტყვისკენ მნიშვნელობაზე გადის. ჩვენს მეტყველებაში ყოველთვის არის დაფარული ქვეტექსტი. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად იქმნება ახალი გზა აზრიდან სიტყვისკენ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების გავლით“ (ვიგოტსკი). სწორედ ასეთ ახალ მნიშვნელობებს გვთავაზობს პოეტური მეტყველება. იქნებ არც ისე ახალია დღეისთვის ის აზრი, რომელიც თავის დროზე კანტმა გამოხატა აგრეთვე მეტაფორულად: ორი რამ მოცებს ამქვეყნად — ვარსკვლავებიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში! — მორალური კანონი თუ უფლისმიერია (და ნამდვილად არის უფლისმიერი), მასთან ვარსკვლავებიანი ცის დაკავშირება სულაც არ არის შემთხვევითი და ამასვე ადასტურებს კანტის ამ აზრის ანა კალანდაძისეული რეინტერპრეტაცია. იქნებ სამყარო სულ რამდენიმე მეტაფორის (რე)ინტერპრეტაციაა?

## გ უ რ ა მ ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი

### სიტყვა „კანამბალის“ შესახებ

„კანამბალი“ როგორც მეხილეობის ტერმინი მხოლოდ ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის (იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული) არის ცნობილი. დოკუმენტობრივ „კანამბალი“ || „კანაბალი“ წარმოდგენილია **პოლიკ. ჯაჯანიძის** „გურული ლექსიკონის მასალებში“, **მის. ალავეძის** „ქვემოთაჭულ ლექსიკონში“, **შუშანა ფუტყარაძის** მონოგრაფიაში „ჩვენებულების ქართული“ და ა. შ.

„კანამბალი“, რამდენადაც ვიცით, დღემდე განმარტებული არ ყოფილა. ზოგადად ცნობილია, რომ კანამბალი ჰქვია მსხვილმარცვლიან თეთრ და შავ ბალს. არაგვის ხეობის ქართლურში ამგვარ თეთრ ბალს „სპანსკი ბალი“ ეწოდება, რაც მის შემოსულობაზე მეტყველებს. რაც შეეხება ტერმინ „კანამბალს“ იგი ქართული ენის დასავლურ კილოებზე მეტყველი ხალხის კუთვნილებაა. იგი უნდა განვმარტოთ როგორც „**კვანაბალი**“ (კვანავით მსხვილნაყოფა ბალი), **კვან**- სიტყვით ხაზგასმულია ნაყოფის ზომა, სიმსხო. საყურადღებო ის არის, რომ ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში **კანამბალის**, **კანაბალის** ნაცვლად „**გოგრაბალი**“ გვხვდება. **კანამბალ**- ფორმაში მ-ანი მჟღერი ბ-ანის წინ განვითარებულა, უმანო ფორმაში (**კანაბალი**) **კვან** სიტყვის გამარტივება მომხდარა: **კვან-ა ბალი > კანა-ბალი**, ჩანს პირის სახელ **კანა**-სთან ასოციაციური დაკავშირების გამო.

## მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე , დ ა ვ ი თ ნ ა დ ა რ ა ი ა

### დიალექტური ტექსტების კორპუსის პირველადი ანოტირება (პროექტი: საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი)

მეორე წელია მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“. ამ დროისათვის შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაო სამი ძირითადი მიმართულებით: ტექსტების

კოლექციის ელექტრონული ვერსიის შექმნა, ახალი ტექსტების მოპოვება, კორპუსის არქიტექტურისა და მონაცემთა ბაზის შექმნის პრინციპების შემუშავება.

კორპუსის, „მშენებლობისას“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ანოტირება. განასხვავებენ „ზედაპირული“ და „ღრმა“ ანოტირების კორპუსებს. კორპუსის ლინგვისტიკის თანამედროვე პრაქტიკაში მიღებული გზაა ეტაპობრივი ანოტირება.

ჩვენ ვიწყებთ ზედაპირული — პირველადი მორფოლოგიური და სემანტიკური ანოტირებით, თუმცა მიმდინარეობს თეორიული მუშაობა კორპუსის ღრმა ანოტირების ლოგიკური პლატფორმის მოსამზადებლად.

დღეისათვის კორპუსი წარმოდგენილია ჰიპერტექსტის პრინციპით გამთლიანებული „სუბკორპუსების“ სახით, რომელიც მოიცავს: გამოცემულ დიალექტურ ტექსტებს, საექსპედიციო მასალას, დიალექტურ ლექსიკონებს, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულ დიალექტურ ფორმათა საძიებლებს და სხვ. გათვალისწინებულია კორპუსთან მიგრაციული პროცესებისა და ტოპონიმიკური ცხრილების ინტეგრირებაც.

პირველად მორფოლოგიურ და სემანტიკურ ანოტირებას „გაიფლის“ დღემდე დაფიქსირებული ყველა სიტყვაფორმა და ლექსიკური ერთეული, თუმცა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მხოლოდ ფერეიდნული, ინგილოური და თუშური მასალის ანოტირება.

მოცემულ ეტაპზე უკვე გააქტიურებულია კორპუსის ერთ-ერთი მთავარი და პირველადი (ზედაპირული) ანოტირებისთვის აუცილებელი — კონკორდანისის ავტომატური წარმოქმნის ფუნქცია, რაც გულისხმობს ანბანზე გაწყობილი საერთო სიტყვანისა და მასთან დაკავშირებული კონტექსტების ავტომატურ წარმოდგენას.

პირველადი მორფოლოგიური ანოტირების პროცესი ასე გამოიყურება (მუშაობის პროცესში ის შეიძლება კიდევ უფრო დაიხვეწოს):

1. სიტყვის არჩევა;
2. ანოტირების ველის გააქტიურება;
3. მორფოლოგიური სტატუსის მინიჭება (ზმნა, სახელი, სახელზმნა, ფორმაუცვლელი სიტყვა, რთული მორფოლოგიური სტა-

ტუსის სიტყვა (ენკლიტიკა და სხვ. შემთხვევები);

4. სალექსიკონო ფორმის (მასდარის ან სახელობითი ბრუნვის) მინიჭება (განსაზღვრა);

5. სალიტერატურო შესატყვისის მინიჭება;

6. სალიტერატურო სალექსიკონო ფორმის მინიჭება;

7. კონტექსტის არჩევა დიალექტის მიხედვით და კონკრეტულ ფორმასთან მისი დაკავშირება.

შესაბამისად, ძებნა კორპუსში განხორციელდება ნებისმიერი ამ მახასიათებლის მიხედვით.

როგორც ცნობილია, ძირითადი ენობრივი ფონდის სიტყვები დიალექტურ ლექსიკონებში მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, როცა ისინი დამატებითი მნიშვნელობით აღიჭურვებიან (ე. წ. სემანტიკური დიალექტიზმები). კორპუსის ლინგვისტური ანოტირების სისტემა შესაძლებლობას იძლევა, შესწავლილ იქნეს დიალექტის აქტიურ მიმოქცევაში მყოფი საერთო ფონდის ლექსიკაც, განისაზღვროს მისი როლი, ვარიაციულობის დონე, ვარიაციულობის მიზეზი. სტატისტიკური, კვანტიტატიური, სოციოლინგვისტური და სხვ. მიმართულებებით კვლევის ობიექტად იქცეს ერთი მხრივ, დიალექტური მეტყველების მთლიანი ენობრივი ქსოვილი და მეორე მხრივ, მხოლოდ ის განსხვავებული, სპეციფიკური ლექსიკა ან გრამატიკული საშუალებები, რაც ამ დიალექტს ახასიათებს.

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### სინონიმებისათვის მეგრულ მესაქონლეობის ლექსიკაში

მოსხენებაში განიხილება მეგრული მესაქონლეობის ლექსიკაში წარმოდგენილი სინონიმების რიგი, გარკვეულია მათი გავრცელების არეალი, ის მორფოლოგიური ინვენტარი, რითაც ხდება სინონიმთა წარმოება.

სინონიმებს ძირითადად ქმნის მეგრული (ძირეული და წარმო-

ქმნილი) და ნასესხები სიტყვების წყვილი.

რძის საწურის აღსანიშნავად გამოიყენება ოწირალი || ოწირე || ოწირეში (ზედმ. „საწურავი“, „საწური“, „საწურისი“). სინტაგმა **ბუაშ ოწირალი** (ზედმ. „რძის საწური“), პარალელურად გვხვდება ქართულიდან მომდინარე **საწვრი** (← საწური). შდრ. **საწურავი** „რითაც უნდა წურონ, რძის საწური“ (ქეგლ), იმერ. **საწური** „რძის გასაწური მოწყობილობა“, აჭარ. **საწურია** „რძის საწური“, სვან. **ლაწუდწარ** || **ლაწუდწარ** „რძის საწური“. ლაზურში (და აჭარულშიც) ამ მნიშვნელობით თურქულიდან შეთვისებული **სუზვი** გამოიყენება. მთიან სამეგრელოში პარალელურად გვხვდება **ხარაზა** || **ხარაზაკა** || **ხარაძაკა** || **ხერაძაკაფა**, რომელიც მომდინარეობს აფხაზური **ა-ხარაძაკა**-დან (**ა-ხ** „რძე“, **ა-ხარაძაკა** „წურვა, გამოწურვა“).

მწყემსის აუცილებელი ინვენტარის, რკინამოცმული ჯოხის აღსანიშნავად მეგრული იყენებს ტერმინებს: **ბიგა**, რომელიც ჩანს დასავლურ მიკროსისტემებში: იმერ. **ბიგი** „საყრდენი ჯოხი“, გურ. **ბიგა** „ორკაპა თივის ასაღები ჯოხი“, სინტაგმები: **კაღუამი კეტი** (ზედმ. „კავიანი ჯოხი“), **ჩხვინდამი კეტი** (ზედმ. „ცხვირიანი ჯოხი“) და აფხაზურიდან შეთვისებული **ლაბაშა**-ს (აფხ. ა-ლაბაშა „მწყემსის ჯოხი, კვერთხი“).

სინონიმთა რიგს ქმნის **გვაბალა** „ხის გობი, რომელზეც ზელენ სულუგუნს“ (← გობელა), **ნისორი** და სპარსულიდან შეთვისებული **ბარქაში** || **ბარქაშია**. **გვაბალა** ქართველურიდან ნასესხობის სახით გვაქვს აფხაზურში **ა-გიაბალა** ფორმით.

მეგრულში შეთვისებულია დაღის, სერის აღმნიშვნელი ორივე სიტყვა: **დაღი** და **ხნწრა** || **ხენწრა** || **ხენწვრა** || **ძინწირა**. პირველი სპარსულიდანაა შემოსული, მეორე კი აფხაზურიდან (**ა-ხწარა** „სერი“).

შევნიშნავთ, რომ აფხაზურიდან ნასესხები სიტყვები ძირითადად მთიან სამეგრელოშია გავრცელებული.

ხშირად მარტივი ფორმის სინონიმად გამოიყენება წარმოქმნილი სიტყვები (ძირითადად მიმღეობები).

**ნიგა** || **ნეგა**-ს („საწველული“) პარალელურად გამოიყენება მიმღეობური წარმოშობის **ენაქვალარი** (ზედმ. „ჩასაწველი“). შდრ. **საწველელი** || **საწველელა** „ხის ან თიხის პირგანიერი ღრმა ჭურჭელი, რომელშიც წველიან“ (ქეგლ), იმერ. **საწველი** „ქოთანის, რომელ-

შიც ძროხას წველიან“, ქიზიყ. **საწველელი** „სარძეული, ტოლჩა, რომელშიც წველიან“. საინტერესოა, რომ აფხაზურში მეგრულიდან ნასესხები **ა-ნგვა** მხოლოდ აბჟუურ დიალექტში გვხვდება, ბზიფურში მას **ა-ნარ** ჩაენაცვლება.

**ზარი** || **ზარა** || **ზარე** ფორმას ხშირად ჩაენაცვლება ნაგენტივარი **ორეკეში** (ზედმ. „სარეკისი“). შდრ. აფხაზ. **ა-სარკალ** „ზარი“ (← ქართ. **სარეკელი**).

წარმოქმნილი ფორმებით გადმოიცემა მეგრულში კარვის მზარეულის აღმნიშვნელი სიტყვები. მე—ე ცირკუმფიქსით ნაწარმოები **მე-ხილ-ე**-ს გვერდით გვხვდება მართული კომპოზიტი **კარეშედიარაფალი** (ზედმ. „კარვის დამპურებელი“ (**კარე** „კარავი“, **მა-დიარ-აფალი** „მჭმეველი, დამპურებელი“).

ზოგჯერ ტერმინი სინტაგმითაა წარმოდგენილი, სადაც საზღვრული ერთი (საერთო) სიტყვაა, სინონიმებს კი მსაზღვრელი ქმნის:

**დიდა ჩხოუ** (ზედმ. „დედა ძროხა“) || **მაქვალ ჩხოუ** (ზედმ. „მე-წველი ძროხა“) || **მებჟალუ ჩხოუ** (ზედმ. „მერძევე ძროხა“) ზოგადად „ფურს“ აღნიშნავს.

**კარეშ ჯოლორი** (ზედმ. „კარვის ძალი“) || **მეშხურეშ ჯოლორი** (ზედმ. „მწყემსის ძალი“) ზოგადად მეცხვარის ძალის, ნაგაზის აღმნიშვნელია.

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### მეტყველების აღმნიშვნელი ქართველური ზმნების ზოგი თავისებურების შესახებ

1. მეტყველების აღმნიშვნელი ქართველური ზმნებისათვის დამახასიათებელია დროთა განმავლობაში მათი ერთი ნაწილის ხმარებიდან გამოსვლა და მის ნაცვლად ახალი ზმნური ფუძეების დამკვიდრება. ამისდა მიუხედავად ზოგიერთი მათგანი ქართველურ ფუძე-ენას განეკუთვნება (ს.-ქართვ. \***თქუ-**, შუმ. dug- „თქმა“?).

ქართველურ *verbum dicendi*-ში შეინიშნება მოკლე ზმნების ნა-

ცვლად გრძელი ლექსემების დამკვიდრების ტენდენცია. ამგვარ მაგალითებს შორისაა ფონეტიკურად მსგავსი და შესაბამისად ნაკლებ გამომხატველი მოკლე ზმნები.

ძვ. ქართ. **თქვს, იტყვს** („ამბობს“) — ახ. ქართ. **ამბობს,**

**ლაპარაკობს.**

მოკლე ზმნათა სიცოცხლისუნარიანობას ხელს უწყობს ენაში მათგან ნაწარმოებ სახელების არსებობაც. ზმნა **ბარ — მოუბარი, სა-უბარი**, იტყვის — სიტყვა, ლაზ. ოტ(კ)უ „თქმა, კითხვა“ — ზიტა (ზი-ტა) „სიტყვა“.

ზმნათა ცვლილების ერთ-ერთი მიზეზია მათი სემანტიკური „ცვეთა“, რის შედეგადაც ხშირად სალაპარაკო ენიდან სალიტერატუროში ჩნდება ახალი ლექსემები. ჩანს, თავის დროზე ქართულ სალიტერატურო ენაში ამგვარად დამკვიდრდა **ამბობს, ლაპარაკობს** ზმნები, რომელთა მნიშვნელობითაც ამჟამად ხშირად არასწორად **იძახის** ზმნაც გამოიყენება.

ქართულ მწერლობასთან კავშირის გაწყვეტის გამო ზანური ენის ლაზურ კილო-კავებში ზეპირმეტყველების გზით გაჩენილი მეტყველების აღმნიშვნელი მრავალი ზმნა დასტურდება. საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ და თურქულ ენებთან კონტაქტების შედეგად ლაზურში უცხო ენებიდან ზეპირი გზით შემოსული სახელებიდან წარმოქმნილი ზმნური ფუძეები გაჩნდა: **ობარამითუ, ოხაპარუ, ოლაქიდუ**.

2. ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართული სალიტერატურო ენის *verbum dicendi*-ში დრონაკლ და ფუძემონაცვლე ზმნებს შორის ნაკვთაა აწმყოს წყებაში იხმარება **უბნობა** და რელატიური **ეუბნება** ზმნები (მყ. **ეტყვის**, ნამ. **უთხრა**, თურმ. | **უთქვამს**). სპეციალურ ლიტერატურაში უბნობა, მსგავსად „ლაპარაკისა“, უფრო ნასახელარ ზმნადაა მიჩნეული: **უბან: უბან-ობ-ა → უბნ-ობ-ა** (გ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ფ. ერთელიშვილი).

უბნობს ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმითაა დადასტურებული: **უბნობს** (ზემოიმერული, რაჭული, ლეჩხუმური), **უგნობს** (აჭარული). დიალექტების ლექსიკურ შემადგენლობაში ფიქსირებულია ასევე **ებნება, ებნევა**.

**უბნობა** ზმნის ისტორიისა და სტრუქტურის აღსადგენად გასათვალისწინებელია ძველი და საშუალო ქართული ენის ძეგლთა მონა-

ცემები. ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობის მაჩვენებელ იმ მაგალითებს შორის, რომლებშიც **ე** ვნებითს არ გამოხატავს, დასახელებულია **უბან**-ი და **ეუბენ** ფორმებიც (ვ. თოფურია), შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ **ეუბენ** („უთხარი, ელაპარაკე“), აგრეთვე მეორე სერიის მოქმედებითის ფორმა **და-გ-ი-უბნ-ე** (კიმენი) და სხვ.

განსახილველი ზმნა ნასახელარი უნდა იყოს, **ბან**-იდან მიღებული („ხმა“, „სიტყვა“), **ბანი** ვმის შეწყობა (საბა). **ბან**-ისა და **ბარ**-ის (აბარ-ებ-ს) კვლევითის გასათვალისწინებელი ჩანს სომხურ ენაში პოვნიერი ქართველური ფორმები და მნიშვნელობები: ბან „სიტყვა“, „საქმე“, ბარ „სიტყვა“. ბანის მნიშვნელობა ახალ ქართულში დავიწროვდა. ბან-ს უკავშირდება **ე-ბან**-ის სახელწოდებაც.

## გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

### -ურ||-ულ სუფიქსთა ერთი ფუნქცია ისტორიული საბუთების მიხედვით

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში **-ურ** და **-ულ** დაბოლოებებიდან ამოსავლად პირველი მიიჩნევა, მეორე კი მის ფონეტიკურ ვარიანტად განიხილება. ცნობილია, რომ ოდენ **-ურ** სუფიქსს მრავალი ფუნქცია აქვს და აწარმოებს:

- ა) ნიშან-თვისების გამომხატველ ზედსართავებს (კაც-**ურ**-ი, ძმ-**ურ**-ი...);
- ბ) წარმომავლობის ზედსართავებს (ქალაქ-**ურ**-ი, თბილის-**ურ**-ი, აქა-**ურ**-ი...);
- გ) გვარსახელებს (ბუჩუკ-**ურ**-ი, ლუღუშა-**ურ**-ი...);
- დ) გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარის ვარიანტებს (კვინიკო-**ურ**-ი, ფხაკო-**ურ**-ი...);
- ე) მასდართა ერთ ტიპს (ჭუჭლ-**ურ**-ი, ფათ-**ურ**-ი...) (იხ.: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი).

დაბოლოება **-ულ** სახელებზე დართვისას გამოიყენება იმავე ფუნქციებით, ოღონდ დასტურდება მხოლოდ მაშინ, როცა ფუძეში არის **რ** თანხმოვანი(იხ.: დასახ. ნაშრ., გვ. 390-392).

ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს შუა საუკუნეებში შედგენილ იურიდიულ დოკუმენტებში დადასტურებული უამრავი მიკროტოპონიმი, რომელთა ფუძეებში აშკარად გამოსაყოფია **-ურ** და **-ულ** დაბოლოებანი და ამ დაბოლოებებს აქვთ ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებული ფუნქცია — გამოხატონ მიწის ნაკვეთის, ნაგებობის ან საფლავის კუთვნილება ამა თუ იმ პირისადმი. ყველა ამ მიკროტოპონიმს საფუძვლად უდევს პირის (ძირითადად მამაკაცის) საკუთარი სახელები, ანდა მეტსახელები, იშვიათად კი — გვარსახელებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯგუფის მიკროტოპონიმთა ერთი ნაწილი ორსიტყვიანია (მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპისა), მეორე ნაწილი კი აშკარად ორსიტყვიანი მიკროტოპონიმებისაგან მომდინარე თითო-სიტყვიანი სახელებია (გასუბსტანტივებული მსაზღვრელები).

ორსიტყვიანი მიკროტოპონიმები ა:

ალვენა-**ურ**-ი მამული (1639 წ., 1693 წ.); ანტონა-**ურ**-ი ვენახი (1655 წ.), არსენა-**ულ**-ი საფლავი (XV ს.), არჯვენა-**ულ**-ი მამული და სასახლე (1609 წ.), ბარდა-**ულ**-ი მიწა (1659 წ.), ბენდიან-**ურ**-ი ვენახი (1655 წ.), ბენდიან-**ურ**-ი სახლი (1482 წ.), ბერძენა-**ულ**-ი მინდორი (1660 წ.) ბურდულა-**ულ**-ი მამული (1678 წ.), ბურნაყა-**ულ**-ი მიწა (XVIII ს.), ბუღლია-**ურ**-ი მამული (1584 წ.), გამრეკელა-**ურ**-ი მამული (1654 წ.), გემია-**ურ**-ი მამული (1673 წ.), სულია-**ურ**-ი ვენახი (1477 წ.), ტაბარვანა-**ულ**-ი მამული (XVII ს.), ტოხა-**ურ**[ი]მიწა (1612 წ.), ტური-**ულ**-ი ვენახი (1609 წ.) ფანქველ-**ურ**-ი მიწა (XVII ს.) ფასა-**ურ**-ი მამული (XVII ს.), ფილიმანა-**ურ**-ი სავენახე (XVII ს.), ფუტურა-**ულ**-ი მამული (XVIII ს.), შიო-**ურ**-ი მამული (XVII ს.), გოგორა-**ულ**-ი მამული (XVII ს.), გულა-**ურ**-ი ვენახი (1695 წ.), გულა-**ურ**-ი ჭალა (XIV ს.), თაყა-**ურ**-ი ვენახი (1694 წ.), თეოდორა-**ულ**-ი ნავენახები (დაახლ. 1258 წ.), ივანაძე-**ულ**-ი მამული (1559 წ.), მიქელა-**ურ**-ი მამული (1661 წ.), სამსონა-**ურ**-ი მამული (1624 წ.) გუჯაბა-**ურ**-ი პარტახი (1259 წ.), მსხილა-**ურ**-ი პარტახი (1578 წ.) და მრ. სხვანი.

ერ თ ს ი ტ ყ ვ ი ა ნ ი მ ი კ რ ო ტ ო პ ო ნ ი მ ე ბ ი :

ური-ულ-ი (1683 წ.), ფოლადა-ურ-ი (XVII ს.), ქაჩალა-ურ-ი (1696 წ.), შალვა-ურ-ი (1398 წ.), ციცი-ურ-ი (1628 წ.), ჯაგელ-ურ-ი (1700 წ.), აბაზა-ურ-ი (1632 წ.), ამბია-ულ-ი (1651 წ.), ბუზა-ურ-ი (1659 წ.), გაგნა-ურ-ი (1559 წ.), გრძელა-ურ-ი (1668 წ.), გუ-გულა-ურ-ი (1655 წ.), გულია-ურ-ი (1568 წ.), დევა-ურ-ი (XVI-XVII სს.), დიდმელა-ურ-ი (1524 წ.), თორმანე-ულ-ი (XVII ს.), გვაზა-ურ-ი (XVII ს.), ისლამა-ურ-ი (1662 წ.), მახარა-ულ-ი (1467 წ.), მანანა-ურ-ი (1700 წ.), მაჩხა-ურ-ი (XVII ს.), ნადირა-ულ-ი (1614 წ.), საპონა-ურ-ი (XVII ს.) და მრ. სხვანი.

საყურადღებოა, რომ **-ულ** დაბოლოება დასტურდება ზოგ ისეთ ფუძესთანაც, რომლებიც **რ** თანხმოვანს არ შეიცავენ. ასეთებია, მაგალითად, მიკროტოპონიმები: ივანაძე-ულ-ი მამული (1559 წ.), ივანე-ულ-ი ნასასახლევი (1684 წ.)...

ამ ტიპის მიკროტოპონიმები პრაქტიკულად გავრცელებული ჩანს თითქმის ყველა რეგიონში: კახეთ-ჭერეთში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მთიულეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში...

მოხსენებაში დაისმის საკითხი იმის შესახებ, რომ **-ურ/-ულ** დაბოლოებიანი მიკროტოპონიმების ნაწილი იოლად შეიძლება გადაქცეულიყო ოიკონიმებად (დაბა-სოფელთა სახელებად). მართლაც, თანამედროვე საქართველო მოფენილია ამ სუფიქსებით გაფორმებული ისეთი ოიკონიმებით, როგორცაა: ძიგური (აბაშის რ.), გორგული (ადიგენის რ.), ბოლაჯაური, ნამიაური (იქვე), ამბროლაური (რაჭა), ძირაგეული, ბუგეული, ბარგული (ამბროლაურის რ.), ჩოფხაური, ბაბანეული, ჩარექაული, ქისტაური, ოსიაური (ახმეტის რ.), ფოლადაური (ბოლნისის რ.), თარგამეული (მარტვილის რ.), კალაური (გურჯაანის რ.), ანანური, პავლეური, გოგნაური, მანასეური, ფასანაური, ბულაჩაური (დუშეთის რ.), კუშუბაური, მაისაური, ინაშაური (ვანის რ.), დილიკაური, როდინაული (ზესტაფონის რ.), კურდღელაური, შალაური (თელავის რ.), მაჩიტაური, კაკაბოური, ოდილაური (თერჯოლის რ.), ჩობალაური (კასპის რ.), ონანური (ლაგოდეხის რ.), გვიმბლაური, გაგური (ლანჩხუთის რ.), რცხმელური, მანანაური (ლენტეხის რ.), მარნეული (დაბა), მშვიდობაური, სილაური, ნიაბაუ-

რი, ბოხვაური, ლაითური (ოზურგეთის რ.), წმინდაური (ონის რ.), ხარაგაული, ციციური, ჯაფარაული (ხარაგაულის რ.), თოხლიაური, პატარძელი, ბადიაური (საგარეჯოს რ.), მელაური, ხუნჯულოური (სამტრედიის რ.), მახათაური, შალაური, კორბოული (საჩხერის რ.), ასანაური (სიღნაღის რ.), ბზიაური, ძუყნური, ივანეული (ტყიბულის რ.), ბერძენაული, დოდლაური, ბადიური(ქარელი რ.) გუდაური (ყაზბეგის რ.), ჩოხატაური, გუთური, იანეული, ჩაკიტაური, ქადაგაური, შველაურ-ციციბაური, გოგოური, გორაბერეჟოული (ჩოხატაურის რ.), პერტული (სენაკის რ.), პალოური (წალენჯიხის რ.), გვაზაური, უძლოური, დედალაური, ბესიაური, ხარაბაული (ხონის რ.), ბესიაური (წყალტუბოს რ.), ოსიაური (ხაშურის რ.), ბეგიაური, კალაური, ბუნიკაური, ხალიფაური, ჩხირაული, გეზრული (ჭიათურის რ.), ხელვაჩაური, მახვილაური, თოდოგაური, მახინჯაური, სალიბაური (ხელვაჩაურის რ.), კოლოტაური, არსენაული, გუნდაური, სალიბაური, კანტაური, კოკოტაური (ქედის რ.), გოგმაჩაური, ვარჯანაული, კობალაური (ქობულეთის რ.), წანკალაური, გოგინაური, ლომანაური, იაკობაური, ქუთაური, ოლადაური, ჯუმუშაური, ბუთურაული, მჭედლური, ნიგაზეული, ფოთელაური, ვარჯანაული, ხიჭაური, გუნდაური, ოქროპილაური (შუახევის რ.), ბოზაური, ქურდული, ყინჩაური, გურძაული, ბოძაური, დანისპარაული, ფუშრუკაული, მახალაკაური, (ხულოს რ.), ჭორბაული, თორმანეული, მუხაური (ყოფილი ზნაურის რ.), ჭაჭამური, წიფთაური, კიტრიული (ახალგორის რ.), პანტნაური, ჩხარაული, ლაცაური, ხოშური, შულაური, შელეური, გუჯაბაული, ნინიაური (ცხინვალის რ.), სინაგური (ჯავის რ.).

თითოეული ეს ოიკონიმი საგანგებო კვლევას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა.

## თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

### აფხაზური ზმნის კიდევ ერთი მორფოლოგიურ-მოდალური კატეგორიის შესახებ (წინასწარი ცნობა)

1. აფხაზური ენის წინამორბედ მკვლევართა, განსაკუთრებით კი აკად. ქ. ლომთათიძის ნაშრომებში ნაჩვენებია ამ ენის ზმნური ფორმათწარმოების განსაკუთრებული სირთულე, რასაც განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

ა) აფხაზურმა ენამ დაკარგა მონოკლასოვანი უღვლილების სისტემა და განივითარა პოლიკლასოვან-პოლიპერსონალური უღვლილების სისტემა, რაც გულისხმობს სუბიექტისა და ნებისმიერი ობიექტის სრულ ასახვას ზმნურ ფორმაში;

ბ) აფხაზურ ენას არ ახასიათებს არამცთუ დაღესტნურ ენათათვის ნიშანდობლივი სახელთა ბრუნების უაღრესად დეტალიზებული სისტემის, არამედ ჩერქეზულში წარმოდგენილი ბრუნების უმარტივესი სისტემის ანალოგიური წარმოებაც კი, რაც აფხაზურ ენაში კომპენსირებულია ლოკალურ პრევერბთა ურთულესი სისტემის არსებობით (შედარებისათვის: დაღესტნურ ენებში დასტურდება 50-80 თანდებულიანი ბრუნვა, ხოლო აფხაზურში წარმოდგენილია იმავე სემანტიკის გადმომცემი 90-მდე ლოკალური პრევერბი);

გ) აფხაზური ენა ღარიბია თანდებულებით და არ მოეპოვება ნაცვალსახელთა თუ ზმნისართთა, ნაწილაკთა და კავშირთა დიდი ჯგუფი, რომელთა სემანტიკა გადმოიცემა ზმნურ ფუძეში ინკორპორირებული აფიქსების მეშვეობით და ა. შ.

ამ მიზეზთა გამო აფხაზურ ენას განუვითარდა საგანგებო აფიქსებით გამოხატული იმგვარი მორფოლოგიურ-მოდალური კატეგორიები, რომელთა სემანტიკა სხვა ენებში ჩვეულებრივ ლექსიკური საშუალებებით გამოიხატება.

2. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ენის მორფოლოგიურ-მოდალური კატეგორიები საკმაოდ დეტალურადაა გამოკვლეული, საანალიზო ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რჩება. კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, გამოვყოთ ერთი სპეციფი-

კური წარმოება, რომელიც აქამდე არ ყოფილა სპეციალური ანალიზის საგანი. ეს არის **აჟ**- სპეციალური პრეფიქსისა და „კვლავ“ ზმნისართის სემანტიკის გადმომცემი **-ხ** სუფიქსის ერთობლივი გამოყენებით ნაწარმოები ფორმები. მაგალითად:

აად, უდ **ა-ოჟ**-წაბერგგ-**ხგ**-მ, ახა... (დ. გულია) „ღიახ, ეს ჭეშმარიტება განა (როგორღა) არ არის, მაგრამ...“

აფშიმაცია, ურთ რთახცია უჰაა რგჰხვ გმჟიკია აძივ **დ-აჟ**-ნრგჟ-**ხ**-ჟაზ (დ. გულია) „მასპინძლები და მათი ახლობლები უღლეგრძელებლად ვინმეს როგორღა (განა) გაუშვებდნენ?!“

ესმა უსგჳ უდ აუხა **დ-აჟ**-ცია-**ხ**-ჟაზ! (დ. გულია) „იმ ღამით ესმა მაინც როგორღა (განა) დაიძინებდა?!“

აჟჟანდარ აკვ დარგააადტ, ახა აპაპ უდ **ა-აჟ**-იდგრ-**ხ**-ჟაზ (დ. გულია) „ეპისკოპოსი რაღაცამ გააბრაზა, მაგრამ ეს მღვდელს განა ეცოდინებოდა?!“ და ა. შ.

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, საანალიზო ზმნური ფორმები შეესაბამება ქართულის „როგორღა“, „განა“ ლექსემებთან დაკავშირებულ ზმნებს (უპირატესად კავშირებითი კილოს ფორმებს). ისინი აფხაზურ წინადადებებში ყველაზე ხშირად მაპირისპირებელი **ახა** „მაგრამ“ კავშირის მომდევნო პოზიციაში გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზური ზმნის ამგვარი ფორმები მუდამ ინფინიტურია.

ზმნურ ფორმაში **აჟ**- პრეფიქსს ზმნის თავიდან მეორე ადგილი უჭირავს და მუდამ მოსდევს სუბიექტის ან ობიექტის **დ**-ს რიგის პრეფიქსებს, ხოლო **-ხ** სუფიქსი ყოველთვის ზმნის ძირს მოსდევს.

საანალიზო ფორმები ეწარმოებათ როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებს, დინამიკური ზმნა გარდაუვალიც შეიძლება იყოს და გარდამავალიც. ნაკვეთულის ფორმათაგან ეს კატეგორია გვხვდება აწმყოს, ან ნამყო უსრულის ინფინიტურ წარმოებებში.

## ელენე გიუნაშვილი

### შედგენილი ზმნების კვლევის საკითხებისათვის ადრე საშუალო სპარსულში

საშუალო სპარსული, რომელიც პართულთან ერთად განეკუთვნება საშუალო ირანულ ენათა ჯგუფის დასავლურ შტოს, განსაკუთრებული ინტენსივობით შეისწავლება უკანსკნელი ათწლეულების მანძილზე.

მისი ევოლუციის საკითხებს მიეძღვნა ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა (ამ შრომათა ბიბლიოგრაფია იხ. ვ. ზუნდერმანის გრამატიკულ ნარკვევში — W.Sundermann, *Mittelpersisch, Compendium Linguarum Iranicarum*, 1989, Wiesbaden, pp. 138-164). მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ამ ენის გრამატიკული სტრუქტურისა და მორფოსინტაქსის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული.

ყველაზე უფრო მეტად ეს ეხება ზმნის კატეგორიას. ადრესაშუალო სპარსულში და შედარებით გვიანდელ ტექსტებში დადასტურებული ზმნური ფორმები უმთავრესად განიხილებოდა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ასპექტში, ანუ ძირითადი ყურადღება ეთმობოდა პრეზენსის (აწმყო დროის) ფუძეთა ანალიზს და მათ მიმართებებს ძველ ირანულ პრეზენსის კლასებთან.

დროის, ასპექტის, ვალენტობისა და კილოს გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, განიხილებოდა მოკლედ და ზოგადად.

საშუალო სპარსული წერილობითი ძეგლების ახალი კრიტიკული გამოცემები რეალურ საფუძველს ქმნის მისი გრამატიკული რეალიების ევოლუციური პროცესების ახლებური გააზრებისა და შესაბამისად, მისი ისტორიული განვითარების ახლებური ინტერპრეტაციისთვის.

ანალიტიკური საშუალო სპარსულის გრამატიკული სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ძველი ირანული დრო-ასპექტური სისტემის კომპლექსური მორფოლოგიური ტიპი, რომელიც შედგებოდა ზმნურ ფუძეთა და სათანადოდ ფლექსიურ ფორმათა ტრიქოტომიისაგან (პრეზენსი-აორისტი-პერფექტი), შეცვლილი იყო აწმყო და ნამყო დროის ზმნურ ფუძე და პირიან ფორმათა ბინარული პარადიგმატული ოპოზიციით, რომლებშიც აწმყოს ფორმები ფლექსიურია, ხოლო ნამყოსი — ანალიტიკური. პერიფრასტული

ზმნური ფორმების საყოველთაო ინტეგრირება შეიძლება განიხილებოდეს საშუალო სპარსულის (და ზოგადად, დასავლური საშუალო ირანული ენების) ინოვაციად.

საშუალო სპარსული ზმნის აღწერითი გრამატიკული ფორმებიდან ცალკე კატეგორიად გამოყოფილია „რთული ზმნები“ (В. С. Расторгуева, *Среднеперсидский Язык, Москва, 1966, стр. 84*; (В. С. Расторгуева, Е. К. Молчанова, *Среднеперсидский Язык, Основы Иранского Языкознания, Москва, стр. 135-136*; W. Sundermann, *Mittelpersisch, pp.151-152*) რომლებიც შედგება ორი კომპონენტისგან: არსებითი, ზედსართავი ან ნაზმნარი სახელისა და დამოუკიდებელი (უმთავრესად გარდამავალი ტიპის) ზმნებისაგან, როგორცაა *kardan*-“კეთება”, *dādan* “მიცემა, ბოძება”, *burdan* “მოტანა” და სხვ.

უკვე ადრე საშუალო სპარსულ წერილობით ძეგლებში — მანიქურ ტექსტებში (III ს. ჩვ. წ.), სასანურ წარწერებსა და სირიული ფსალმუნის საშუალო სპარსულ თარგმანში (IV ს. ჩვ. წ.) ვლინდება რთული ზმნების თვალსაჩინო მოდელები, რომლებიც კონტექსტების შესაბამისად ან გრამატიკულ ფორმას გადმოსცემს (მაგალითად, *āfrīn kardan* “ხოტბის შესხმა“, რომელშიც *āfrīn* არის პირდაპირი დამატება), ან ზმნური ფრაზეოლოგიზმების შესაბამისია.

მოხსენებაში წარმოდგენილია რთული ზმნების სემანტიკური და დისტრიბუციული ანალიზი ადრე საშუალო სპარსულის მასალის მიხედვით.

## გიორგი გოგოლაშვილი

### კიდევ ერთხელ -ია დაბოლოების თაობაზე -ად და -ამ თემისნიშნისა ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შორის

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით I თურმეობითში პარალელურ ფორმათაგან — დაუნხატავს || დაუნხატია — მეორე (ია დაბოლოებიანი) ვარიანტი მიჩნეულია არალიტერატურულად („უკუგდებულ უნდა იქნეს“).



1970-1976 წლებში პროფ. ზ. ჭუმბურიძის მიერ გამოითქვა აზრი, რომ „-ავ და -ამ თემისნიშნისა ზმნათა I თურმეობითის ორივეგვარი წარმოება სალიტერატურო ენაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული“. მოგვიანებით ამ საკითხს შევეხეთ რამდენიმე ნაშრომში (2000, 2001, 2007 წლებში). ჩვენი აზრი ასეთი იყო: „თა დაბოლოებიან ფორმებს (დაუმალაია, უნახია... დაუჟმალივარ, ვუნახივარ...) უნდა მოეხსნას აკრძალვა და ისინიც მიჩნეული უნდა იქნენ სალიტერატურო ენის კუთვნილებად“. მსგავსი თვალსაზრისი გამოთქვეს დ. მელიქიშვილმა (2001 წ.), რ. სალინაძემ (2007 წ.), რ. ზეჟალაშვილმა (2008 წ.)... წარმოდგენილ ნაშრომებში არის საფუძვლიანი ცდა ამ თვალსაზრისის დასაბუთებისა. მიუხედავად ამისა, ნორმის ცვლილების საკითხს ოფიციალური მხარდაჭერა არ ჰქონია. უფრო მეტიც, ახლახან გამოქვეყნდა შ. აფრიდონიძის წერილი, რომელშიც ამ აზრის „ოპონენტებისა თუ კრიტიკოსების“ მიმართ საკმაოდ არამეცნიერული, არაკორექტული დამოკიდებულების გამოჟღერებით არის სურვილი ჩვენი აზრის უარყოფისა; თუმცა ავტორს არანაირი სერიოზული არგუმენტი საამისოდ არ წარმოუდგენია.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვსვამთ საკითხს ამგვარად: არის თუ არა შესაძლებელი (და აუცილებელიც) არსებული ნორმის შეცვლა, თუ რელიგიური ენობრივი ვითარება ამის საფუძველს იძლევა? თითქმის საუკუნის წინანდელი ნორმები შეიძლება თუ არა დღევანდელი ვითარების შესაბამისად გასწორდეს? ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ პრინციპული პოზიცია უნდა დაიჭიროს — ნორმა არ არის მუდმივი და უცვლელი ფენომენი. გავიხსენოთ არნოლდ ჩიქობავას შეგონება: „არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარვმართოთ: შევიზარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით. მეორეცა და სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან“.

## ნ ი ნ ო დ ო ლ ი ძ ე

### აჭარულ და გურულ დიალექტთა ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის

(აღ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი მასალების მიხედვით)

ყველა ქართველური ენისთვის, ჩვეულებრივ, ლექსიკის სამი ფენაა დამახასიათებელი:

1. ძირეული (საერთოქართველური) ლექსიკა;
2. მხოლოდ ამა თუ იმ ქართველური ენისთვის სპეციფიკური ლექსემები;
3. ნასესები ლექსიკა:

ა) ურთიერთსესება ქართველურ ენებს შორის;

ბ) უცხოენოვანი სესება ქართველურ ენებში.

იგივე ითქმის დიალექტთა ლექსიკური ფონდის შესახებაც.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ქართული ენის მხოლოდ ორ კილოს: აჭარულსა და გურულს, სადაც ერთმანეთისაგან განირჩევა მთისა (ზემოაჭარული, ზემოგურული) და ბარის (ქვემოაჭარული, ქვემოგურული) მეტყველება. პირველ შემთხვევაში იძებნება ანალოგიური ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — დასავლეთ საქართველოს დიალექტებთან.

„აჭარულის თავისებურებანი შეაპირობა ჯერ კოლხური, შემდეგ მესხურ-კლარჯული და გურული დიალექტების გარემოცვამ, ბოლოს კი — თურქთა ასიმილაციური პოლიტიკის გატარების შედეგად — თურქულის ძლიერმა ზეგავლენამ. აქვე შეიმჩნევა ზანურის სუბსტრატის კვალიც“ (ვ. თოფურია).

პროფ. აღ. ლლონტის ცნობილ ნაშრომში „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ ცალ-ცალკეა ილუსტრირებული მხოლოდ აჭარული ან მხოლოდ გურული ლექსემები, საერთო მასალა შეტანილია აღნიშნულ **აჭარ.-გურ.** ან **გურ.-აჭარ.** გარდა ამისა, საკმაო რაოდენობითაა სხვა დიალექტებთან საერთო მონაცემები.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ქვემოაჭარულისა და ქვემოგურულის შემთხვევაში (ანუ იმ მეტყველებისა, რომლის წარმომადგენელიც

გახლდათ თავად ცნობილი ლექსიკოლოგი) ყველაფერი რიგზე არ არის ლექსიკონში. მაგალითად, მხოლოდ აჭარული დიალექტის კუთვნილებადაა მიჩნეული ისეთი ლექსემები, რომლებიც იმავე ფორმითა და სემანტიკით გვხვდება ქვემოგურულში და ზოგჯერ ზემოგურულშიც (იშვიათად სხვაგანაც).

**აფორვა** — ობის მოკიდება, დაობება

**აფუნგვა** — აშლა, არევა, აწეწვა

**ბაზი** — შხამიანი დიდი მწერი

**ბლაჩუნი** — ბლაცუნი

**ბლოქინი** — გაჯავრებით, ხმამალლა და უსიამოვნო ხმით ლაპარაკი

**გადაწიწვა** — გადაწევა, გადალუნვა

**გამობურკვა** — ხილისთვის კურკის გაცლა

**გაბიწკინება** — კარგად შეწვა, გამოცხობა, დაბრაწვა

**გაბკიალება** — გაპრიალება, გაწმენდა, გასუფთავება

**გარაწკუნება** — გაწკარუნება

**დაბინავება** — ქალის გათხოვება, ახალ ოჯახში მოხვედრა... და სხვა მრავალი.

ფორმალურად ერთი და იგივე ლექსემა აჭარულსა და გურულში სხვადასხვა მნიშვნელობითაც შეიძლება იხმარებოდეს, მაგრამ ზოგჯერ არც ამის შესახებაა მითითებული „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონანი“ (ბალაგანი აჭარულად „სათივეა“, ხოლო გურულად — „ჭაობი“).

ზემოაღნიშნული ვითარება, ვფიქრობთ, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ აჭარული ლექსიკონები გაცილებით მეტია და მრავალმხრივი, ხოლო გურული, სამწუხაროდ, სულ ორიოდ (ს. ჟღენტისა და გ. შარაშიძისა) და ისიც ფრაგმენტული ხასიათისა.

## ლ ა ლ ი ე ზ უ გ ბ ა ი ა

### თავისებურ ზმნათა კომპიუტერული აღწერისათვის

ქართული ზმნის კომპიუტერული დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ თავისებურ ზმნათა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს აღნუსხულია სპეციალურ ლიტერატურაში. სიცხადისათვის შევეხებით უღლების პარადიგმების აგებასთან დაკავშირებულ საკითხებს ერთი თავისებური ზმნის მაგალითზე.

**ჰ-გავ-ს, მი-ა-გავ-ს, მი-უ-გავ-ს** ფორმებში გამოიყოფა **გავ-** ფუძე. ფორმები სტატიკურია. **ჰ-გავ-ს, მი-ა-გავ-ს** ნეიტრალური ვერსიის ორპირიანი ზმნებია, ხოლო **მი-უ-გავ-ს** — სასხვისო ვერსიის ორპირიანი, მაგრამ სამვალენტური ზმნა. მაგალითად, „**ბავშვს** აწითლებული ცხვირი **ბოლოკს** მიუგავს“ — წინადადებაში ორი სახელი დგას მიცემით ბრუნვაში, მაგრამ **ბოლოკს** პირმიუმაართავია, ანუ უბრალოდამატებაა.

ცხადია, სამსავე ფორმას საკუთარი პარადიგმა აქვს აწმყოში, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში, ხოლო დანარჩენ მწკრივებში სხვა ფუძეები გამოიყენება: **მხგავს-, მგვან-**, რომელთა წარმომავლობა ჰ-გავ-ს ფორმის კაუზატიურ ფორმებთან უნდა იყოს დაკავშირებული (თ. უთურგაიძე).

კომპიუტერული მოდელირების დროს პარადიგმის ფარგლებში საცნაურია ერთი ფუძე, რომელიც ფუძეთა ბაზებშია განთავსებული. როგორც კი თავს იჩენს განსხვავებული ფუძე, მასთან დაკავშირებული ფორმები დამოუკიდებელ პარადიგმად აღიქმება. ეს ნიშნავს, რომ მრავლობითში დაფიქსირებული ფორმებიც **ჰ-გვან-ან, მი-ა-გვან-ან, მი-უ-გვან-ან** ვერ გაერთიანდება **გავ-** ფუძის პარადიგმაში, რადგან  $S_3^P$ -ში მას ენაცვლება **გვან-** ფუძე, რომელშიც **-ან** ელემენტს სხვადასხვა კვალიფიკაცია ენიჭება: ა. შანიძე თემის ნიშნად მიიჩნევდა, ლ. კიკნაძე — მედიუმთა მათქმეებელ ელემენტად, ხოლო თ. უთურგაიძის აზრით, **-ან** ისეთივე მაკაუზებელი ელემენტია, როგორცაა: **-ოლ, -უნ, -ენ** და ყველა სუფიქსი, ვ. თოფურის მიერ გამოყოფილ ფუძედრეკად ზმნებში.

**გავ-** ფუძესთან დაკავშირებით სხვა პრობლემაც იჩენს თავს. როგორც ითქვა, **ჰ-გავ-ს** და **მი-ა-გავ-ს** ნეიტრალური ვერსიის უმაქცევრო და მაქცევრიანი ფორმებია, ანუ ორივე მანქანურად ასე ჩაიწერება 3-1-1, სადაც 3 გვარის სიმბოლოა, პირველი 1 — ქცევის სიმბოლო, მეორე 1 — მწკრივისა. მაგრამ ყოველი კონკრეტული ციფრი გულისხმობს მხოლოდ ერთ ფორმას, ერთ მორფემას. პარალელური ფორმის ცნება კომპიუტერისთვის უცხოა. შესაბამისად **ჰ-გავ-ს** და **მი-ა-გავ-ს** ზმნათა პარადიგმების ასაგებად საჭირო ხდება **გავ-** ფუძის ორჯერ შეტანა ფუძეთა ბაზაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ნუმერაციით. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რომელ პარადიგმატულ მახასიათებლებთან უნდა მოხდეს ფუძის ბმა. რაც შეეხება **მი-უ-გავ-ს** ფორმას, ის ჩაიწერება ასე: 3-3-1, სადაც მეორე სამიანი სასხვისო ქცევის სიმბოლოა. ამჯერად, სასხვისო ქცევის პარადიგმა მიეზღება ორჯერ შეტანილი **გავ-** ფუძიდან ერთ-ერთს, კერძოდ, მაქცევრიანი **მი-ა-გავ-ს** ზმნის პარადიგმას. პირობითად, **გავ**<sup>1</sup>- ფუძე მოგვცემს **ჰ-გავ-ს** ზმნის პარადიგმას, ხოლო **გავ**<sup>2</sup>- ფუძე — **მი-ა-გავ-ს** ~ **მი-უ-გავ-ს** ფორმათა პარადიგმებს.

პარადიგმატული სხვაობა ამით არ ამოიწურება. **მი-უ-გავ-ს** ზმნის პარადიგმა პირნაკლია, ანუ დასაშვებია  $S_3O_1, S_3O_2, S_3O_3$  კომბინაციები, მაგრამ არა გვაქვს  $S_1O_2, S_1O_3, S_2O_1, S_2O_3$  კომბინაციები, როგორცაა **\*მი-მი-გავ-ნარ**, **\*მი-უ-გავ-ნარ**, **\*მი-ვ-უ-გავ-ვარ**... რაც შეეხება **მი-ა-გავ-ს** ზმნას, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილია მისი ფორმები ყველა კომბინაციაში, თუმცა მხოლოდ **წა-** ზმნისწინით: **წა-ა-გავ-ნარ**, **წა-ვ-ა-გავარ**, **წა-მ-ა-გავნარ** და ა. შ. **მი-** ზმნისწინიანთან მხოლოდ მესამე პირის ფორმებია მითითებული. ვფიქრობთ, აქაც უნდა დავუშვათ მსგავსი ფორმები.

საყურადღებოა ზმნისწინთა განაწილების საკითხიც. ერთი მხრივ, დასაშვებია: **მო-ჰ-გავ-ს**, **მო-ჰ-გავ-დ-ა**, **მო-ჰ-გავ-დ-ეს** ფორმები, მაგრამ **მო-** ზმნისწინს თითქოს ვერ ჰგუობს სხვა კომბინაციები: **\*მო-ვ-გავარ**, **\*მო-ჰ-გავ-ნარ**... ასევე დასაშვებია: **მი-ა-გავ-ს**, **მი-ა-გავ-დ-ა**, **მი-ა-გავ-დ-ეს**, მაგრამ არა ჩანს: **მი-ვ-ა-გავარ**, **მი-ა-გავ-ნარ** ფორმები, თუმცა ჩვენ მათ ვუშვებთ. თავისთავად კორელაცია **მი-ა-გავ-ს** ~ **მო-ჰ-გავ-ს**, ასევე **მი-უ-გავ-ს** ~ **მო-ჰ-გავ-ს** ხაზს უსვამს მაქცევრისა და პირის ნიშნის მონაცვლეობის კავშირს ორიენტაციის კატეგორიას-

თან და არა გეზის კატეგორიასთან, რასაც ადასტურებს წა- ზმნისწინიანი ფორმები, სადაც **წა-** ზმნისწინს **ოდნობითობის** სემანტიკა შემოაქვს და არანაირი კავშირი არა აქვს გეზთან.

ამდენად, მართო ამ ერთი ზმნის ანალიზისას ჩნდება მთელი რიგი ფორმოზომი და სემანტიკური მახასიათებლებისა, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ზმნის სრულყოფილი მანქანური აღწერა. რაც უფრო თავისებურია ზმნა, ტექნიკურად მით უფრო რთულია ზმნური პარადიგმების აგება, ამიტომაც ზმნურ ფუძეთა ბაზები ამავე დროს პარადიგმატულ ტიპთა ბაზებს წარმოადგენს, რომელთა რაოდენობა ჩვენს შემთხვევაში ათასს აღემატება.

## გ უ ბ ა ზ ვ ა ნ ი ლ ი შ ი

### 100 წლის ლაზი შემოქმედი

მიმდინარე წელს 100 წელი შეუსრულდებოდა მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტსა და მთარგმნელს მუხამედ ვანილიშს (1908-1997). იგი დაიბადა სოფ. სარფში, სადაც თურქული დაწყებითი სკოლის (მაშინ სარფში და აჭარის სხვა ზოგიერთ სოფელში სწავლა თურქულ ენაზე მიმდინარეობდა) დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ხოფის საშუალო სკოლაში, რომელიც დაასრულა 1927 წელს. 1928-1932 წლებში სწავლობდა ბათუმის მუშაკში.

30-იან წლებში მ. ვანილიშმა გამოაქვეყნა ლაზური ფოლკლორის ნიმუშები, სტატიები ლაზების ყოფა-ცხოვრებაზე, წერილები სარფელი, ოჩამჩირელი და გუდაუთელი ლაზების საქმიანობის შესახებ.

1936 წლიდან მუხამედ ვანილიში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისიის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად და სამხედრო საშეფო კომისიის თავმჯდომარედ, რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულად, აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარედ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, აჭარის კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს დირექტორად, ბათუმის

პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ.

მუხამედ ვანილიში იყო თავისი ქვეყნის პატრიოტი. მკაცრი რეჟიმის პერიოდში, როცა სხვადასხვა მიზეზთა გამო, საბჭოთა კავშირში ხდებოდა ხალხების მასიური გასახლება, გადაწყდა საზღვრისპირა სოფელ სარფიდანაც გაესახლებინათ ლაზები, მუხამედ ვანილიში მაშინვე ჩავიდა მოსკოვში და ყოველი ღონე იხმარა, რათა ეს საკითხი მოხსნილიყო დღის წესრიგიდან.

60-ზე მეტი წლის განმავლობაში მუხამედ ვანილიში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას. იყო მაღალკვალიფიციური ლექტორი, მკვლევარი, განათლების, კულტურის, ხელოვნების, საქართველოს ისტორიის დარგში. ის კარგად ფლობდა თურქულ, არაბულ და რუსულ ენებს, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. ლაზურ ენაზე წერდა ლექსებსა და პიესებს, რომლებიც მაშინ დიდი მოწონებით სარგებლობდნენ ლაზ მოსახლეობაში. ნიჭიერ შემოქმედს გამოქვეყნებული აქვს პიესები „ცუდ სიზმრებს ხედავენ“ და „მურადის ლოთობა“, მოთხრობა „ზექიე“ და სხვა.

თარგმანებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მცირე ფორმის თურქული შეგონებები „მამათა დარიგებანი“. ისინი გამოირჩევა აფორისტული სიცხადითა და აზრის სიღრმით. მაგალითად: „სიღარიბე სირცხვილი არ არის, სიზარმაცვა სირცხვილი“, „ღამით ღვინო, დღისით ნარდი — გელოდება დარდი“, „საქმის გაჭინაურება უცოდინარობის შედეგია“, „საჭმელი იხარშება წყლით, სიტყვა — მოფიქრებით“.

მუხამედ ვანილიშმა მრავალწლიანი სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მოიძია და დაამუშავა მასალები და ალი თანდილაგასთან ერთად მოამზადა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“, რომელიც დაიბეჭდა 1964 წელს. ნაშრომის რედაქტორია პროფ. სერგი მაკალათია (რეცენზენტები პროფ. დავით ხახუთაიშვილი და პროფ. რუსუდან ხარაძე). „წიგნი მიზნად ისახავს, მკითხველს გააცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. ამდენად, ნარკვევი წარმოადგენს პირველ ცდას და იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. მისასაღმებელია ის ფაქტიც, რომ ავტორები ლაზები არიან“ (ს. მაკალათია).

ნარკვევის ისტორიულ მიმოხილვაში ხაზგასმულია ლაზების სახელმწიფოებრივი ნიჭი და პოლიტიკური გამჭრიახობა წარსულში, აგრეთვე მათი გულადობა და სამშობლოსათვის თავდადება.

ეთნოგრაფიულ ნაწილში განხილულია ეკონომიკური მდგომარეობა (მიწათმოქმედება, მეზღვეობა, ლაზური საკვები, მეთევზეობა, ხელოსნობა), საზოგადოებრივი ყოფა (საოჯახო ურთიერთობა, ლაზური სახლი, ჩაცმულობა), ხალხური წეს-ჩვეულებანი (მშობიარობა, აკვნის ქორწილი, ბავშვის აღზრდა, გართობა-თამაშობანი, ქალის დანიშვნა, ქორწილი, ქალის მდგომარეობა, სამელოვიარო რიტუალი), რწმენა-წარმოდგენები (ახალი წლის შეხვედრა, ნადირობა, კაბის „გამოკოჭვა“), ხალხური სიტყვიერება (შაირები, ნადური სიმღერები, სატრფიალო ლექსები, თქმულებები, გამოცანები).

ეთნოგრაფიულ ნაწილში საყურადღებოა ლაზურ-მეგრული ადათ-ჩვევების მსგავსება, მიუხედავად მოსახლეობის საუკუნეობრივი გათიშვისა.

ავტორთა განცხადებით, „ლაზეთის ისტორიული წარსული მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხეთის ისტორიასთან. ძველი კოლხეთის სამეფოში, ძირითადად, მოსახლეობდა ქართველური მოდემის ორი მონათესავე ტომი — ლაზ-ჭანები და მანრალ-მეგრელები (ეგრისელები), რომლებიც მეტყველებდნენ ზანურად წოდებულ ერთ ენაზე“.

წიგნში მოტანილია ინგლისის ელჩის ჯ. პალგრევის ცნობა იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის მოსახლეობის რაოდენობა, ოფიციალური დოკუმენტებით, 850 ათასს აღწევდა, მათ შორის 56 ათასი ქრისტიანი იყო. მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობას ლაზები შეადგენდნენ. „ეს მშვენიერი რასაა, ისინი არიან კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები“.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქი მოგზაური ოსმან ბეი, რომელმაც 1864 წელს იმოგზაურა ლაზეთში. მისი გადმოცემით, ტრაპიზონი ლაზების მთავარი ქალაქია, გეოგრაფიული თვალსაზრისით იგი ლაზეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენს, რომელშიც მოსახლეობა შერეულია — უმრავლესობას შეადგენენ ლაზები, ცხოვრობენ ბერძნებიც.

ლაზები შრომისმოყვარენი არიან. ვაჭრობასა და ზღვაოსნობა-

ში ისინი დიდ მეტოქეობას უწევენ სხვა ტომებს. მათი ხომალდები ყველა მიმართულებით დაცურავენ. ისინი კარგი გემთმშენებლები არიან, დახელოვნებულნი არიან, აგრეთვე, სპილენძისა და თითბრის ჭურჭლის კეთებაში... დასასრულს ოსმან-ბეი აღწერს ლაზების ჩაცმულობას, რაც, მისი აზრით, არ განსხვავდება აჭარულ-გურულისაგან.

გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ლაზეთში იმოგზაურა, წერს: „ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და, ჩვეულებრივ, ცისფერი თვალები და თეთრი პირსახე აქვთ. ამასთანავე, ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიით, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან“.

„ლაზეთის“ ავტორები წარჩინებული საგვარეულოების შესახებაც წერენ. მაგალითად, მაკრიალსა და ლიმანში ზუმბაიები და მანელიშვილები ყოფილან ბეგები, მურადოღლი, ანუ მურადიშვილი — ბუჯალში, ორთახოფასა და სუნდურაში. ბეგები ყოფილან აგრეთვე შალიკაშვილები და ყორდანიები.

„ლაზეთის“ თურქულ ენაზე თარგმნა და მისი „ლაზების ისტორიის“ სახელწოდებით თურქეთში გამოცემა 1992 წელს დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. მას მრავალი სტატია და კრიტიკული წერილი უძღვნეს თურქულმა ჟურნალ-გაზეთებმა. ბევრი დადებითად გამოეხმაურა ამ მოვლენას, ზოგიერთი სტატიის ავტორი კი... მთავარი ის არის, რომ მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნის თურქულ ენაზე გამოცემის შემდეგ თურქმა მკითხველმა გაიგო, რომ ლაზი XI საუკუნეში შუა აზიიდან თურქ-სელჯუკებთან ერთად მოსული თურქული მოდგმის ერთ-ერთი ტომი კი არა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები საკუთარი ისტორიის მქონე ქართველური ტომი ყოფილა მდიდარი და შინაარსიანი წარსულით, რის შესახებაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წერდნენ ბერძენი და სხვა უცხოელი მკვლევარ-მოგზაურები.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### კოორდინაციის სისტემისათვის თანამედროვე ქართულში

1. მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმის ახსნა კოორდინაციის საფუძველზე (ძველი ქართულის მიხედვით) წარმოგვიდგინა არნ. ჩიქობავამ. შემდეგ ამ საკითხს სხვა მკვლევრებაც შეეხნენ.

2. თანამედროვე ქართულში (ისევე, როგორც ძველში) მარტივი წინადადების სამი ტიპი გვაქვს: აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი, რელატიურ-გარდაუვალზმნიანი და რელატიურ-გარდამავალზმნიანი. სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: ა) რელატიურ-გარდამავალზმნიანი წინადადების ზმნა და სახელები ერთმანეთს უკავშირდება კოორდინაციის საფუძველზე. **ზმნური კოორდინატი** (ძირითადი კოორდინატი) მართავს **სახელურ კოორდინატებს** — მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტებს — ბრუნვაში. ეს უკანასკნელნი მართავენ **ზმნურ კოორდინატს** პირის მიხედვით და ითანხმებენ მას რიცხვში (ზოგი გამონაკლისის გარდა); ბ) რელატიურ-გარდაუვალზმნიანი წინადადების **სახელური კოორდინატები** (მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი) ასევე მართავენ ზმნას პირის მიხედვით და ითანხმებენ მას რიცხვში (გამონაკლისი აქაც გვაქვს). სახელურ კოორდინატთან მორფოლოგიური სუბიექტი სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი — მიცემითი ბრუნვის ფორმით დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში; გ) აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიან წინადადებაში მორფოლოგიური სუბიექტი მართავს ზმნას პირში და ითანხმებს მას რიცხვის მიხედვით, თავად კი უმართავია.

3. თანამედროვე ქართულში მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების პირი თუ რიცხვი ხან ნიშნებითაა წარმოდგენილი ზმნაში (**მ**-ხატავ-ს ის მე, **მ**-ხატავ-ენ ისინი მე, **გვ**-ხატავ-ს ის ჩვენ, **გვ**-ხატავ-ენ ისინი ჩვენ...), ხან — ნულით (**გ**-ხატავ-~~თ~~ ის თქვენ, **გ**-ხატავ-ენ-~~თ~~ ისინი თქვენ, ან კიდევ: ~~თ-თ-თ~~-უხატავ შენ მას მას...). ბუნებრივია, ნიშნიან და უნიშნო (ნულოვან) ფორმებს სინტაქსურად ერთი და იგივე ძალა აქვთ.

4. თანამედროვე ქართულში რელატიურზმნიანი მარტივი (გაუვრცობელი) წინადადების წევრები იქნება: ზმნური კოორდინატი, მორფოლოგიური სუბიექტის შესაბამისი სახელური კოორდინატი და ბრუნვაცვალებადი თუ ბრუნვაუცვლელი მორფოლოგიური ობიექტების შესაბამისი სახელური კოორდინატი. **დამატება** გვექნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — დრო-კილოთა მესამე სერიის ნაკვებთან, როცა სამსახელიანი ზმნის ბრუნვაცვლელი მორფოლოგიური ობიექტის შესაბამისი სახელური კოორდინატი თანდებულის ფორმად მოიქცევა (მიუწერია მამას **შვილისთვის** წერილი). ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მას (**შვილისთვის**) შეიძლება **უბრალო** აღარც ეწოდოს (არამედ — **დამატება**), რადგან პირდაპირი და ირიბი დამატებების ადგილს ბრუნვაცვალებადი და ბრუნვაუცვლელი მორფოლოგიური ობიექტების შესაბამისი სახელური კოორდინატები იკავებენ.

5. მოხსენებაში განხილული იქნება სახელური კოორდინატები სიდიდე-სიმცირის მიხედვით (პირთა კომბინაციების გათვალისწინებით).

6. თანამედროვე ქართულში რელატიურზმნიანი მარტივი (გაუვრცობელი) წინადადება წარმოადგენს ზმნურ და სახელურ კოორდინატთა შესიტყვებას.

## რ უ ს უ დ ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

### კაუზატივის ფორმების შესახებ სვანურში

1. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ენაში თეორიულად დასაშვებია მეორადი კაუზატივების წარმოების გამეორება (მაგ: აწერინებს → აწერინებინებს). ანტონი პირველის „ქართული ღრამატიკისა“ და თანამედროვე დიალექტების მონაცემთა მიხედვით ასეთ ფორმებს ადასტურებენ საშუალო ქართულში და თანამედროვე დიალექტებში (თ. უთურგაიძე). სვანურ ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა ორმაგი კაუზაცია, მეტიც, შეინიშნება ფორმები, სადაც გვხვდება სამმაგი სუფიქსით გამოხატული კაუზაცია:

(ბზ.) ხ-ამწრ-უნ-ე||ხ-ამწრ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-ე||ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე;

ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-წ-უნ-ე (“ამზად-ებ-ინ-ებ-ს”).

(ბქ.) ხ-ამწრ-უნ-ე||ხ-ამწრ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-ე (“ამზად-ებ-ინ-ებ-ს”).

(ლმზ.) ხ-ამწრ-უნ-ე||ხ-ამწრ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-ე||ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-წ-უნ-ე (“ამზად-ებ-ინ-ებ-ს”).

(ლნტ.) ხ-ამწრ-უნ-ე||ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“ამზად-ებ-ინ-ებ-ს”).

(ჩლ.) ხ-ამწრ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-ე; ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამწრ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ამწრ-წ-უნ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“ამზად-ებ-ინ-ებ-ს”).

(ბზ.) ხ-ასყ-უნ-ე||ხ-ასყ-წ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ასყ-წ-უნ-უნ-უნ-ე (“აკეთ-ებ-ინ-ებ-ს”).

(ბქ.) ხ-ასყ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აკეთ-ებ-ინ-ებ-ს”).

(ლმზ.) ხ-ასყ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აკეთ-ებ-ინ-ებ-ს”).

(ლნტ.) ხ-ასყ-უნ-ე||ხ-ასყ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აკეთ-ებ-ინ-ებ-ს”).

(ჩლ.) ხ-ასყ-უნ-ე||ხ-ასყ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ასყ-წ-უნ-უნ-უნ-ე; ხ-ასყ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ასყ-წ-უნ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აკეთ-ებ-ინ-ებ-ს”).

(ბზ.) ხ-ამყდ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე;

ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“არეცხ-ინ-ებ-ს”).

(ბქ.) ხ-ამყდ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“არეცხ-ინ-ებ-ს”).

(ლმზ.) ხ-ამყდ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“არეცხ-ინ-ებ-ს”).

(ლნტ.) ხ-ამყდ-უნ-ე||ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“არეცხ-ინ-ებ-ს”).

(ჩლ.) ხ-ამყდ-უნ-ე||ხ-ამყდ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-ამყდ-უნ-წ-უნ-უნ-ე||ხ-ამყდ-წ-უნ-უნ-უნ-ე (“არეცხ-ინ-ებ-ს”).

(ბზ.) ხ-აკრ-უნ-ე||ხ-აკრ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).

(ბქ.) ხ-აკრ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).

(ლმზ.) ხ-აკრ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკრ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).

(ლნტ.) ხ-აკარ-უნ-ე||ხ-აკარ-უნ-უნ-ე; ხ-აკარ-უნ-უნ-უნ-ე; ხ-აკარ-უნ-უნ-უნ-ე (“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).

(ჩლ.) ხ-აკარ-უნ-ე||ხ-აკარ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკარ-უნ-წ-უნ-უნ-ე; ხ-აკარ-უნ-წ-უნ-უნ-ე (“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).

(“აღებ-ინ-ებ-ს კარს, ფანჯარას”).  
 (ბზ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ა-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ა-უნ-უნ-ე  
 (“ასსენ-ებ-ს”).  
 (ბქ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ა-უნ-ე (“ასსენ-ებ-ს”).  
 (ლშხ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ნ-უნ-უნ-ე  
 (“ასსენ-ებ-ს”).  
 (ლნტ.) ნ-აშყდ-უნ-ნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-ნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-ნ-უნ-ე;  
 ნ-აშყდ-უნ-უნ-ნ-უნ-უნ-ე (“ასსენ-ებ-ს”).  
 (ჩლ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-ნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-  
 ნ-უნ-გ-ე (“ასსენ-ებ-ს”).  
 (ბზ.) ნ-აშყდ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე;  
 ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ბქ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-ნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე  
 (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ლშხ.) ნ-აშყდ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-  
 ნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ლნტ.) ნ-აშყდ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-  
 ნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ჩლ.) ნ-აშყდ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-  
 ნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ბზ.) ნ-აშყდ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-  
 აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ბქ.) ნ-აშყდ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე  
 (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ლშხ.) ნ-აშყდ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-  
 ნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ლნტ.) ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე  
 (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 (ჩლ.) ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-ე||ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე||ნ-აშყდ-  
 ნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე; ნ-აშყდ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-უნ-ე (“აწერ-ინ-ებ-ს”).  
 სვანურში კაუზატივს აწარმოებს -უნ სუფიქსი. თუ ზმნის ფუძე  
 ერთმარცვლიანზე მეტია და შეკუმშულია, მაშინ -უნ-ის რედუქცია  
 მოსდის და იქცევა -უნ-ე (ვ. თოფურია).  
 ორმაგი და სამმაგი კაუზაციის მიზეზი შეიძლება იყოს  
 კაუზატიური სუფიქსების ფუნქციის დაკარგვა.

## გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

### ახალ დისციპლინათა საერთო თეორიული საფუძველი და ურთიერთმიმართება

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ზედიზედ წარმოიშვა ენათმეცნიერების ახალი მიმართულებები, რომლებმაც ენის სისტემისადმი იმანენტური მიდგომის არასაკმარისობა გამოავლინა. ისინი ყალიბდებოდა სტრუქტურული ენათმეცნიერების ერთგვარი დაძლევისა და ახლო წარსულში ფართოდ გავრცელებული ლინგვისტიკური კონცეფციების კრიტიკით: ა) არაადეკვატურია ენობრივ ერთეულთა ანალიზის შემოფარგვა ენის მხოლოდ მოდელებისა და სტრუქტურების თვალსაზრისით; ბ) ცალმხრივობა ახასიათებს თეორიებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ იმას, რომ ენობრივი ურთიერთობა ორმხრივი პროცესია, სადაც მონაწილეობენ როგორც მოლაპარაკე (მეტყველების წარმომქმნელი), ისე მსმენელი (მეტყველების აღმქმელი); გ) კომუნიკაცია მხოლოდ მზა ენობრივი ფორმების რეალიზაცია არ არის, არამედ ამ ფორმათა წარმომქმნელიცაა. იდეა მომდინარეობს ვ. ჰუმბოლდტისაგან, რომელიც ენას განიხილავდა როგორც „უკვე შექმნილის, უკვე ნაწარმოების“ („ერგონის“) და შექმნის „პროცესში მყოფის“, „შემოქმედი ძალის“ („ენერგის“) დიალექტიკურ ერთიანობას. ამასთანავე, მთავარი როლი ამ უკანასკნელს (მოქმედებას) ენიჭებოდა. ჰუმბოლდტის თეორიის აქტუალიზება ენის ახალ გაგებაშიც აისახა — ენა განისაზღვრება არა როგორც ნიშანთა სტატიკური სისტემა, არამედ როგორც სისტემა რეალურ მოქმედებაში, ამასთანავე, ადამიანთან, მეტყველ სუბიექტთან მჭიდრო კავშირშიც.

თანამედროვე კომუნიკაციური თეორიის თანახმად, ენის შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს როგორც შიდაენობრივი, ისე გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, ვინაიდან ისინი არსებითად განაპირობებენ ვერბალური ურთიერთობის სტრუქტურასა და შინაარსს. ცხადია, გარეენობრივი ფაქტი ენობრივი ფაქტი არ არის, მაგრამ არც ამ უკანასკნელის განხილვა შესაძლებელი პირველის გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, ენის ანალიზი ხდება კომპლექსური, ხოლო ანალიზის საგანი — უფრო ვრცელი. მაგ., სიტყვის მნიშ-

ვენლობის კვლევისას საკმარისი აღარ არის საკუთრივ ენობრივი კონტექსტი, აუცილებლად გასათვალისწინებელია პრაგმატიკული კონტექსტები და სიტუაცია; სინტაქსური კვლევაც სცდება წინადადების ფარგლებს და ინაცვლებს მეტყველების აქტთა ბმულ თანამიმდევრობაზე ანუ დისკურსზე, რომელიც სხვადასხვა ასპექტის (პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური...) გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ენის ანალიზის სფეროში ადამიანის ფაქტორის შემოყვანამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ლინგვისტიკის ჰორიზონტი და, ამასთანავე გამოიწვია ენათმეცნიერების დაახლოება ადამიანის შემსწავლელ ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეთნოლოგია, ისტორია, კულტუროლოგია, კოგნიტოლოგია, ბიოლოგია, ნევროლოგია. მათ მიჯნასა და გადაკვეთაზე წარმოიშვა ინტერდისციპლინარული მეცნიერებები, რომლებიც თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის კომუნიკაციურ პარადიგმაში განიხილება.

ახალ დისციპლინათა მეცნიერებათაშორისი ბუნება და სტატუსი გამოხატულებას პოულობს თითოეული მათგანის ცნებით აპარატსა და კომპოზიტურ სახელწოდებაში. მათი ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარია:

**ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის** წარმოშობას საფუძვლად უდევს მეტყველების შემდეგი ონტოლოგიური დახასიათება: მეტყველების აქტის მიზანი ამ აქტის გარეთ ძევს. სამეტყველო ქმედება არასამეტყველო ქმედებას ემსახურება და ამით არის შეპირობებული;

**ფსიქოლინგვისტიკისა და ნეიროლინგვისტიკის** კვლევის ერთი უბანი აქვთ საერთო — ფონოლოგიურ, გრამატიკულ, ლექსიკურ და სემანტიკურ მოშლილობათა გამოვლენა. აქ ფსიქოლინგვისტიკა ქმნის თეორიულ საფუძველს, ხოლო ნეიროლინგვისტიკა სპეციალურად არის ორიენტირებული სხვადასხვა სახის აფაზიათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობაზე;

განსხვავებული კუთხითა და აქცენტებით სწავლობენ სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენას ენაზე **სოციოლინგვისტიკა** და **ეთნოლინგვისტიკა**. ეს უკანასკნელი ენობრივი მონაცემების მეშვეობით შეისწავლის ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ფსი-

ქოლოგიას, მითოლოგიას, ისტორიასა და კულტურას იმ პოსტულატზე დაყრდნობით, რომ ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამყაროს ენობრივი სურათით, მსოფლხედვით.

**ეთნოლინგვისტიკის** წიაღში ნარმოიშვა **ლინგვოკულტუროლოგია**, რომელიც ეროვნული დისკურსის სპეციფიკურ ერთეულებს ავლენს და იკვლევს, სწავლობს დედაენის როლს ადამიანის შემეცნებით მოღვაწეობაში. ეს სფერო მას საერთო აქვს **კოგნიტიურ ლინგვისტიკასთან**, რომელსაც, თავის მხრივ, **კომპიუტერული ლინგვისტიკა** უკავშირდება: საერთო ასპექტია სხვადასხვა ცოდნის ენობრივი კატეგორიზაცია და კონცეპტუალიზაცია.

**ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის, პრაგმალინგვისტიკისა და დისკურსის თეორიის** ურთიერთდაკვეთის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს **პარალინგვისტიკა**.

ჩამოთვლილი თანამედროვე დისციპლინებთან საერთო პრობლემები და კვლევითი ინტერესები აქვს **პრაგმალინგვისტიკასაც**, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია.

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ახალ ინტერდისციპლინარულ მიმართულებებს აერთიანებს ანთროპომორფიზმზე, დინამიზმზე, ფუნქციონალიზმსა და კოგნიტივიზმზე დამყარებული შეხედულებები და პრინციპები. ვერც ერთ ახალ დისციპლინას ვერ ექვემდებარება ტრადიციული ლინგვისტიკა, რომელიც ახლისა და ტრადიციულის დაპირისპირებაში არამარკირებულად აგრძელებს არსებობას, ოპოზიციის გარეთ კი განაგრძობს საკუთარი პრობლემებისა და კონკრეტული საკითხების კვლევას იმ დარგების მიხედვით, რომლებიც ისტორიულ პროცესში ემპირიულად ჩამოყალიბდა.



**კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსის დაწესებულებისათვის**

1948-52 წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მინგეჩაურის გათხრების შედეგად, აღმოჩნდა რამდენიმე ალბანური წარწერა და გრაფიტი. მათ ერთობლიობას დღეს ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ; მასში შედის: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა — 70 გრაფემა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე № 1-50 გრაფემა; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე № 16/17 გრაფემა; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე № 3-8 გრაფემა; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე № 4-24 გრაფემა, 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე № 1-21 გრაფემა; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე № 2-5/6 გრაფემა. მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისგან და მასში სავარაუდოდ ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან დადასტურებულია 31 გრაფემა.

ამ კორპუსში ტრადიციულად ყველა მეცნიერს შეჰქონდა ე. წ. დერბენტის წარწერა, რაც გაუგებარია.

ზემოხსენებული წარწერა აღმოჩენილია მ. ბარხუდარიანის მიერ, რომელმაც გადმოხატა იგი (ბარხუდარიანი; 1893).

მის გარდა ეს წარწერა არავის უნახავს, თუ არ ჩავთვლით მ. სმბათიანს, რომელმაც შესაძლოა ნახა იგი, თუმცა ეს საეჭვოა, რადგან მისი ცნობა და წარწერის ნახატი ზუსტად იმეორებს მ. ბარხუდარიანის ცნობას წარწერის აღმოჩენის შესახებ (სმბათიანი; 1896).

მიუხედავად იმისა, რომ დერბენტში ყოფნისას ს. მურავიოვმა ვერ აღმოაჩინა ეს წარწერა, იგი მაინც ახორციელებს ცდას მისი წაკითხვისა. ვინაიდან იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იგი გვხვდება მ. ბარხუდარიანის და მ. სმბათიანის ნაშრომებში მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ს. მურავიოვმა 180°-ით შეაბრუნა წარწერა, ასევე შეიტანა რამოდენიმე შესწორება, რის შედეგადაც იგი წაიკითხა როგორც კართა ზღუდე / კარის ზღუდე — ტრანსკრიფცია გოზ ჭულეიმო 'კ' (მურავიოვი 1981; 281-282).

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარწერის პირველი გრაფემა არ წარმოადგენს გ-ასო-ბგერას (მიუხედავად იმისა, რომ ეს გრაფემა პალიმფსესტში არ არის დადასტურებული). ასევე ეჭვს იწ-

ვეს ყველა დანარჩენი გრაფემის იდენტიფიკაცია; წარწერის № 3 გრაფემა (მურავიოვის აზრით -ზ) უფრო ჰგავს ალბანური ანბანის № 23 (ჰ); წარწერის № 6 (ლ) ~ ანბანის № 34 (ჯ?); წარწერის № 8 (მ) ~ ანბანის № 9 (თ). წარწერის სხვა ნიშნებისთვის კი ანალოგიების პოვნა ალბანურ ანბანში ჭირს.

უნდა ითქვას, რომ საეჭვოა საერთოდ დერბენტის წარწერის არსებობის ფაქტი და თუ მაინც დავუშვებთ მის არსებობას, ძნელად სავარაუდოა იგი წარმოადგენდეს კავკასიის ალბანური დამწერლობის ნიმუშს.

**ქეთევან მარტიანი-სუბარი**

**მირთვა სვანურში**

მირთვა სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა წინადადებაში, როცა „წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობლივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს“ (ლ. კვაჭაძე).

ხშირად რთულია ზღვრის დადება მართვასა და მირთვას შორის, განსაკუთრებით თანდებულისანი ფორმისა და მოქმედებითი ბრუნვის შემთხვევაში; „მოკლა თოფით“, „წავიდა ფეხით“ ტიპის წყვილებში, თუ დავუშვებთ, რომ მხოლოდ ეს ბრუნვაა შესაძლებელი, მაშინ მართვაა, მაგრამ, „რადგან ცნობილია, რომ ერთპირიანი ზმნა მართვის უნარის გარეშეა, მოცემულ მაგალითებში მირთვა დაიშვებაო“ — აღნიშნავს ვ. თოფურია. თანდებულისანი ბრუნვა იდიომატურ გამოთქმაშიც „ხელში აქვს“ შეიძლება შეიცვალოს ფორმით „ხელთ აქვს“... მაშასადამე, „ქართულში მირთულია ზმნიხედა და თანდებულისანი სახელი ყველა შემთხვევაში, მიმრთველი კი, უწინარეს ყოვლისა, — ზმნა (შემასმენელი) და ნაზმნარი სახელი (იქნება ის განსაზღვრება თუ წინადადების სხვა წევრი)“ (ვ. თოფურია).

პრინციპი ანალოგიურია სვანურ ენაშიც, მაგრამ მირთვის არეალი აქ უფრო ფართო ჩანს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო

ენასთან შედარებით, რაც, ძირითადად, მირთულ სიტყვათა მრავალფეროვნებას უკავშირდება;

1. სვანურ ენაში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, არის პირველადი (**ქწმ** „გარეთ“, **ბაზი** „ამაღამ“, **ლადი** „დღეს“...) და მეორეული, ანუ ნაწარმოები ზმნიზედები, სადაც გაქვავებული ბრუნვისნიშანების (**ჰამ-ს** „დილას“, **ლწთ-შუ** „ღამით“, **ჭუინალ-დ** „ძველად“) და თანდებულისათა (**ემ-თე** „იქით“, **ერ-ხან** „იქიდან“...) გვერდით გვხვდება საკუთრივ ზმნიზედათა მწარმოებლიანი ფორმები: **ჟი-ხი** „უფრო ზევით“ (შდრ. **ჟიბ** „ზევით“).

2. მდგომარეობის ან მიმართულების მაჩვენებელ მარტივ თანდებულთა კომბინაციით მიღებული რთული თანდებულები **-თესგა / -თეგა, -თეჟა, -ხანჟა / -ხენჟა, -ხანჟი / -ხენჟი** და სხვ. ერთდროულად ასახავენ ჯერ მოქმედების მიმართულებას, შემდეგ კი მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდება საგანი მოქმედების დამთავრების შემდეგ:

**ქორისგა წარი** „სახლში არის“ (შიგნიმყოფობა), შდრ. **ქორს წარი** „სახლში (შინ) არის“;

**ქორთე ესდრი** „სახლში (სახლისკენ) მიდის“;

**ქორთეგა ესდრი** „სახლში (შიგნით) შედის“.

**ჟი, ჩუ, რი** „სგაჰკა ელემენტები, რომლებიც „ზმნასთან წინდებულობა, სახელთან კი — თანდებული“ (გ. თოფურია), სინტაგმაში ერთდროული მონაწილეობისას გავლენას ახდენენ შესიტყვების სემანტიკაზე; შდრ.

**ლგცთ'ადსკინე** „წყალში გადახტა“;

**ლგცთეგა ადსკინე** „წყალში ჩახტა“;

**ლგცთეისგა სგა'ადსკინე** „წყალში (კი) ჩახტა“.

იგივე ნაწილაკი თუ დამოუკიდებლადაც ჩაერთო, მაშინ ასეთი შესიტყვება ქართულში პარონიმიის სახელით ცნობილი გამოთქმის შინაარსს იძენს:

**ლგცთეგა სგა სგა'ადსკინე, მარე ქანტიხხ** „წყალში ჩახტომით კი ჩახტა, მაგრამ გამოიყვანეს (გამოაბრუნეს)“.

ერთი და იგივე თანდებული ზოგჯერ განსხვავებულ სემანტიკას ანიჭებს მირთულ სიტყვებს და ქართულადაც სხვადასხვა თანდებულს შეისაბამებს:

**ეჯი ცხეთე იღურეჟდა ბაბას** „ის ტყისკენ იტყუებდა ბაბუს“;

**მალუ დაგვლთ'ანად** „მელა თხასთან წავიდა“;

**ეჯი ლასგნჯაჟთე ლგმარ მეკდე** „ის დასათვალიერებლად ყოფილა მოსული“.

**-თე** თანდებულისანი სახელი პირველ წინადადებაში ადგილის გარემოებაა, მეორეში — უბრალო დამატება, მესამეში კი მყოფადის მიმღობაზე დართვით მიზნის გარემოება მივიღეთ.

3. მიუხედავად თანდებულების სიუხვისა და მათი ფართო შესაძლებლობისა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის თანდებულის ფორმებს სვანურ ენაში ხშირად უთანდებულო და ორმაგბრუნვიანი ფორმები შეესაბამება, რომელთა ანალოგიები ძველ ქართულშია:

**ალ ჰემ ესერ ჩხუ-იშ-დ ხაკურ** „ეს თივა ცხენისთვის (ცხენ-ის-ად) მიწადა“.

4. თანდებულების გამოყენების ფართო შესაძლებლობა, მეორეული (ნაწარმოები) ზმნიზედების მრავალფეროვნება და ენის კონსერვატიულობა, გამოხატული ძველი ვითარების ამსახველი უთანდებულო ფორმების შემონახვით, განაპირობებს სვანურ ენაში სემანტიკური ნიუანსების მოქნილად გამოხატვის დიდ პოტენციალს და აფართოებს მართვის არეალს, რადგანაც იგი სინტაგმის წევრთა შორის სწორედ შინაარსობლივ კავშირს გულისხმობს.

## ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე

### რამდენიმე კალკის შესახებ

სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საშუალებაა. მაგრამ „მეორე უკიდურესობას წარმოადგენს განუკითხავად შემოტანა უცხო სიტყვებისა მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არის, თუ სათანადო სიტყვა შეიძლება დაეძებნოთ საკუთარ ლექსიკურ ფონდში ანდა ვაწარმოოთ არსებულ სიტყვათაგან სესხება გაუმართლებელია“ (არნ. ჩიქობავა).

ამისდა მიუხედავად, ხშირია სინტაგმური თუ სემანტიკური კალკის გადმოღებისა და დამკვიდრების ცდები.

**ა. ხასიათი.** ამ სიტყვას ქართულ ენაში სამი მნიშვნელობა აქვს: 1. ადამიანის სულიერ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც მის ქცევებში ვლინდება, 2. სულიერი განწყობა, 3. რისამე თვისება. ჩვენს შემთხვევაში ხასიათი არის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მრავალგვარია. არსებობს მტკიცე, შეუპოვარი, კარგი, ახირებული, ჭირვეული, უჟმური, მიძიმე, აუტანელი...

რუსული ენის მეშვეობით ენაში სინტაგმის — მტკიცე || შეუპოვარი ხასიათი — ერთი სიტყვით გამოხატვის ტენდენცია მკვიდრდება: „მას ჰქონდა **ხასიათი** და ღირსებაც“, „როცა პირველად ინსტიტუტში ვერ... ჩავაბარე, მერე უკვე **ხასიათი** გამოვიჩინე“, „მას ჰქონდა ფული და **ხასიათი**“.

ამგვარი შემთხვევები სემანტიკური კალკის ნიმუშებია, თუმცა არაიშვიათად მართებულ გამოყენებასაც ვხვდებით.

**ბ. ახალგაზრდა.** ბალახი || ღერო|| ნარგავი || კარტოფილი || ხახვი... ისევ ევროპული (რუსული, ინგლისური, ფრანგული) ენების გავლენით მკვიდრდება.

დახვეწილი ქართულით უნდა ყოფილიყო ნორჩი ბალახი || ღერო || ნარგავი || ნერგი || ნათესი || კარტოფილი || ხახვი || ჭარხალი.

**გ.** ქართულ ენას საშუალება აქვს ყოველი საზოგადო სახელი ორ რიცხვში აწარმოოს. თუმცა ისევ უცხო ენების „წყალობით“ იყენებენ ერთი ერთეულის გამოსახატავად მრავლობით რიცხვს: „მემოვიდა მამაკაცი, მზის შავი **სათვალეები** ეკეთა“, „ლინდსიმ **ჯინსების** უკანა ჯიბისაკენ წაიღო ხელი“, „ქალმა სულელურ ჩალის ქუდში, **შორტებში** და სანდლებში გამოწყობილი ბრიუს უილისი დაინახა“.

ყველა მაგალითი აშკარად მიუთითებს, რომ საუბარი ეხება ერთ კონკრეტულ სათვალეს, ჯინსსა თუ შორტს და არა მრავლობითში დასმულ ნივთებს.

სხვათა ენის ბრმად მიყოლა და გაუაზრებლად მიბადება ენას კი არ ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს, სამწუხაროდ, მხოლოდ ანაგვიანებს და აღარბებს.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში.

#### 2. აძეძლან // აძეზლან „ალი, ფერია“

აფხაზურში აძეძლან // აძეზლან აღნიშნავს „ალს, ფერიას“.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აძეძლან // აძეზლან ლექსემა რთული შედგენილობისა უნდა იყოს: აძე „წყალი“, + -ს (გარდაქცევითობის მაწარმოებელი სუფიქსი) + ლა (ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას გამოხატავს) + -ნ (ნამყო განუსაზღვრელი დროის ამ შემთხვევაში გაქცეული სუფიქსი).

\*ა-აძეძლან > აძეზლან > აძეძლან პროგრესული ასიმილაციით: თუმცა, აძეძლან || აძეზლან ორივე ცოცხალი, პარალელურად ხმარებული ფორმაა აფხაზურში.

სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „წყალად შიგ მყოფი“. აღნიშნული სემანტიკა „ალი“ ლექსემისა არც ქართულ-კავკასიური ფოლკლორისთვისაა უცხო.

## კ ო ბ ა მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა

### ადამიანის ასაკობრივ დიფერენციაციასთან დაკავშირებული ტერმინები ჩერქეზულ ენებში

ასაკობრივ დიფერენციასთან დაკავშირებული ტერმინების დაყოფა პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება.

პირველ ჯგუფს შეადგენს ტერმინები, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი სქესობრივი განსხვავება ადამიანებს შორის. ეს ტერმინები თანაბრად შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა მიმართ.

სიტყვების უმრავლესობა იწარმოება ადილ. **კპლ'** ფუძის გამოყენებით, რომელიც აღნიშნავდა „ახალს, ახალ გაჩენილს“.

ამ კატეგორიას განეკუთვნება ადილ. **კვლ'ან'არ**, ყაბ. **ს'ალ'ალ'ალ'ან** „ახალგაზრდები“ (**კვ** „ახალი (свежий)“, **ლ'ან** — სიტყვა-წარმოებითი აფიქსი, **-ან** — მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსი).

ყაბარდოული სიტყვა ნაწარმოებია **ს'ან** „ახალი, ახალგაზრდა“ ფუძეზე სიტყვაწარმოებითი **ლ'ალ'ან** სუფიქსის დართვით.

ადილ. **ზდგ'ან'ან'ლო** და ყაბარდ. **ხგ'ან'ან'ზ** აღნიშნავს „მოზარდს“ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესისა.

საყურადღებოა „ასაკის“ აღმნიშვნელი სიტყვები. ადილეურში „უფროსის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **ნაჰგ'ან** (**ნაჰ(გ)**) — შედარებითი ხარისხის მორფემას დაერთვის **ან(გ)** — სიტყვაწარმოებითი სუფიქსი; ყაბარდოულში ეს სიტყვა განსხვავებულია და აღნიშნავს „უფრო ძველს“. ასეთივე გზითაა მიღებული „უმცროსის“ აღმნიშვნელი ტერმინი ადილ. **ნაჰგ'ან**, ყაბარდ. **ნაჰან'ან** (ადილ. **ნაჰ** || ყაბარდ. **ნაჰ** + სუფიქსი **ან** || **ს'ან**).

ტერმინების მეორე ჯგუფს წარმოადგენს სიტყვები, რომლებშიც ერთდროულად აღნიშნულია ადამიანებს შორის სქესობრივი განსხვავებაც ე. ი. აქ მამაკაცისა და ქალის სქესის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინები დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი, გამონაკლისს წარმოადგენს „ჩვილი ბავშვის“ აღმნიშვნელი ტერმინები საკუთრივ ადილეური **ნანგ'ან** და **საბდგ**; უკანასკნელი, ა. შაგიროვის აზრით, ნასესხებია არაბულიდან: **sabiy** „ბიჭი“, „ყმაწვილი“ (შდრ. თურქ. **sabi** „ბიჭი“, „მცირეწლოვანი“) (ა. შაგიროვი). ყაბარდოულში ამ ტერმინთან ერთად (**საბდგ**) იხმარება სიტყვა **ბგ'ან'ან**, რომელიც ნიშნავს „ძუძუმწოვარ ბავშვს“ (**ბგ'ან** „ძუძუ“). (შდრ. აფხ. **აძყ** და **ასაბი**. ამ ტერმინებით აღინიშნება ბავშვი დაბადებიდან ერთ წლამდე.

ერთიდან შვიდ წლამდე ბავშვს ადილ. **კვლ'ან'ან'კ'ან**, ხოლო ყაბარდოულში **ს'ალ'ან'ან'კ'ან** ეწოდება (ზედმიწ. ადილ. **კვლ'ან**, ყაბარდ. **ს'ალ'ან** „ბიჭი“ + **ან'ან'კ'ან** „პატარა“).

ამავე კატეგორიაში მყოფი გოგონას აღმნიშვნელი ადილეური ტერმინია **ფს'ან'ან'ან'გ'ან** „გოგონა პატარა, ახალგაზრდა“, ხოლო ყაბარდოულში **ხ'გ'ან'ან'ან'გ'ან** „გოგონა“.

სკოლის ასაკის ბავშვს, რომელსაც უკვე გარკვეული სოციალური ფუნქცია გააჩნია (7-დან 18 წლამდე), ადილეუბი ეძახიან:

ა) „ბიჭს“ **კვლ'ან** (აბძახ. **ქ'მალ'ან**, აბძახურში ადილეურის შიშინა აფრიკატებს **კ, ჭ** გადადის რბილ ლარინგალურ აბრუბტივ (**ქ'-ში**); ყაბარდოულში **ს'ალ'ან** (შდრ. აფხ.-აბაზ. **აჰკ'ან** „ვაჟი 7 წლიდან 18 წლამდე“ (თ. გვანცელაძე), ხოლო ბზიფურ დიალექტში **აჰკ'ან** აღნიშნავს როგორც „ბიჭს“ ასევე „გოგონას (კ. შაყრილი).

ბ) „გოგონას“ ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ადილეურად **ფს'ან'ან** ეწოდება, ხოლო ყაბარდოულში — **ხ'გ'ან'ან**.

სრულწლოვანი ახალგაზრდა მამაკაცის აღსანიშნავად 18-30 წლამდე) ადილ. **კვ** || ყაბ. **ს'ან** ფუძის რედუბლიცირებული ფორმა ადილ. **კვლ'ან'ან** || ყაბ. **ს'ალ'ან'ან** იხმარება.

ადილეური **ლგ** „მამაკაცსაც“ აღნიშნავს და „ქმარსაც“ (შდრ. ძველ აფხაზურში **ალგ** „ქმარი“).

ამავე კატეგორიაში მყოფ ქალს ადილეურად **ბზგ'ან'ან**, ყაბარდოულად **ბზგ'ან'ან'ან** ეწოდება.

შემდეგ კატეგორიაში განიხილება ადილ.-ყაბ. **ლგ'ან** „მოხუცი კაცი“ (ზედმიწ. **ლგ** „კაცი, მამაკაცი + **ან** „მოხუცი“).

ამ კატეგორიის „მოხუცი ქალის“ აღმნიშვნელი ტერმინი ადილეურშია: **ნგ'ან'ან** „მოხუცი ქალი“ (ზედმიწ. „ქალი ძველი“), შდრ. **ნგ'ან** „მოხუცი ქალი“.

ოთხმოც წელს გადაცილებულ ადამიანს ადილეუბი ეძახიან: „მამაკაცს“ ადილ. **გარგ'ან'ან**, ყაბარდ. **გან'ან**, ხოლო ქალს „**ნგ'ან'ან**“ (ზედმიწ. „მოხუცი ქალი დიდი“).

## ნ ა თ ე ლ ა მ უ ზ ა შ ვ ი ლ ი

### ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისათვის

1. ახალ ტერმინთა დამკვიდრებას, რომლებიც გარკვეულ პროცესთან არის დაკავშირებული, თან სდევს ახალი ზმნური ფორმებისა და მათგან წარმოებული მასდარების შექმნა.

2. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ხშირია ზმნური ფორმები, რომლებშიც სახელური ფუძეები სალიტერატურო ქართულიდანაა აღებული, მაგრამ ზმნის ფორმები სპეციალური ტერმინებია.

3. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილია სახელური ფუძის მასდარები, რომელთაც შესაბამისი ზმნური ფორმები არ აქვთ, თუმცა უდასტურდებათ ამოსავალი აღწერითი წარმოება. ეს იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც ძველ ქართულში შეინიშნებოდა. ძველი ქართულის ზმნათა უღვლილებაში აღწერითი ფორმებისა და ორგანული წარმოების შენაცვლება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია. იგი ისტორიული გრამატიკის ერთ-ერთ საინტერესო უბანს წარმოადგენს.

4. საინტერესო სურათს გვიჩვენებს კომპოზიტებისა და სუფიქსოიდიანი ტერმინების გაფორმება.

## ლ ა მ ა რ ა ნ ო ზ ა ძ ე

### ზოგი ცნების (მნიშვნელობის) დაზუსტებისათვის „ქეგლ“-თან მიმართებით

თანამედროვე ქართულ ლექსიკოლოგიაში, როგორც ცნობილია, ზმნური სალექსიკონო ერთეულის პრობლემასთან დაკავშირებით, ძირითადად, ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს, რაც თავის მხრივ, განპირობებულია განსხვავებული ზოგად-თეორიული თვალსაზრისებით, სახელდობრ:

ა. შანიძის აზრით ქვევის, გვარისა და მისთ. ფორმები წარმოქმნილი ერთეულებია, მაგრამ **გრამატიკული** და **არა ლექსიკური**

მნიშვნელობის მიხედვით<sup>3</sup>.

კერავს, აკერინებს, იკერავს, უკერავს, იკერება, ეკერება... ერთსა და იმავე მოქმედებას გამოხატავს, ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს<sup>4</sup> (**ეს არსებითი ფაქტორია მათი კვალიფიკაციისათვის**).

აღნიშნულ ფორმათა შორის სხვაობას მორფოლოგიური ელემენტებით — ა. შანიძის მიხედვით — სასიტყვათშორისო მიმართებათა გამომხატველი აფიქსებით (**ა-**, **ი-**, **ი/-უ-**, **ი/-ე-...**) გადმოცემული **გრამატიკული შინაარსი** ქმნის (მხედველობაშია სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შორის კუთვნილებით ურთიერთობაზე მითითება, მოქმედების გადმოცემა მოქმედი პირის გამოჩენით ან მის გამოუჩენლად, სუბიექტური პირის მოქმედება პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით...).

აღსანიშნავია, რომ, უმრავლეს შემთხვევაში ხსენებულ ფორმათა (ვნებითის, ქცევის ვარიანტების, შუალობითი კონტაქტის და მისთ). მნიშვნელობა შეიძლება პირდაპირ (ავტომატურად) გამოყვანილი იქნას ზმნის ძირის მნიშვნელობიდან და მორფოლოგიური მაწარმოებლებიდან.

ა. შანიძის აზრით, ამგვარ — გრამატიკულ ერთეულთა — ქცევის, გვარის, კაუზატივის და მისთ. პირიანი ფორმების მიჩნევა დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად უმართებულოა (ლექსიკონი — ლექსემათა კრებულია).

იგი, როგორც ცნობილია, ამ ფუნქციით — ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად — იყენებს მასდარს, რომლის ბუდეშიც წარმოდგენილია მორფოლოგიური ელემენტებით წარმოქმნილი ყველა შესაძლო (პირიანი) გრამატიკული ფორმა სათანადო ილუსტრაციებით (შდრ. **ყრა**: ყრის... აყრის... იყრის... უყრის... იყრება... ეყრება... ყრია... აყრია...).

<sup>3</sup> აღნიშნული დებულება ა. შანიძის „ლექსიკოლოგიური კონცეფციის“ ქვაკუთხედიანია.  
<sup>4</sup> შდრ. ამავე ზმნური ძირისაგან (მარტივი ფუძისაგან) წარმოქმნილი **ახალი ლექსიკური ერთეულები — მკერავი** („ვინც კერავს“), **საკერავი** („რითაც კერავენ“ — საკერავი მანქანა), — **გაკერილი** („რაც გაკერეს“, მაგ. ქსოვილი) და მისთ., რომლებიც ზმნური ძირით გამოხატულ მოქმედებასთან დაკავშირებულ **სხვა საგანზე, სხვა ობიექტზე** (აღამიანი, მანქანა, ქსოვილი...) მიუთითებენ.

არგუმენტი: მასდარი ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი სახელია. იგი ზმნის ყველაზე განყენებულ მნიშვნელობას გადმოგვცემს, ყველა ამგვარ პირიან ფორმათა ზოგადი „სემანტიკური წარმომადგენელია“, მათი ზიარი კატეგორიაა.

ა. შანიძის ზოგად, ჩვენი აზრით, უაღრესად მწყობრ და თანმიმდევრულ კონცეფციას უპირისპირდება არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული ზმნის რიგი კატეგორია — ქცევის, გვარის, კაუზატივის ფორმები (შლის: იშლის, უშლის, იშლება, ეშლება, აშლევინებს...) განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. მათი შეტანა ლექსიკონებში დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად ისევეა გამართლებული, როგორც სახელის ნაწარმოები ფუძეებისა (გულიანი, უგულო, საგულე... მური, მოძმე, სამო და მისთ; „გლ“-ი VIII, 1964, 06; 1986, 06).

ჩვენი აზრით არასწორი ანალოგიაა — გულიანი, უგულო, საგულე... სამარილე, უმარილო, მარილიანი და მისთ. ნაწარმოები ფორმები ძირეულისაგან განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ელემენტებია. ახალ ობიექტს (საგანს) აღნიშნავს (შდრ. **სამარილე** — „მცირე ჭურჭელი, რაშიც მარილია“; **უმარილო** — „საჭმელი, რასაც მარილი არა აქვს ან აკლია“...), მაშასადამე, დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებს წარმოადგენს, რასაც, როგორც აღინიშნა, ვერ ვიტყვით ქცევის, გვარის და მისთ. ფორმებზე (ირეცხავს, ურეცხავს, ირეცხება...).

ამგვარ ანალიზს მხარს უჭერს ზოგი სხვა ფაქტორიც. კერძოდ:

არნ. ჩიქობავას აზრით ზმნათა აბსოლუტურ უმეტესობაში მოქმედების სახელები ნაწარმოებია გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის ფუძისაგან (თესავს → თესვა, მკის → მკა, აშენებს → შენება...).

**„ქცევებს** (ითესავს, უთესავს... იშენებს, უშენებს...), **ვნებთებს** (ითესება, ეთესება... შენდება, უშენდება...) საკუთარი ფუძისაგან მოქმედების სახელი არ ეწარმოება: ამგვარ ზმნებს შესაბამისი ნაზმნარი სახელი არ გააჩნია...

ამისდა მიუხედავად **არა იშვიათად** (ხაზი — ლ. ნ.) — კონტექსტის შესაბამისად — გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო ქცევათა შინაარსის გადმოსაცემლად“ („გლ“-ი, 1950, I, გვ. 011-012, 075).

წინააღმდეგობრივი დებულებებია — ეს არ იქნებოდა შესაძლებელი ქცევის, გვარის და მისთ. ნაწარმოები ფორმები ახალ, განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს რომ წარმოადგენდეს (შდრ. სამარილე, მარილიანი, უმარილო; გააგონებს, მოაგონებს, შთააგონებს და მისთ. უდაოდ ლექსიკური ნიშნით წარმოქმნილი ფორმები, რომელთა მნიშვნელობების განზოგადება ერთ სემანტიკურ მონაცემად შეუძლებელია)<sup>5</sup>.

ზმნურ ფორმათა მასდარზე განლაგების ერთ-ერთ საწინააღმდეგო არგუმენტად სახელდება ის, რომ ზმნათა მთელ წყებას, უპირატესად უპრევერბო ნასახელარ ზმნებს თითქოს არ ეწარმოება მოქმედების სახელი. **არ ითქმის** ბერება (აბერებს ზმნისაგან), სრულება (ასრულებს...), დარება (ადარებს...), ლამაზება (ალამაზებს...), მწვანება (ამწვანებს...), სუსტება (ასუსტებს...), (**რეალურია**: დაბერება — დააბერებს ზმნისაგან, შესრულება — შესრულებს ზმნისაგან...).

მაშასადამე, მასდარის უქონლობის გამო ამგვარი ზმნები ლექსიკონში ვერ მოხვდება („გლ“-ი, 1950, 011, 075).

სადაო არგუმენტია თვით სანიმუშოდ დასახელებულ „აკრძალულ“ (არ ითქმის — ა. ჩ.) მასდართაგან რიგი შეტანილია „ქეგლ“-ში: ბერება, დარება.

ამ ტიპის მასდარები მრავლად არის წარმოდგენილი „ქეგლ“-ში სათანადო ილუსტრაციებით (I) და, რაც მთავარია, ილუსტრაციების გარეშეც (II). მაგალითად:

I. ბოლება, ბრალება, თხელება, ლექსვა, მშვიდება, ოხრება, პარება, რიდება, რკინება, სუქება, ყალიბება, ყრუება, ყულება...

II. ბალება, ბელება, ბეზრება, ბიჯება, ბულება, ზვაება, თეთრება, კისრება, ლანდება, ლაჯება, ნელება, ფითრება, შორება, შტერება...

მასდარის ასეთი ფორმები შეაქვთ ლექსიკონებში (ძვ. ქართუ-

5 მასდარი ფორმოებრივად არ განარჩევს მოქმედებითს (ქცევის ვარიანტებს), ვნებითს. არა გვაქვს: \*იკერვა (იკერავს), \*უკერვა (უკერავს), \*ესხმა (ესხმის) და მისთ.

აღნიშნულ კატეგორიათა მაწარმოებლები: **ი-**, **უ-**, **ე-**... მორფოლოგიური ფუნქციის სადერივაციო ფორმანტებია. ბუნებრივია, რომ ისინი მასდარში არ ჩანან ისევე, როგორც სხვა ამ ტიპის აფიქსები (შდრ. ლექსიკური დერივაციის ნიმუშები: შურ-იანი — შურ-იანი-ობა, უ-გუნ-ურ-ი — უ-გუნ-ურ-ება — სი-უგუნ-ურ-ე...).

ლი ენის ლექსიკონები მხოლოდ „მასდარულ პრინციპს“ ემყარება<sup>6</sup> და ეს მათ ფუნქციონირებას არ აბრკოლებს.

მარტივად ასახსნელი ფაქტია — თუ ფორმა ნაწარმოებია ენაში მოქმედი მოდელების შესაბამისად, სპეციალისტისათვის სუბიექტურად როგორადაც არ უნდა აღიქმებოდეს იგი, ენის მატარებლისთვის (მისი შემოქმედისთვის) ბუნებრივია — არახელოვნური (იხ. ზემოთდასახელებული ნიმუშები).

ეს არის ობიექტური კრიტერიუმი ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციისა.

მათი ბუნებრიობის (რეალურობის) ხარისხის გარკვეულ ეტაპებზე განპირობებულია ხმარების სიხშირით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე.

სუბიექტური — ცალკეულ პირთა თვალსაზრისზე დამყარებული კვალიფიკაცია მასდარული ფორმებისა და საერთოდ ენობრივი ერთეულებისა შედეგად იწვევს არათანმიმდევრულობას (არაერთგვაროვნებას), რის არაერთი მაგალითი გვაქვს „ქეგლ“-ში (იხ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და „ქეგლ“-ი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1, 2004; შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, „სენათმეცნიერო ძიებანი“, XIII, 2002 და სხვ.).

---

<sup>6</sup> როგორც ცნობილია, არც ერთი წესი არ არის უგამონაკლისო (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა მათ რიცხოვნობას).

ბუნებრივია ისიც, რომ მიღებული პრინციპი შემდგომ დახვეწას და დაზუსტებას საჭიროებდეს.

აქვე უნდა დავძინოთ: რიგ ენაში არსებული წესი ზმნურ სალექსიკონო ერთეულად აწმყოს პირველი პირის მხ. რიცხვის ფორმების გამოტანისა (შდრ. ბერძნული ენის ზოგი ლექსიკონი), ან — აორისტის მესამე პირისა (შდრ. არაბული ენის ლექსიკონები), ვფიქრობთ, ვერ მოახდენს გავლენას ამ და ჩვენ ზოგ სხვა სტატიაში წარმოდგენილი ანალიზის შედეგებზე (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ ხსენებულ გამონაკლისებს სპეციალისტები აღნიშნულ ენათათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ვითარებით ხსნიან).

## მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

### „აფხაზი“ და „აფხაზები“ სომხურ წყაროებში

1. სომხური ისტორიული წყაროები შეიცავენ ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს „აფხაზეთისა“ და „აფხაზთა“ შესახებ. VII ს-ის სომხურ „გეოგრაფიაში“ აფხაზთა საცხოვრისი ლოკალიზებულია მდინარე ბზიფსა და კოდორს შორის. ამავე წყაროს ცნობით, ეს არის „ავაზთა“ ქვეყანა, რომლის ჩრდილოეთით ცხოვრობენ სვანები, ხოლო სამხრეთით მეგრელები.

2. VIII ს-ის ბოლოდან, სომხური წყაროების მიხედვით, ხდება აფხაზთა სამთავროს ძალაუფლების გაგრძობა და მთელი დასავლეთი საქართველო მოხსენებულია აფხაზეთად, ამასთან პარალელურად ეს სამეფო წოდებულია სამეგრელოდ.

3. ფრიად საინტერესოა X ს-ის სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის ცნობა, რომელიც აფხაზებს მოიხსენიებს კავკასიის იქითა მხარის (იმერკავკასიის ხალხად).

4. XI-XII საუკუნეების სომეხი ისტორიკოსები „აფხაზთა“ და „აფხაზეთის“ სახელწოდებას ავრცობენ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე — „აფხაზი“ მათთვის ქართველია, „აფხაზეთი“ კი — საქართველო.

## ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

### ბ რ უ ნ ე ბ ა თ ა ძ ი რ ი თ ა დ ი ტ ი პ ე ბ ი ს შედარებითი ანალიზი ნანსურ და დალესტნურ ენებში

1. დალესტნურ ენებში ძირითადად დასტურდება ბრუნების სამი ტიპი: I ტიპის („დიფუზური“) ბრუნება — ერგატივს, ნათესაობითსა და მოქმედებითს საერთო ფორმა აქვს (გ. თოფურია), მაგ., სახ. ჰივჩი „ვამლი“, ერგ./ნათ. ჰივჩი-ულ, მიც. ჰივჩი-უნ); II ტიპის (ორფუტიანი) ბრუნება — სახელობითისაგან განსხვავებული მეორე სა-

ბრუნებელი ფუძეა ძველი ერგატივი (მაგ., ლეზგ. სახ. ვაწ „მდინარე“, ერგ. ვაწ-უ, ნათ. ვაწ - უ - ნ, მიც. ვაწ - უ - ზ) ან ძველი ნათესაობითი ბრუნვა (მაგ., უდ. სახ. ფაშნა „გოგრა“, ნათ. ფაშნ-ინ, ერგ. ფაშნ - ი ნ - ენ, მიც. ფაშნ - ი ნ - ახ). ერგატივისა და ნათესაობითზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნების მეორე საბრუნებელი ფუძე ფორმით, ჩვეულებრივ, შესაბამისად დადესტნურ ენათა ახლანდელ ერგატივს ან ნათესაობითს ემთხვევა; III ტიპის (აგრეთვე ორფუძიანი) ბრუნება: მეორე საბრუნებელი ფუძე „ჩანართიანია“ (მაგ. ხუნდ. სახ. წერ „ყინული“, ერგ. წერ-და-ცა, ნათ. წერ-და-ლ, მიც. წერ-და-დე). ისტორიულად „ჩანართი“ სხვადასხვა (პალეოერგატივის აფიქსი, დეტერმინანტი, ფუძის კუთვნილება) წარმოშობისაა.

2. ბრუნების ეგვეე ძირითადი ტიპები გამოიყოფა ნახურ ენებში, სადაც რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს:

„დიფუზური“ ბრუნება შეინიშნება ჩაჩნურ-ინგუშურში. აქ „დიფუზური“ და ორფუძიანი ბრუნება ერთობლად იჩენს თავს ერთი პარადიგმის ფარგლებშიც (მაგ., ინგ. სახ. ისხალი „მაული“, ნათ. ისხალ-დე, მიც. ისხალ - დე -ნა, ერგ. ისხალ - დე, შდრ. ისხალ-დე-ლ, გამსჭვ. ისხალ - დე -ხ).

დე- აფიქსიანი ფორმა ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც არის გამოვლენილი ჩაჩნ. ენის შაროულ დიალექტში.

ნაკლებად სარწმუნო ჩანს, დე- აფიქსიანი ბრუნვათა ფორმებში სათანადო ბრუნვის (ერგატივი, მოქმედებითი, ნათესაობითი) ფორმათა დაბოლოებებში ფონეტიკური ცვლილებების შედეგთან გვექონდეს საქმე, თუმცა ასეთი შესაძლებლობაც გამოორიცხული არ არის.

**ერგატივის ფორმა (ა- სუფიქსიანი) რომელიც ორფუძიან ბრუნებაში** მეორე საბრუნებელ ფუძეს წარმოადგენს, უცხოა თანამედროვე ბაცურ ენისათვის. იგი ჩაჩნურ-ინგუშურში გვხვდება საკუთარ არსებით სახელებთან, საზოგადო არსებით სახელებში მისი გავრცელების არე შეზღუდულია (მაგ., ჩაჩნ. სახ. სთაგ „კაცი“, ერგ. სთაგ-ა, მიც. სთაგ-ა-ნა).

მეორე საბრუნებელი ფუძე **ნათესაობითზე** დამყარებული ბრუნებიდან თანამედროვე ნახური ენების ნათესაობითის ფორმისაგან განსხვავებულია (მაგ. ბაცბ. სახ. ნან „დედა“, ნათ. ნან-ენ < ნან-ენ, ერგ. ნან-ას, მიც. ნან - ე - ნ, მოქმ. ნან - ე - ვ).

3. დადესტნურ ენებს **ერგატივისა და ნათესაობითზე** დამყარებული ორფუძიანი ბრუნების უფრო არქაული სახე შემოუნახავთ, „დიფუზურისა“, სავარაუდოა — ნახურს.

4. ბრუნების ძირითადი ტიპების ერთგვარობაც ნახურ და დადესტნურ ენებში მოწმობს, რომ როგორც ვარაუდობს ზოგი მკვლევარი, ნახური და დადესტნური ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ ჯგუფს უნდა წარმოადგენდნენ.

## მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

### ქართველური ეტიმოლოგიები

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ახალი საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი:

1. ქართ. (ხევს., იმერ., ზ. აჭარ.) სა-რეკ-ელ-ა „ნის პატარა თავკომლის ფორმის პალო, რომელიც ერთი ნაპირით დოლაბზე დევს, ხოლო მეორეთი ნაჭლიკასთან არის შეერთებული...“, (იმერ.) სა-რაკ-უნ-ე/სა-რეკ-ულ-ე, (გურ.) სა-რაკ-უნ-ა/ე, -ი; შდრ. ძვ. ქართ. ჰ-რეკ-ს „სცემს; აკაკუნებს“, რეკ-ა/რეკ-ებ-ა „ცემა; კაკუნს“ : ლაზ. ო-რაკ-ალ-ონ-ი „სარეკელა“, ო-რაკ-ალ-უ „რეკა“ (გ. კლიმოვი) : სვან. (ბზ.) ლა-რყ-ან, (ბქ.) ლა-რყ-ინ „სარეკელა“; შდრ. ბქ. ლი-რყ-ი/ლი-რყ-ინ-ე „დარტყმა“, ლა-ხ-რყე „მიარტყა“.

ს.-ქართვ. \*რყე- „ცემა, მირტყმა; კაკუნს“; ქართ. რეკ- ← რყე- : ლაზ. რაკ- ← \*რაყ- ← \*რყე- : სვან. რყ-/რყე- ← \*რყე-.

აუსლანტური მიმართება ქართ. კ : ზან. (ლაზ.) კ : სვან. ყ აიხსნება როგორც ყ → კ გადაბგერება ქართულში (შდრ. ქართ. რეკ- „გარეკვა“ : ზან. რაყ- ← რაყ- : სვან. რყე, ქართ. კალ- „კვლა“ : ზან. ყთილ- ← ყულ-, ქართ. კუნტ- ← ყუნტ- : სვან. ყუნტ- (მ. ჩუხუა)).

ქართველური ფუძეები სემანტიკურად იგივეობრივია.

2. ქართ. კომბალ-ი „თავიანი ჯოხი“ : ზან. (ლაზ.) კომბალ-ი „თავიანი ჯოხი“ (მ. ჩუხუა) : სვან. (ბქ.) ყშალან<sup>გ</sup> „კომბალი“, (ლხმ.) ყშარან<sup>გ</sup> „დიდთავა ადამიანი“, შდრ. (ბქ.) ყშამბალ-ს „დიდთავა“. შდრ. ბქ. ლი-ყუნგ-ე „ჯოხით ცემა, მიბეგვა“, ჩოლ. ყშანგ-ი „გადახრილი მალალი ხე“.



ს.-ქართვ. \***ყომბალ**- „თავიანი ჯოხი“; ქართ. **კომბალ**- : ჭან. **კომბალ**- : სვან. **ყჷლან**ნ<sup>გ</sup> / **ყჷლარან**ნ<sup>გ</sup> ← \***ყჷლბან**ლ ← \***ყჷლამბან**ლ ← \***ყომბან**ლ ← \***კომბან**ლ ← **კომბალ**-ი.

სვანურ ფორმათა აუსლაუტისეული **გ** განვითარებული ჩანს, ამასთანავე აუსლაუტშივე **ჟ** ალოფონი თითქოს ისმის. რაც შეეხება **ყ/კ** მონაცვლეობას, იგი ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია.

სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს.

3. ქართ. **წერო** : ზან. (მეგრ.) **ჭარო** „ფრინველი, რომელიც ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს (საბა)“ (მ. ჩუხუა) : სვან. (ბზ.) **ჭჷრ**, (ბქ.) **ჭჷერ**||**ჭერ**, (ლნტ.) **ჭჷერ** „ყვავი“. ქართულ-ზანურში **ო**-ს სუფიქსად გამოყოფას ხელს უშლის სვანურში გამოვლენილი ფორმა.

ს.-ქართვ. \***წერო** „წერო“; ქართ. **წერო** : ზან. **ჭარო** : სვან. **ჭჷრ**||**ჭჷერ**||**ჭერ** ← \***ჭერ**ჟ.

რაც შეეხება სვანურ (ბზ.) **წჷჷრ**, (ბქ.) **წჷჷრ**, (ლნტ.) **წერო** ლექსემას, იგი ქართულიდანაა ნასესხები (მ. ქალდანი).

სემანტიკური სხვაობა ასახსნელია.

4. ქართ. (გურ.) **ბარ-ბალ**-ი „ცეცხლის ალის ბრიალი, პრიალი“, **ა-ბარ-ბალ**-ებ-ა „აპრიალება“ : ზან. **ბარ-ბალ**-ი „ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაური, — ბრიალი, გიზგიზი“ : სვან. **ლი-ბერ-ბენ**-ი||**ბერ-ბენ** „ცეცხლის აგუზგუზება, აპრიალება; ხმაური“. შდრ. ზან. (მეგრ.) **ბარ-ბარ**-ი||**ბარ-ბანჩ**-ი||**ბორ-ბორ**-ი||**ბორ-ბონჩ**-ი „ბურბური, გიზგიზი, ბრიალი“ და აგრეთვე რ. აბაშიას მიერ გამოვლენილი ზან. (მეგრ.) **ბორ-ბონჯ**-ი „გიზგიზი, ბრიალი“.

ს.-ქართვ. \***ბარ-ბარ**- „ცეცხლის ბრიალი, პრიალი, ხმაური“; ქართ. **ბარ-ბალ**- ← \***ბარ-ბარ**- : ზან. (მეგრ.) **ბარ-ბარ**-||**ბარ-ბანჩ**-||**ბორ-ბორ**-||**ბორ-ბონჩ**-||**ბორ-ბონჯ**- : სვან. **ბერ-ბენ**- ← \***ბარ-ბარ**-.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძეები მიღებულია რედუბლიკაციის გზით.

მნიშვნელობის მხრივ ქართული და სვანური ფუძეები იდენტურია.

5. ქართ. მე-**კობრ**-ე „ზღვის ყაჩაღი“ : სვან. (ბქ.) **კჷემბრ**-ჲ „ქურდბაცაცა; ყაჩაღი“, (კზუმ.) **კჷემბრძჷ** „გადატ. — ამძუნებელი ღორები“.

ს.-ქართვ. \***კობრ**- „ყაჩაღი“; ქართ. მე-**კობრ**-ე : სვან. **კჷემბრ**- ← \***კჷებრ**- ← \***კობრ**- ← მე-**კობრ**-ე. მ ფონეტიკური დანათია სვანურში.

სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც ქართულ სვანური-ფუ-

ძეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ. საკვლევია ზანური შესატყვისი.

6. ქართ. (მოხ.) **ცეგ**-უა-ე „ბზრიალა“ : სვან. (ბქ.) **ცგ** „წისქვილის ბორბლის რკინის წვეტიანი ფეხი, რომლითაც ბორბალი კიბორჩხალაზე ტრიალებს“.

ს.-ქართვ. \***ცეგ**- „ბზრიალა, სატრიალებელი“ → ქართ. **ცეგ**-უა-ე : სვან. **ცგ** ← \***ცეგ**-.

ამოსავალი სემანტიკა ქართველურ ენებში ტ რ ი ა ლ ი ს ა უნდა ყოფილიყო.

ვ. აბაევს სვანური **ცგ** ოსურ-ალანურიდან შეთვისებულად მიაჩნია (შდრ. ოს. **цаг** „რკალი, რგოლი, მარყუქი“).

7. ქართ. (ქიზიყ.) **წოწოქ**-ი, (ზ. აჭარ.) **წოწოქ**-ა-ე „ტყემლის შეჭამადი, მწვანით შეზავებული, ჭრიანტელი, ცივად იხვრიპება ზაფხულში, გრილია“ : სვან. (ბქ.) **ჭოჭოქ**-ჲ, (ჩოლ.) **ჭოჭოქ**-ა-ე „გადამჟავებული (მაწონი, ნაღები...)“.

ს.-ქართვ. \***წოწოქ**- „მჟავე“; ქართ. **წოწოქ**-ი : სვან. **ჭოჭოქ**-.

ამოსავალი მნიშვნელობა ისტორიულად ქართულ-სვანური ფუძეებისათვის სწორედ ს ი მ ჟ ა ვ ი ს ა უნდა ყოფილიყო.

8. ქართ. **თავთა** „თხელი ნაქსოვია“ (საბა), (ქიზიყ.) **თავთა** „აბრეშუმის თხელი ქსოვილი“, შდრ. ინგ. **თავტა**-ე „თავთა, აბრეშუმის ქსოვილი“ : სვან. **თჷალთ** „მარლა; თხელი ნაქსოვი“.

ს.-ქართვ. \***თაჷთა**; ქართ. **თავთა** : სვან. **თჷალთ** ← \***თაჷთ** ← \***თაჷთ** ← **თავთა**.

სვანური ფუძე მეტათეზირებული სახეობაა ისტორიული \***თაჷთა** არქეტიპისა. **ლ**, რომელიც სვანურ ფუძეში იჩენს თავს, ფონეტიკური დანართია.

სემანტიკის მხრივაც სრულ იდენტურობასთან გვაქვს საქმე.

9. ქართ. (გურ.) მო-**ტოლ**-გ-ა ძაფისა „ძაფის ორფად ახვევა, სანამ შეიგრიხებოდეს“ : სვან. (ბზ.) **ლი-ნ-ტ**-ი/ლი-ნ-**ტჷლ**-ი, (ბქ.) **ლი-ნ-ტჷლ**-ი „თოკის, ძაფის აკეცვა (დახვევა)“.

ს.-ქართვ. \***ტოლ**- „აკეცვა, დახვევა“; ქართ. მო-**ტოლ**-გ-ა : სვან. **ტ**-/ტჷლ- ← \***ტოლ**.

ბალსემოლურში პროცესი კიდევ უფრო შორს წასულა და გამარტივების შედეგად ფუძე ცალ თანხმონამდე დასულა (-**ტ**). სვანურში გამოვლენილი **ნ** ფონეტიკური დანართია.

სემანტიკური მიმართება სავსებით კანონზომიერია.

10. ქართ. (იმერ.) **ჭიკორ**-ი „სალაობაში მრგვალი რიყის ქვაა, რომელსაც 5-6 მეტრიდან ესროდნენ ბრტყელ რიყის ქვას, სანიშნო

იყო“ : სვან. (ლხმ.) **წინაკუ** „ქვა“.

ს.-ქართვ. \***ჭიკორ-** „ქვა“ → ქართ. **ჭიკორ-**ი : სვან. **წინაკუ** ← \***წინაკუ** ← \***წიკუნ** ← \***ჭიკუნ** ← \***ჭიკურ** ← \***ჭიკორ-** ← \***ჭიკორ-**ი ან **წინაკუ** ← \***წინაკუე-** ← \***წინაკუე-** ← \***წიკუენ-** ← \***წიკუერ-** ← \***ჭიკუერ-** ← \***ჭიკორ-**ი.

ყურადღებას იქცევს სვანურში **რ/ნ** მონაცვლეობა და **ნ**-ს მეტათეზისი.

ქართველურ სემანტიკათა იდენტურობა ნათლად ჩანს.

11. ქართ. **წურ-წურ-**, მო-**წურ-წურ-**ებ-ს (ოფლი, სისხლი...), **წურ-წურ-**ით სდის, **წურ-წურ-**ი : ზან. (მეგრ.) **ჭურ-ჭულ-**, **ჭურ-ჭულ-**ი „წურ-წური“, მ-ა-**ჭურ-ჭულ-**უ(ნ)||მ-ა-**ჭვარ-ჭვალ-**უ(ნ) „წურწურით ჩა-მოსდის (ოფლი, წყალი, ცრემლი...)“ : სვან. **წურ-**, ხ-ო-**წურ-**ე „უდენს, ადენს (ოფლს, ცრემლს...), მე-**წურ-**ე „მდენი, თხევადი“ (მ. ჩუხუა), **მდრ.** (ლენხ. ← სვან.) **ჭვერ-**ვა „ჟონა, დენა“ : სვან. ლი-**წურ-**ე „ჟონა, დენა“, ნა-**წურ** „განაჟონი, გამონადენი“, მუ-**წური** „გახვერტილი, საიდა-ნაც სითხე ჟონავს...“.

ქართველურ ფუძეთა გენეტიკური ერთიანობა ცნობილია (მ. ჩუხუა). ლენხურში **ჭვერ-**ვა „ჟონა, დენა“ ლექსემატად ადვილად დაუკავშირდება სხვა ქართველურ ფუძეებს.

ს.-ქართვ. \***წურ-**„ჟონა, დენა“; ქართ. **წურ-წურ** : ზან. **ჭვარ-ჭვალ-**||**ჭურ-ჭულ-** : სვან. ← **წურ-/ჭვერ-**.

საერთოქართველურ \***წურ-**ფუძეს დ ე ნ ი ს, ყ ო ნ ი ს სემანტიკა უნდა ჰქონოდა.

12. ძვ. ქართ. **გრუზ-**ი/**გროზ-**ი „ხშირი“, ახ. ქართ. **გრუზა** „ხშირი და ხუჭუჭი (თმა)“, (თუშ.) **გრუზ-**აჟ-ი „ხუჭუჭთმიანი“, (თუშ.) **გვრუზა-**ჟ „დახუჭუჭება“, და-**გვრუზ-**ილი-ი „ხშირი თმა“; **მდრ.** (ქიზიყ.) **გურჯ-**ალი „გადახვეული მატყლი ან ბამბა ან ბუმბული“ : სვან. **გური** „ი“ „გრავ-ნილი, ხვეულა“, ლი-**გური-**ი „დაგრავნა, დახვევა“, ლე-**გური-**ი „და-საგრავნი, დასახვევი“.

ს.-ქართვ. \***გრუზ-** „გრავნა, ხვევა, დახუჭუჭება“; ქართ. **გრუზა** : სვან. \***გური** „ი“/**გური-**ი ← \***გურ-** ← \***გრუზ-**.

ქართულ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს დ ა გ რ ა გ ნ ი ს, დ ა ხ ე ე გ ი ს, დ ა ხ ე უ ჭ უ ჭ ე ბ ი ს საერთო სემანტიკა. სემანტიკური გადაწვევა მინიმალურია.

13. ზან. (მეგრ.) **ჩორჩა** „დიდი მოცულობის (ვევებერთელა) სასმისი“ : სვან. **ჩარან-** „დიდი მოცულობის ჭურჭელი“, **მდრ.** ქართ. **ჩარა** „კათხასავით სასმისია ყურიანი“ (საბა).

ს.-ქართვ. \***ჩარან-** → მეგრ. **ჩორჩა**-ა ← \***ჩორონ-** : სვან. **ჩარან-**

← \***ჩარან-**.

ქართულში მოსალოდნელი იყო \***ცარან-** ფორმა.

ზმოვანთმესატყვისობა ორივე ქართველურ ენაში დაცულია, ხოლო რაც შეეხება ზანური ფორმის აუსლაუტში გამოვლენილ **მ**-ს, იგი **ნ**-ს ფონეტიკური ვარიანტია.

სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება კანონზომიერია.

14. ქართ. **სხვირპ-ლ-||სხვრპ-ლ-**, **სხვრპ-ლ-**ვა „ტანთ მუწუკთ სხმა“ (საბა), ქიზიყ. **სხრუპ-**ელი-ი „ლუდუდი, პატარა მუწუკი“ : ზან. **ჩხუპ-**ური-ი „მუწუკი“, ო-**ჩხუპ-**ურ-უ||**ჩხუპ-**ურ-უ-ა „ტანზე მუწუკების გამოყრა“, **ჩხუპ-**ურ-ელი-ი „დაწერტილი, გამოყრილი“ (მ. ჩუხუა) : სვან. **შხარპ-**ა<sup>1</sup>ლ-ა||**შხარპ-**ატ-ა „ჭრელი ქსოვილი, საქონელი“.

ს.-ქართვ. \***ცხურიპ-**(ალ-)||\***ცხურპ-**(ალ-) „მუწუკი, მუწუკთ გამოყრა; ჭრელი“ → ქართ. **სხვრპლ-||სხვირპ-ლ-**, **სხრუპ-**ელი-ი : ზან. **ჩხუპ-**ური-ი, **ჩხუპ-**ურ- : სვან. **შხარპ-** ← \***ჩხურარპ-**.

სვანურის სემანტიკა დიდად არ სხვაობს ქართულ-ზანურისაგან.

15. ქართ. (ქართლ.) **ყურუთ-**ი „გამხმარი დოს გუნდა“. **მდრ.** (რაჭ.) **ჭურტ-**ი „მაწვნის მსგავსი შეჭამადი“ და ნახური ენებიდან ნასესხები (ხეგს., ფშ., მთიულ., გუდა-მაყრ., თუშ., გარეკახ.) **კალტ-**ი „ხაჭო, ხაჭოს კვერი; ნადული“ : სვან. **ყურაშ** „ხაჭო; ნადული“.

ს.-ქართვ. \***ყურუთ-** „გამხმარი დოს გუნდა; ხაჭო, ნადული“; ქართ. **ყურუთ-**ი : სვან. **ყურაშ** ← \***ყურემდ-** ← \***ყურუემდ-** ← \***ყურუთ-**.

ქართულ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს ხ ა ჭ ო ს, ნ ა დ უ ლ ი ს, დ ო ს საერთო სემანტიკა.

## ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

### ზმოვანი ჩანაწერის ტრანსკრიფცია ქართულ დიალექტურ კორპუსში

1. დიალექტური კორპუსის მომზადების პროცესში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სათანადო ჩამწერი აპარატურის გამოყენებით მასალების ველზე მოპოვება, მათი აღიარება და ვიდუო ფაილებად ქცევა და მათთვის შესაბამისი წერილობითი ფორმის მიცემა ანუ დიალექტური ტექსტების კრებულის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

2. ცნობილია, რომ სამწერლობო ენისაგან განსხვავებით, დიალექტური დისკურსი წარმოადგენს კვანტების, პულსაციებისა და ბიძგების ერთობლიობას, რის გამოც მისი სეგმენტაცია, წინადადებად, ტექსტად გარდასახვა საკმაო სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

დიალექტური ჩანაწერის გაშიფრვის შედეგად ვიღებთ ტექსტს, რომლისთვისაც ჩვეულებრივია: ექსპრესიულ-ემოციური კონსტრუქციები, ელიპსური კონსტრუქციები, გახლეჩილი წინადადებები, ფალსტარტები ანუ აზრის ჩამოყალიბების პროცესში სასტარტო სიტყვებზე უარის თქმა, შესაბამისი სიტყვის მოძიებამდე მისი ჩამნაცვალეული სიტყვების (ისი, იმანო, ისემე...) გამოყენება და ა.შ.

მარტივი როდია ტექსტის ისე მიწოდება, რომ ადვილად და სწორად აღსაქმელი იყოს და, იმავდროულად, — ხმოვანი ჩანაწერის ადეკვატური, შესაძლებლობის ფარგლებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად დანაწევრება აბზაცებად, დიალოგების გამოყოფა და საამისოდ მოდელის შემუშავება, პაუზების აღნიშვნა. დისკურსების ტრანსკრიფციისას ყურადღებას ამახვილებენ პაუზის მარკერის შემუშავებაზე, რადგან ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია სხვადასხვა გრძლიობის პაუზები. ტექსტების უნიფიცირებისათვის აუცილებელია ჩვენივე შემუშავებული წესების თანმიმდევრული გატარება.

3. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ტრანსკრიფციის შემუშავებისას გამოდიან კორპუსის ანოტირების ხასიათიდან. თუ კორპუსი სტრატეგიულად ორიენტირებულია მორფოლოგიურსა ან სინტაქსურ აღწერაზე — ანოტირებაზე, ღრმა ფონეტიკური ტრანსკრიფციული ჩაწერა არ ხდება. ჩვენს კორპუსში მიღებულია გამარტივებული ტრანსკრიფციული ჩაწერა ქართული ანბანის ბაზაზე, ტრადიციული პუნქტუაციური სისტემის მეშვეობით. რისთვისაც გამოყენებული გვაქვს 38 ასო-ნიშანი, ხმოვნები — გრძლიობის, უმლაუტის, სივიწროვის, მახვილის ნიშნებით.

4. ტექსტის ხმოვან ჩანაწერთან დასაახლოებლად მივმართავთ პროსოდიულ აღნიშვნებს. კლიტიკებს (ენკლიტიკებსა და პროკლიტიკებს), რომელნიც ხშირად მეორდებიან, აღვნიშნავთ სათანადო ნიშნით ‘ (მოჟღეს’ნა, ახლა’ომ, არ’ალი, კ’არ...).

ხოლო გარკვეულ შემთხვევებში ინტონაციის მარკირებისათვის გამოვიყენებთ მახვილს. ასე მაგალითად, მახვილით აღვნიშნავთ ტო-

ნალობით გამოყოფილ მარცვალს: ა) ჩამოთვლისას, ბ) დამოკიდებულის წინადადების (თემა-რემული დაპირისპირება) ბოლოს, გ) და ნაწილაკის ბოლოს, დ) ზოგიერთი ტიპის კითხვით წინადადებაში.

ნიმუშები:

„და შექრიმ მოჟდა და მითხრა: — ჭო, ვენერაჲ მეჩხუბება, რა’და ვქნაო? ვუთხარ: — ჭო, ბლაცვი ხარ და იმიტომ, კაცი რომ დათრებ, ქალს ზრუგი კი არ’და მუჟუვირო, ხანდისხან გულიც მუჟუვირე, რომ შეგარგოს შენი დათრომა-მეთქი.“

„ისე, იგი იყო... და თურმე ასე დადის და რომ მივედით, დედაჩემმა ლამპა აანთო, ჰოდა, იი ქნა, რა ქვიან... თურმე იქ ამბავი ჩევიდა’რუმე: — კაციჭამია ხალხი ჩამოდისო, მოჰყავენო.. და — რა ქნას ახლა? გვარს — ღრრ.. ღრინავს, გამეარს — ღრრ.. ღრინავს!“

5. პროსოდიული აღნიშვნები ზოგჯერ ასრულებს დამატებით, ომონიმიის მოხსნის, ფუნქციას. ასე მაგალითად, აჭარულ ტექსტებში ხშირად გვხვდება და, რომელიც შეიძლება იყოს: ა) კავშირი, ბ) უნდა ზმნის ნაწილი, რაზეც მითითებას ვაღწევთ აპოსტროფის ნიშნის მეშვეობით — მოჟღეს’და, გ) ნაწილაკი. ამ დროს აღნიშნული ნაწილაკის ა ხმოვანი ჩვეულებრივ მახვილის მატარებელია და ამას დაწერილობით გამოვხატავთ ამგვარად — მოჟღეს’და!

ზემოაჭარულში კითხვითი ნაწილაკი ო (<ჰო) შეერწყმის სიტყვას, რის გამოც შეიძლება აირიოს სხვათა სიტყვის ო ნაწილაკში. წარმოთქმაში დიფერენცირება მიიღწევა ინტონაციის საშუალებით — ო ნაწილაკის წინამავალი ხმოვანი დამავალი ტონალობით წარმოითქმის, რასაც ტექსტებში მახვილითა და აპოსტროფით გამოვხატავთ: მოღის’ო?

მოცემულ შემთხვევებში ომონიმიის მოხსნა ხდება გრაფემულად, დაწერილობის საშუალებით.

## მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

### პირდაპირი დამატების საკითხი ძველი ქართულის რთულ ზმნებში

ძველი ქართული ენის გრამატიკის კურსში ა. შანიძე ჩამოთვლის რამდენიმე ერთვალენტური ზმნას, რომელთაც ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე შეეწყობათ (**ივნებს კაცი — ივნო კაცი მან, დაიძინებს იგი — დაიძინა მან; იხარებს მამამ — იხარა მამამ ან...**) და შენიშნავს: ასეთ ზმნებს შეიძლება პირობით ნახევრად გარდამავალი ვუწოდოთ. ამგვარი პირობითობის დაშვებით ირღვევა გარდამავლობის, როგორც სინტაქსური კატეგორიის, განსაზღვრის თანმიმდევრულობა, რომელიც ჩვენში ა. შანიძემ დაამკვიდრა და რაც ზმნურ შესიტყვებაში ბრუნვაცვალებად ქვემდებარესთან ერთად აუცილებლად გულისხმობს ბრუნვაცვალებადი პირდაპირი დამატების არსებობასაც.

ამავე „ნახევრად გარდამავალ“ ზმნათა რიგში განიხილება ზოგი რთული ერთ- და ორვალენტური ზმნაც: **ნათელ-ილო მან, ნათელ-სცა მან** მას, **თავ-უყო მან** მას... რომლებიც შესიტყვებაში პირდაპირ დამატებას არ იჩენენ.

ა. შანიძის მიერ შემოთავაზებული კორექტივი, მართალია, არღვევს გარდამავლობის სინტაქსური კატეგორიის განსაზღვრის ერთმნიშვნელოვნობას, მაგრამ უფრო ადეკვატურად აღწერს ენის ფაქტს: ბრუნვაცვალებადი ქვემდებარის, მაგრამ პირდაპირი დამატების არმქონე **ივნებს იგი — ივნო მან** და მისთ. და ბრუნვაცვალებელქვემდებარის: **დასცხრების იგი — დასცხრა იგი** გარდამავლობის თვალსაზრისით იდენტური ვერ იქნებიან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ა. შანიძის მიერ დასახელებული „ნახევრად გარდამავალი“ ზმნები და მსგავსი სინტაქსის ზოგი სხვა ზმნაც ძველ ქართულში პირდაპირ დამატებასაც იგუებენ: **ვიგნოთ ვნებამ** იგი მისი (სინ. 258, 32-33); **დაიძინეს ძილი** მათი (ფს. 75 ო 6); **იხარა** ეკვტემან გამოსლვამ მათი (ფს. 104 ო 6)...

რაც შეეხება რთულ ზმნებს, ამ ზმნათა წარმოება, შემადგენ-

ლი სახელური და ზმნური კომპონენტები, მათი რაობა და სტრუქტურა, უღლება, სათანადო გრამატიკული კატეგორიები და ა. შ. ძველ ქართულში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი (ე. ბაბუნაშვილი, ჭ. თევზაძე, ი. იმნაიშვილი, ე. ოსიძე, ა. შანიძე, ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, თ. ვაშაკიძე...).

ორდინარული რთული ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს (შესიტყვებაში პირდაპირ დამატებას აფიქსირებდეს): **წმინდა-ყო** მან იგი, **შეურაცხ-ყო** მან იგი... და გარდაუვალცი: **სირცხვლ-უნს** მას იგი, **ველ-ეწიფების** მას იგი... — რთული ზმნის სახელურ კომპონენტად წარმოდგენილია ზედსართავი სახელი, მიმღეობა, ზმნიზედა, სათანადო რთულ (გარდამავალ და გარდაუვალ) ზმნათა პირიანობა სრულადაა რეალიზებული.

განსხვავებული ვითარება გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა რთულ ზმნებში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნური კომპონენტების წინ არსებითი სახელი ან საწყისი დგას; ასეთ რთულ ზმნებს შესიტყვებაში ძირითადად არ უჩანთ პირდაპირი დამატება (თუ ზმნა გარდამავალია): **დადად-ყო** მან, **თვალ-უყო** მან მას, **ნათელ-სცა** მან მას, **ლხინება-ყო** მან... და ქვემდებარე (თუ ზმნა გარდაუვალია): **ველ-ეწიფების** მას, **სირცხვლ უნს** მას, **ძალ-უც** მას...

გამონაკლისები, როცა დასახელებული სტრუქტურის (არსებითი სახ; / საწყისი + ზმნა) რთულ ზმნებს (გარდამავალს თუ გარდაუვალს) ნაკლებთან ერთად სრული შესიტყვებაც, ან მხოლოდ სრული შესიტყვება უდასტურდებათ, სრულ და არასრულ შესიტყვებათა უწინარესობა — შემდგომადობის საკითხს წამოჭრიან:

**ველ-ვეავ** აღვსებად / **ველ-ყვეს** გამოცდამ მისი; **უვარ-ყო** სარა და თქუა / **ვარსქენ უვარ-ყო** ჭემმარტი ღმერთი; **ძიება-ყო** გულმოდგინედ / **ძიება-ყო** სისხლი მისი; **ძალ-გიც** მიტევებად ცოდვათა / **ძალ-მიც** გარდასლვამ სიტყვასა უფლისასა...

ამ მნიშვნელოვანი დიაქრონიული საკითხის ნებისმიერი გადაწყვეტის შემთხვევაში ასახსნელი რჩება პრინციპი, რომელიც აპირობებს სინტაქსური ერთეულის, გარდამავალი ზმნის შემთხვევაში, პირდაპირი დამატების ერთგვარ ფუნქციურ მონაცვლეობას წრფელობითში დასმულ დერივაციული ფუნქციით აღჭურვილ იდენტურ

ფუძესთან რთულ ზმნაში:

**ყო მ ა ნ ს ი ტ ყ უ ა ე / სიტყუა — სიტყუა-ყო მ ა ნ**

გარდამავალი ობიექტური ინტენციის ზმნა რთულ შენაერთში პირდაპირი დამატების ფუნქციით წარმოდგენილ ფუძესთან ოდენსუბიექტურ შესიტყვეებად წარმოგვიდგება.

ანალოგიისათვის შდრ. გარდამავალ ზმნასთან ნამყოში მოქმედებითი გვარის „სუბიექტური“ მიმღობის აღწერითი წარმოება: ნამყო დროის საობიექტო (ვნებითი გვარის) მიმღობის **ამოწვდილი** (ხმალი) წინ დაისმის პირდაპირი ობიექტის გაუფორმებელუი ფუძე და ეს რთული წარმოება ფუნქციურად გარდამავალი ზმნის სუბიექტურ მიმღობად, მოქმედებითი გვარის მიმღობად გვევლინება: ხმა-ლამოწვდილი „ვინც ხმალი ამოიწვდა“ (არნ. ჩიქობავა, 1950; ე. ოსიძე, 1957).

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### ერთპირიანი ვნებითის ზოგ ფორმათა უმართებულო გამოყენების გამო

თანამედროვე ქართულის ზეპირ მეტყველებაში გაჩნდა ტენდენცია ერთპირიანი ვნებითის ზოგ ფორმათა არასწორი გამოყენებისა. ეს ის ერთპირიანი ვნებითებია, რომელთა უმრავლესობას უნარი აქვს სუბიექტად ადამიანიც მოიაზროს და ნივთიც. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მაშინ, როცა მოსაუბრეებმა, კონტექსტიდან გამომდინარე, ნივთის გამომხატველი სუბიექტის შესატყვისი ვნებითი გვარის ფორმა უნდა გამოიყენონ, ხშირად შეცდომით ისეთ ზმნას ხმარობენ, რომელიც სუბიექტად ადამიანს გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ ცალკე აღებული ეს ფორმები გრამატიკულად სწორია, მაგრამ კონტექსტთან მიმართებით — სემანტიკურად უმართებულოა მოსაუბრე სუბიექტის შეუთავსებლობის გამო.

ამგვარი უმართებულო ზმნური ფორმებია, მაგალითად: **კონკრეტდები** (მე), **ვგეორდები** (მე), **ვფიქსირდები** (მე) და სხვ., მით

უმეტეს, რომ მოსაუბრეები გულისხმობენ ხოლმე მათ მიერ რაღაცის **დაკონკრეტებას, გამეორებას, დაფიქსირებას** და ა.შ.

**მაგალითები:**

...სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე არ **დაკონკრეტდები**; ისევ **გავმეორდები**... და ა.შ.

ზემომოყვანილ მაგალითებში **დაკონკრეტდების** ნაცვლად უნდა იყოს **დავაკონკრეტებ**, **გავმეორდების** ნაცვლად — **გავიმეორებ** და ა. შ.

მთქმელები პასივში აქტივის არასწორ კონვერსიას ახდენენ: **აქტივის სუბიექტს პასივშიც სუბიექტად ტოვებენ, რაც უმართებულოა**. უნდა იყოს მაგ., კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ **დაკონკრეტდება** (ჩემ მიერ) (**პასივი**); **ან** კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს არ **დავაკონკრეტებ** (**აქტივი**).

საყურადღებოა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სწორი ან არასწორი იყოს.

**მაგალითად:**

ახალგაზრდები, როგორც მკვლევრები, დიდი ხანია **ვყალიბდებით** ბატონი თედოს დახმარებით (მართებულა).

მე ამ საკითხზე არ **ჩამოვყალიბდები** (უმართებულო).

ერთპირიანი პასივის ფორმათა უმართებულო ხმარების მსგავსი შემთხვევები არცთუ იშვიათად გვხვდება პრესისა და ტელევიზიის ენაში. ეს კი მათი გავრცელების მიზეზად შეიძლება იქცეს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, სასურველია, ამ ახლად გაჩენილი ტენდენციის უარყოფა და ყურადღების გამახვილება გრამატიკულად და სემანტიკურად გამართულ ფორმათა გამოყენებაზე.

**ქვემდებარე-დამატების საკითხები III სერიის ზმნით გამოხატულ შემასმენელთან (აქტივები და მედიოაქტივები)**

III სერიის ზმნათა ფორმები, მიუხედავად კონექციური კატეგორიების სახეობათა განსხვავებისა, ორიენტირებული არიან შედეგზე და ხასიათებიან პერფექტულობით.

III სერიის ფორმები გვიან ჩამოყალიბებულად არის მიჩნეული. ენაში მათი როლი თანდათანობით იზრდება: ძველი ქართულის ტექსტებში ისინი იშვიათად გვხვდებიან, თანამედროვე ქართულში კი საკმაოდ ხშირად იხმარებიან.

ცნობილია, რომ აქტივთა ფორმები III სერიაში იგება სტატიკურ ვნებითა მოდელით. განსხვავებული ინტერპრეტაცია ეძლევა ამ მოდელის დინამიზაციას: ზოგადად ერთი თვალსაზრისით ხ დ ე ბ ა პ ი რ თ ა ინ ვ ე რ ს ი ა: აქტანტები მათი როლის მიხედვით ვერ იღებენ შესაბამის ნიშნებს, რომლებიც ბუნებრივად წარმოდგენილია I და II სერიებში, კონკრეტულად: (ა) სტატიკური ვნებითის მოდელში წარმოდგენილი სუბიექტი და ირიბი ობიექტი უცვლელად გადადის აქტივთა III სერიაში, ოღონდ აქტანტთა სტატუსი აქტივთა პარადიგმაში განისაზღვრება მათი ფუნქციის მიხედვით, რის შედეგადაც ხდება ნიშანთა ინვერსია: **მოქმედს** გამოხატავს ო ბ ი ე ქ ტ ი ს ნ ი შ ა ნ ი და პირიქით, **სამოქმედო აქტანტს** — ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ნ ი შ ა ნ ი . (ბ) ინვერსიის მეორე თეორიით დინამიზაციის პროცესში სტატიკური ვნებითის სუბიექტი აქტივში ჩანაცვლებულია პირდაპირი ობიექტით. ეს არის აქტივებში ინვერსიის ზემოთ მითითებული (ა) თეორიის ნაკლის გამოსწორების ცდა — აქტივის პარადიგმაში შემოვიდა პირდაპირი დამატება, რომლის გარეშეც, რა თქმა უნდა, ეს ფორმები აქტივად ვერ ჩაითვლებოდა.

მეორე თვალსაზრისში, სადაც ისევ ქ მ ე დ ე ბ ა შ ი მ ო ნ ა - წ ი ლ ე ო ბ ი ს მიხედვით აქტივიზაციის პროცესში სუბიექტი ხდება პირდაპირი დამატება, ხოლო ირიბი ობიექტი — სუბიექტი, არ არის მითითება ამ პროცესის გამომწვევ მიზეზებზე და არც ნიშანთა

შენაცვლების (ინვერსიის) დამოკიდებულებაზე იმ ვითარებასთან, რომელმაც გამოიწვია ეს შენაცვლება.

თუ აქტანტთა სუბიექტად და ობიექტად დაჯგუფების კრიტერიუმად მივიჩნევთ აქტანტთა მიერ ინიციატივის ქონა-არქონას, პირველად და მეორედ კაუზატივებში **სუბიექტი მოქმედების შემსრულებელი** (პირველად კაუზატივებში — პირდაპირი ობიექტი, მეორედ კაუზატივებში — ირიბი ობიექტი) **კი არ იქნება**, არამედ — **ინიციატორი**, ვ ი ნ ც ქ მ ე დ ე ბ ა დ ა ღ ძ რ ა ვ ს პ ი რ დ ა პ ი რ ი და ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი თ წ ა რ მ ო ღ გ ე ნ ი ლ ა ქ ტ ა ნ ტ ე ბ ს .

რაც შეეხება, სტატიკურ ვნებითებსა და ორპირიან მედიოპასივებს, ისინი თავისი ბუნებით პერფექტული ფორმებია — წარსული ქმედების შედეგს გვიჩვენებენ აწმყოში (მიკავია **ის**, მიჭირავს **ის**, მიწერია **ის**...), აქ შედეგია ინიციატორის როლში, რის გამოც სუბიექტის ნიშანს იღებს, ირიბი ობიექტი (**მე** მიკავია, **მე** მიჭირავს, **მე** მიწერია...) მხოლოდ შემსრულებელია ქმედებისა, როგორც მეორად კაუზატივებში, სადაც სუბიექტი შეიძლება სამოქმედოც კი იყოს (**ის** ეცემინა მას): **მთავარია ქმედების ინიციატორობა იმისთვის, რომ აქტანტმა სუბიექტის ნიშანი მიიღოს. ქმედების შემსრულებელი ეცემინა ფორმაში ირიბი ობიექტისა, ინიციატორი** (თუმცა სამოქმედო) **კი — სუბიექტი.**

აქტივთა III სერიის ფორმებშიც სტატიკურ ვნებითთა მოდელით გადადის ორიენტაცია წარსული ქმედების შედეგზე და ეს შედეგი, რომელიც I და II სერიების პირდაპირი ობიექტით ხდება საცნაური, სუბიექტის სტატუსს იღებს აქაც და, ბუნებრივია, სათანადო ნიშანსაც ის იჩენს.

დამიწერია ფორმაში მიწერია ფორმის აქტივაცია მოხდა გეზის ზმნისწინთა დართვით (**გადამიწერია, ჩამიწერია**...), შედეგზე ორიენტაცია მოდელში შენარჩუნებული იქნა და სუბიექტის ნიშანიც აქ აქტანტმა მიიღო, შესაბამისად სახელობით ბრუნვაში ქვემდებარეა წარმოდგენილი, მიცემითში — შემსრულებელი პირდაპირი დამატება, ე. ი. მოხდა არა ინვერსია, არამედ ენაში მოქმედი საყოველთაო წესის რეალიზაცია: ინიციატორი სუბიექტის ნიშნით აღინიშნა (პერფექტულ ფორმებში ეს წარსული ქმედების შედეგია),

ქმედების შემსრულებელი კი იმ ობიექტის ნიშნით, რომელიც შემასმენელს გადმოჰყვება I სერიიდან. მოქმედებითი გვარის ზმნებს ირიბი ობიექტი არ გადაჰყვება III სერიაში, რადგან ეს სერია შედეგზეა ორიენტირებული.

მედიაოქტიური ზმნები ერთპირიანებიცაა და ორპირიანებიც. ისინი აქტივთა ფორმაწარმოების მოდელს იყენებენ, რის გამოც ირიბი ობიექტი არ გადაჰყვება III სერიაში. ფორმაში მხოლოდ შემსრულებელი აქტანტი რჩება პირად (**მიყარაულია** სახლისთვის, **მიდარაჯია** ეზოსთვის, **მიექიმი**ა დავრდომილთათვის...). ფორმებში, გარდა ამ მარკირებული რეალური აქტანტისა (**მე მიყარაულია...**), არის სუბიექტის ნიშანიც (**მიყარაულია**), რომლის შესაბამისი აქტანტი შემასმენელს არ მოეპოვება პირად. ასეთი შემასმენლები უქვემდებარაა, ისევე როგორც მ ძ ი ნ ა ვ ს და მ ც ი ვ ა ტიპის შემასმენლები.

## ნ ა თ ე ლ ა ქ უ თ ე ლ ი ა

### ირღვევა თუ არა ფონემათა შეერთების სინტაგმატური კანონზომიერებანი

მაგალითები ცხადყოფენ, რომ ყოველთვის არ რეალიზდება ფონემათა შეერთების სინტაგმატური კანონზომიერებანი.

ისმის კითხვა, რატომ **არღვევს ფონოტაქტიკა**, რომელიც ერთი მხრივ ფონემათა შეგუება-შეუგუებლობის გარკვეულ წესებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, ენის შინაგანი ორგანიზაციით არის ნაკარნახევი და რეალურად არსებული სტრუქტურებში ვლინდება, თავისთავად გამომუშავებულ წესს.

ასეთ დარღვევასთან გვაქვს საქმე მეგრულში ჰარმონიულ კომპლექსთა **B** სისტემის ლაბიო-ველარულ ასპირირებულ ჯგუფში: მეგრულისათვის კანონიკური **ფხარხ**.

რა შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც ფონოტაქტიკის წესი ერთი მორფემის ფარგლებში ირღვევა? ის რომ ფონემათა შეერთება კანონიკური სქემის გარეთ დარჩა, თუ შესაძლებელია პირველი კომპო-

ნენტის შეცვლა როტაციზმის წესით მეგრულში მოქმედი ფონოტაქტიკის **სხვა წესის** ანალოგიად ჩავთვალოთ.

არ არის გამორიცხული მეგრულში მოქმედი როტაციზმის ტენდენციის ჩარევა — ფონეტიკური ტენდენციების მოქმედება არასამწერლო ენების სივრცეში შეუზღუდავია.

რა შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც ფონოტაქტიკის წესი ერთი მორფემის ფარგლებში ირღვევა. ის, რომ მოცემულ ფონემათა შეერთება კანონიკური სქემის გარეთ დარჩა, თუ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პირველი კომპონენტის შეცვლა როტაციის გზით ანალოგიაა, რომელიც არაკანონიკური ჯგუფის პირველი კომპონენტის შეცვლას გულისხმობს. არ არის გამორიცხული როტაციზმის ძლიერი ტენდენციის ჩარევა, ვინაიდან ფონეტიკური ტენდენციების მოქმედება არასამწერლო ენების სივრცეში შეუზღუდავია.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXIII—XXVIII

**23.** არნ. ჩიქობავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა 1918-1922 წლებში. მისი თანაკურსელები, სხვებთან ერთად, ყოფილან ადამიანები, რომლებსაც უმაღლესი განათლება რუსეთსა თუ ევროპის ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ქართულ ენაზე ლექციების მოსმენის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მსმენელები გამხდარან. ერთი მათგანი იყო თამარ ლომოური, ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის ქალიშვილი, ნუმისმატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, შემდგომში — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი.

ქართლში ერთ-ერთი მივლინების დროს თ. ლომოურს თანაკურსელები — არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია, სახლში მიუწვევია. სუფრა ნიკო ლომოურის მეუღლეს გაუშლია...

**24.** პროფ. ა. შანიძეს გადაუწყვეტია: ვ. თოფურია ქართლში უნდა წავიდეს მივლინებით, არნ. ჩიქობავა — მთიულეთშიო...

მაშინ ბ-ნი არნოლდი უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობდა, პატარა ნაქირავები ოთახი ეკავა იქ, სადაც ახლა სამკურნალო კომბინატი მდებარეობს... დილას იმ ადგილს მიაკითხა (დაახლოებით ახლანდელი სპორტის სასახლის ტერიტორიაზე), სადაც ჩვეულებრივ მეურმეები იკრიბებოდნენ, სოფლებიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებმაც რაღაც გაყიდეს და უკან აპირებდნენ გამგზავრებას...

პირველად ნაბღისქუდიანები გამოელაპარაკნენ: სამ საათში ჩაგიყვანთო, უთხრეს, თანაც ძვირი დაუფასეს... ნათქვამი არასერიოზულად ეჩვენა. მათ რომ დამორდა, ბეწვისქუდიანი მთიულეები გამოჩნდნენ და თავიანთი სამსახური შემოსთავაზეს, თან უთხრეს: იმათ (ნაბღისქუდიანებს) არ ენდოთ, მაგათ ქრისტე ღმერთს უზანგი შააჭრეს! ასეთი გამონათქვამი მანამდე არ გამეგოო, — ღიმილით იგონებდა ბ-ნი არნოლდი.

მეურმეებმა შესთავაზეს: დილაადრიან გავალთ, ამიტომ ღამე ჩვენთან გაათიე, თორემ ვერ მოგვისწრებთო. ახლოს ცხოვრობო რომ უთხრა, არ დაგავიანდესო, დააბარეს...

მეორე დილას რომ მივიდა, ურმები მარილით დაეტვირთათ. მარილიან ტომარაზე დაჯდა სხვებთან ერთად... მაშინ სამხედრო გზაზე ყაჩაღობა იყო და მეურმეებს ეშინოდათ, ამიტომ რამდენიმე ურემი ერთად მიდიოდა...

პირველ დღეს მცხეთას გასცდნენ და ღამე ბულაჩაურში გაათიეს... მესამე დღეს ფასანაურს მიაღწიეს, მეოთხე დღეს — ქვეშეთს...

არნ. ჩიქობავამ მივლინების ბარათი წარადგინა, რომელშიც ეწერა: ესა და ეს პირი საპროფესოროდ მოსამზადებლად არის დატოვებული და ხელი შეუწყვეთო... პროფესორი ვეგონეთ და იქვე, დუქნის თავზე გამომიყვეს პატარა ოთახიო... შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, მთიულეთის რამდენიმე სოფელს ეწვია...

**25.** სტალინს პირველი შეხვედრისას მაგიდაზე, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომი ედო, მაგრამ არა ის, რომელსაც მისთვის სპეციალურად ამზადებდნენ (ტყავის ყდაში ჩასმულს), არამედ ჩვეულებრივი, მასობრივი ტირაჟით გამოცემული...

სტალინი: ყველა ასეა გამოცემული?

ჩიქობავა: ყველა, ამხანაგო სტალინო!

სტალინი: რიგანი გამოცემა... თქვენ აქ წერთ, რომ **ბლუზა**, ფრანგულიდან არის შეთვისებული, განა რუსულიდან არ არის?

ჩიქობავა: წიგნში წერია, რომ **ბლუზა** ფრანგულიდან არის რუსული ენის მეშვეობით.

სტალინმა უხმოდ გადაშალა წიგნი, ჩახედა და დახურა. სახეზე არავითარი ემოცია! ვერ გაიგებდი, რა ნახა ლექსიკონში და რა მოიწონა, თუ არ მოიწონა...

კიდევ რამდენიმე შეკითხვა დასვა, ისევ შეამოწმა და წიგნი უხმოდ დახურა... ისევ არავითარი რეაქცია!

შეხვედრიდან რომ მოდიოდნენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კ. ჩარკვიანმა ბ-ნ არნოლდს შემფოთებით ჰკითხა: ხომ არაფერი შეგეშალათ?

ბ-მა არნოლდმა უპასუხა, რომ ტომის რედაქტორია, რამდენჯერმე აქვს წაკითხული და შეცდომა გამორიცხულიაო...

**26.** სტალინს თავის დიდ მისაღებ ოთახში რამდენიმე ტახტი ედგა, რომლებზეც მუთაქები ელაგა... ომის დროს თურმე ცოტა ხნით თუ წაიძინებდა, ისიც ძირითადად დღისით...

არნ. ჩიქობავა: დღე ეძინა, ღამე ფხიზლობდა, მთელი ქვეყანა ფხიზლად იყო...

**27.** ბ-ნ არნოლდს არ უყვარდა მრავალსიტყვაობა, ლაკონიურობა მისი სტილის დამახასიათებელი ძირითადი თვისება იყო. ამის დამადასტურებელია ნაწყვეტი რეკომენდაციიდან, რომელიც 1968 წლის 29 მაისს არის დაწერილი და სათანადო პირის პირად საქმეში ინახება: „...ვაჟა შენგელიას, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს, აქვს დაკვირვების ნიჭი და ენობრივი ანალიზის უნარი; სისტემური მუშაობის ჩვევაც მოეპოვება. მთის იბერიუ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში მისი ჩარიცხვა საქმის ინტერესებს შეეფერება...“

**28.** ბ-ნ არნოლდთან თათბირზე ვიყავით: ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ალ. მაპომეტოვი და მე. როგორღაც სიტყვა ჩემზე ჩამოაგდეს და რამდენიმე თბილი სიტყვა ითქვა. ქ-მა ქეთევანმა, სხვათა შორის, აღნიშნა: ვაჟა ყველას უყვარს...

არნ. ჩიქობავა: არა მგონია, ასე იყოს... მაგრამ, თუ ყველას უყვარს, არ ყოფილა კარგი კაცი.



## რ ე ვ ა ზ შ ე რ ო ზ ი ა

### ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგი საკითხისათვის

1. ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი ვარინტი, — ქართველური სალიტერატურო ენა — ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე რომ არის შექმნილი, დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამასთან, ხაზგასმულია ის უნიკალური ფაქტიც, რომ ისტორიულად მის „განვითარებაში წყვეტა არ მომხდარა, ახალი ენობრივი სისტემა, ანუ „ახალი ენა“, ძველთან მიმართებით, არ ჩამოყალიბებულა“ (ავთ. არაბული).

ქართველურმა ენობრივმა სისტემამ თავისი განვითარების გზაზე — გარდა სალიტერატურო ვარიანტისა — წარმოშვა მრავალფეროვანი დიალექტური სახესხვაობანი, — სისტემის „შესაძლებლობათა“ (ბ. ფოჩხუა) ნაირგვარი ვარიანტული ჯგუფები. მათში „ამ „შესაძლებლობათა“ რელივიზაციის შედეგები საუკუნეების მანძილზე სალიტერატურო ენაში აკუმულირდებოდა. ეს პროცესი კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, უფრო ნათლად — სულხან-საბას „სიტყვის კონაში“.

2. ყურადღებას იქცევს სულხან-საბას მიერ არამართო შეტანილი ფორმები, არამედ მათი განმარტებებიც, რომლებიც სალიტერატურო ვარიანტისა და დიალექტების ურთიერთმიმართებისადმი ავტორის პოზიციას ნათლად წარმოაჩენს.

სიტყვა-ნიშანთა განმარტებებისას სულხან-საბა ხშირად იყენებს წინადადება-ტერმინებს: „სხვათა ენაა“ (ზოგჯერ მითითებულია, თუ რომელი ენიდან არის ნასესხები: „ბერძნული“,...), „გლესურად...“ („გლესური“ განმარტებულია როგორც „მდაბიური“), „გლესნი... უწოდებენ“, „მსოფლიონი... უწოდებენ“.

პირველ შემთხვევაში, ცხადია, უცხო ენა იგულისხმება:

„**აქიმი** სხვათა ენაა, ქართულად მკურნალი ჰქვიან“.

„**კუტი** სხვათა ენაა, ქართულად ს ა პ ყ ა რ ი ჰქვიან“. სხვა რედაქციაში ზოგჯერ წყარო სახელდება: „ეს **კუტი** თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოუღიათ, ქართულად ს ა პ ყ ა რ ი ა“.

ქართველური ენობრივი სამყაროდან მოხმობილი ფორმები,

რომლებიც სულხან-საბას აზრით ლიტერატურული არ არის, განმარტებულია როგორც „გლესური“ ან „მსოფლიონი“:

„**მათე** მცირე ფოსო გლესურად“.

„**ბებია** გლესნი ყრმათ ამქმელს უწოდებენ“.

„**კუდური** კუდიანი, ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდებენ...“ იშვიათად, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დაკონკრეტებულია, თუ რომელი კუთხის (დიალექტის) „გლესურია“ სიტყვა:

„**დასტი** ჭანნი კოკას უწმობენ; საღვინეა დიდი“.

„**კონუჯი (კონუნჯი)** იმერული ქალამანი“.

„**კი, მი, ყე, ქუე (კი, მი, ყე, ქვე, ქე, წენ, კენ...)** ესენი სიტყვათა გემოთა ართრონი არიან, ხოლო რომელნიმე იმერელნი ამათდა ნაცვლად სიტყვათა შინა ატანენ: **ქე, წენ**; ცუდი არს და ამაო...“

„**ოჯი** ბადე მეგრულად. მგრგვალი ბადეა ქორთ თავ(ს) და-საცმელი“.

„**ჟარე** იარე მესხურად.

თუმცა სულხან-საბა ასახელებს მხოლოდ ჭანებს, მეგრელებს, იმერლებსა და მესხებს, მაგრამ ლექსიკონში შეტანილი აქვს მრავალი დიალექტური სიტყვა-ფორმა. ცხადია, რომ ავტორი, მართალია, უპირველესად სალიტერატურო ენის სიწმინდეს იცავდა, მაგრამ ქართველური ენობრივი სისტემის ვარიანტთა მასალით ძირითადი, სალიტერატურო ვარიანტის გამდიდრება რომ აუცილებელი იყო, კარგად ესმოდა.

## ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

### ჟურ-/ჟირ-/ჟგრ- ძირთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003, გვ. 183) „სისველისა“ და „წყალობის“ აღმნიშვნელი სვანური **-ჟირ/-ჟგრ-** ძირი დაკავშირებულია ქართული ენის ფშაური დიალექტის ლექსემასთან **ზალა** („ყველის შესანახი მარილიანი, მლაშე წყალი; წათხი“), მაგრამ

ის არ დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, რაც არ-  
თულებს მის ჩათვლას საერთოქართველური დონის მონაცემად.

სულხან-საბა ორბელიანისთვის **ზალა** იგივე **წალაა** („მარავი,  
ვითა წყალი“), რომელიც გვხვდება როგორც ძველ ქართულში, ისე  
თანამედროვე ქართულ დიალექტებსა და სვანურში „გაწყალებული  
ჩირქის“ მნიშვნელობით. აქვე შეიძლება გადავხედოთ ლექსემა  
მო-**წალ**-ვაც („დასაძმარავი მხალეულის ცხელ წყალში მოთუთქვა“).  
ამ ძირის უგულვებლყოფა, ვფიქრობთ, უხერხულია მაშინ, როცა  
„სისველის, სითხის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ეტიმოლოგიაზე ვმსჯე-  
ლობთ. **წალ** ნასესხები უნდა იყოს სვანურ ენაში ძველი ქართული-  
დანვე (განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. Fähnrich 1991, 17) და  
გამოიყენება მხოლოდ ლენტეხურ დიალექტში. აქაც და სვანურის და-  
ნარჩენ კილოებშიც უფრო გავრცელებულია იმავე მნიშვნელობის **თაზრ**.

ჩვენი აზრით, საანალიზო ძირთა შეპირისპირებისას აუცილებე-  
ლი არ არის, ამოვიღეთ თანხმონის მაინცადამაინც სისინა ვარიან-  
ტიდან, რადგანაც ყველა ქართველურ ენაში „სისველისა“ თუ რაიმე  
„სითხის“ აღმნიშვნელ ლექსემებში სწორედ **ჟ** ფონემა ფიგურირებს,  
ძირითადად, სონორ ბგერათა და უძველეს სუფიქსთა გარემოცვაში:

ქ ა რ თ უ ლ ი

**ნიჟი** (ძვ. ქ.) „ცვარი, სისველე“; „**ნიჟი** არის ცვარის უმცირესი  
ნაწილი“ (საბა); შდრ. **ჟინ-ჟლ-ვა**, **ჟონ-ვა**, **მ-ჟონ-ავი**, **გა-ჟონ-ილ-ი**,  
**ნა-ჟონ-ი**, **ნა-ჟური**-ი, **ჟვან-ი** (ქართლ.) „ნაჟური“, **ჟღმ-უტი**-ი (ძვ. ქ.).  
„წვიმის სახეობა“, **ჟღვ-იკი** (გურ.) „წვიმიანი ამინდი“, **ჟინ-ჟღლ-ი**  
(საბა) „წვრილი თქორი“, **ჟვან-ქი** (გურ.) „ცვარი, წვეთი“, **ჟოქ-ო**  
(გურ.) „წყალწყალა ღვინო“, **ჟან-ტი**-ი (საბა) „მცირე რამ სისუფლე“,  
**ჟა-ტი**-ი (საბა) „წყლიანი თოვლი“, **ჟალ-ტი-ამ-ი** (გურ.) „თოვლჭყაპი“,  
**ჟაჟ-უნ-ი** (ქიზიყ.) „სხმა წვიმისა, სმა ღვინისა“, **ჟღლეთ-ი** (იმერ.,  
გურ.) „ვეთ-ქი (ლექხ.) „კოკისპირული წვიმა“, **ჟვ-ავი** (გურ.) „ნამი,  
ცვარი“, **ჟვ-იბ-ინ-ი** -ლექხ.) „სისველე“, შდრ. იმერ. **ჟვ-ებ-ო** „სითხის  
ქაფი; ოფლი“, **ჟვრინ-ტი**-ი (თუშ.), **ჟრინ-ტი**-ი (მთიულ., ქიზიყ.) „წვე-  
თი“, **ჟით-ქი** „წვრილი წვიმა“, **ჟმ-ორ-ი** (რაჭ.) „თქორი“, **მო-ჟრ-ობ-ა**  
(გურ.) „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხის — სველის  
წამოდულება და თავზე მოყენებული ხატოსებრი მასის გაწურვა“,  
**ჟონ-ტი-ორ-ო** (გურ.) „სველი შემა“, **ჟრინ-ვა** (ფშ.) „ჩუხჩუხი, რაკრა-

კი“, **ჟუნ-ტი-ა-ა** (ინგილ.) „სურდო“, **ჟუჟლ-ო** (ქიზიყ.) „წყლულის ნა-  
დენი“, **ჟუჟლ-ნ-ა** (იმერ.) „უხეიროდ რეცხვა“...

მ ე გ რ უ ლ ი

**ჟვარი**-ი „სველი, წყლიანი“, **ჟვარ-უ-ა** || **ჟვარ-ჟვალ-ი** „წვეთება,  
წყლის სხმა“, **ი-ჟვარ-ჟვალ-უ-რ** „სველდება“...

ვფიქრობთ, რომ საერთოქართველური ენის დონეზე უნდა  
აღვადგინოთ \***ჟურ-** ძირი (შდრ. ქიზიყ. **ჟურ-ი** „წვეთი“, **ნა-ჟურ-ი**  
„ნაწვეთი, წვეთ-წვეთად გამოდენილი“; გურ. **ჟურ-ი** „საარაყე მასალა —  
როცა წყალს დაამატებენ, იტყვიან: **ჟური** მივეციო“; აჭარ-**ჟურ-ი**  
„მკვახე ყურძნის წვენი“), საიდანაც სვანურ ენაში უმლაუტის შედე-  
გად წარმოქმნილი დელაბიალიზაციის პროცესითა და რედუქციის  
(თოფურია, 1931, გვ. 155-156; 1979, გვ. 167) გზით (\***ჟურ**+ი >  
\***ჟურ** > \***ჟურ** > **ჟირ** > **ჟერ**) მივიღებდით თანამედროვე მეტყველე-  
ბაში დადასტურებულ ლექსემებს: **მე-ჟირ** „სველი“, **ლი-ჟრ-ე** (< **ლნტ.**  
**ლგ-ჟირ-ე**) „სველება“, **ნა-მ-ჟირ-ი** „სისველე“, **ლგ-ჟრ-ე** (< **ლნტ.** **ლგ-**  
**ჟირ-ე**) „დასველებული“, **ბზ. ლა-ნ-ჟირ**, **ბქ. ლა-მ-ჟირ** „ნოტიო ადგი-  
ლი; საწვიმარი ღარი“, **ნა-ჟრ-ე** (ჩოლ. **ნა-ჟირ-ე**) „ოდნავ სდის“, **მა-ჟერ**  
„მოწყალე“, **ლი-ჟგ-რ-ე** „წყალობის ქმნა“, **ნა-ლ-ჟერ** „ნაწყალობევი“,  
შეცოდებული“, **ლე-ჟრ-ი** (< **ლნტ.** **ლე-ჟგ-რ-ი**) „საწყალობელი, საცოდავი;  
**მე-ჟირ** „შემწყალბელი, შემცოდებელი“, **მე-ჟრ-ი** (< **ლნტ.** **მე-ჟგ-რ-ი**)  
„მოწყალე“,... — როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი  
(-**ჟირ-**, ერთი მხრივ, და -**ჟერ-**, მეორე მხრივ) საფუძველია ერთი და იმა-  
ვე -**ჟურ-** ძირის სემანტიკური დიფერენცირებისა.

ქართველურ ენებში გამოვლენილი რეგულარული ფონემათმე-  
სატყვისობების სისტემიდან ამოსვლით ზანურ-სვანურში მოსალოდნე-  
ლი იყო -**ჟღ-** კომპლექსი, მითუმეტეს, თუ შევუდარებთ ერთმანეთს  
ქართული ენის აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა ზოგ მონა-  
ცემს: თუშურ-ფშაურ-ქიზიყური **ჟინ-ჟღ-ი**, ერთი მხრივ, და გურული  
**ჟინ-ჟღლ-ი**, მეორე მხრივ („წვრილი წვიმა“); თუშური **ჟვრინ-ტი**-ი,  
მთიულ-ქიზიყური **ჟრინ-ტი**-ი, ერთი მხრივ, და ქართლური **ჟღინ-ტი**-ი,  
მეორე მხრივ („წყლის წვეთი“). საგულისხმოა, რომ სვანური ენის  
ერთ-ერთ დიალექტში სწორედ მთიულურ-ქიზიყური ფორმაა შესული  
(შდრ. ლშხ. **ჟრინტი** „წვეთი, ყლუპი“). იქვე გვაქვს -**ჟღ-** კომპლექსის  
შემცველი მონაცემიც (ლშხ. **ჟღერ** „თქეში“). ეს უკანასკნელი ლექსე-

მურ დიალექტშიც გამოიყენება „ძლიერი წვიმის“ აღსანიშნავად, რაც სვანურის (ლამზურის) ანარეკლია. ლოგიკურად სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ საანალიზო ფორმებისათვის (-**ჟირ-**, -**ჟგრ-**, -**ჟდერ-**) საკუთრივ სვანურში ამოსავლად ვივარაუდოთ **\*-ჟდურ-**, რომელშიც თანდათანობით დაიშალა ბგერათკომპლექსი. ლექსემები, რომლებიც გადმოგვცემენ „სისველისა“ და „წყალობა > შეცოდების“ სემანტიკას, შეიძლება მიგველო როგორც -**ჟურ-**, ისე -**ჟერ-** ძირიდან, თუ მეგრულ მასალასაც გავითვალისწინებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთოქართველური ენის დონეზე ამ ძირში უნდა დავუშვათ -**ჟ/ე-** ხმოვანთმონაცვლეობა.

ქართველურ ენებში დღესაც შეინიშნება ბგერათკომპლექსების გამარტივების პროცესი:

გურული: **ჟღვებ-ი > ღვებ-ი > ღვიბ-ი > ვვიბ-ი** („ოდნავ წვიმიანი, ნისლიანი ამინდი“);

სვანური: **ლი-ჟღამ-ურ-წლ > \*ლი-ჟამ-ურ-წლ > ლი-ჟუმ-ურ-წლ** („ჟღავილი > აშლილობა, არეულობა“);

სვანური (ბქ., ლნტ.): **ბჟდერ** („ჩვილი, ყრმა“), იმერ.-გურ.-ლეჩხ. **ბჟდარტი > ბლარტი**, აჭ. **ბლაშტი** („ბარტყი, ბავშვი, შვილი, უსუსური“).

იმერულ-გურული: **ჟღლეთ-ი > ლეჩხუმური ჟეთ-ქ-ი** („კოკისპირული წვიმა“); **ბჟდილ** (ჩოლ.) — მჩუტე, უნაყოფო თავთავი, შდრ. **ბჟირ-ი** — „უგულო ფეტვი და მისთანანი“ (საბა);

საბა: **ჟატყ-ი > ჟანტ-ი** „წყლიანი თოვლი“...

ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხური **ჯურ** („წყალი“) საერთოქართველური **\*-ჟურ-** ძირის გააფრიკატებული ვარიანტია?

## ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

### ჩემი მოძღვართმოძღვარი

თუკი სადმე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე მიწევს მსჯელობა, მე მას ყველგან „მოძღვართმოძღვარს“ ვუწოდებ, რადგანაც ყველა, ვინც კი მასწავლიდა უნივერსიტეტში, ასისტენტიდან დაწყებული აკადემიკოსით დამთავრებული, მისი ნამოწაფარი თუ მოწაფე იყო; ასობით სპეციალისტი ჰყავდა გაწვრთნილი — **„მეორეს ვერავის დავასახელებთ, რომელსაც ამდენი ძვირფასი დრო გაეღოს თაობათა აღზრდისათვის“** (აკად. ქეთევან ლომთათიძე).

რა დიდებულად თქვა მისმა უსაყვარლესმა მოწაფემ, შესანიშნავმა მომღერალმა და არანაკლებმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ნოდარ ანდლულაძემ! — **ბრძენი ოსტატის გაკვეთილებზე შეგირდ-მწვრთნელის პარადიგმა იცვლებოდა მაძიებელ-მოძღვრის პარადიგმად**. ოდესღაც მისთვის და გივი მაჭავარიანისთვის, როცა ისინი ბატონი არნოლდის ასპირანტები იყვნენ, ალბათ სევდანარევი ტკივილით მასწავლებელს ისიც კი უთქვამს: რა ძნელი იქნებოდა უთქვენოდ სიცოცხლეო.

ზღაპრად დაგვრჩა მის მოწაფეებს სათაყვანებელ მოძღვართან ურთიერთობის წლები... დღემდე გვესიზმრება ეს საოცრად კეთილშობილი ადამიანი, ტანმორჩილი ქათქათა კაცი, მაგრამ იმავდროულად ბუმბერაზი პიროვნება და მეცნიერი-ფილოსოფოსი, ვინც ყოველთვის ისე ღირსეულად გელაპარაკებოდა ურთულეს პრობლემებზე, როგორც თანატოლს...

ასეთ კაცს მემკვიდრე არ დარჩენია — სულ მგონია, რომ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები მთელ კავკასიაში მისი ღვიძლი შვილები ვიყავით...

ასეთი კაცი რატომღაც მკაცრი ეგონათ ვიღაც-ვიღაცებს, ანუ იმათ, ვინც მას ახლოს არ იცნობდა, ჩვენ კი ყოველთვის ვაღმერთებდით ბატონ არნოლდს!

როცა დიდი მეცნიერის 100 წლისთავზე „ხსოვნის წიგნი“ მომზადდა, სამწუხაროდ, მე თბილისში არ ვიყავი და, ბუნებრივია, არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია მის შექმნაში (არავინ იზრუნა ჩემ-

თვის შეეტყობინებინა ეს ამბავი); ვაითუ ვეღარ მოგვსწრო მოძღვრის 120 წლის იუბილეს და ამიტომაც ახლა გადავწყვიტე, მოგითხროთ რამდენიმე ეპიზოდი მისი „სიმკაცრის“ შესახებ:

მეხუთე კურსზე რომ გადავედი, ზაფხულში კუბაში იმართებოდა ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ჩვენი დელეგაციაც მონაწილეობდა. საკმაოდ ძვირი ღირდა ეს სიამოვნება, მაგრამ მშობლები შემპირდნენ, რომ „წლებზე ფეხს დაიდგამდნენ“ და გულს არ დამწყვეტდნენ. საჭირო იყო დოკუმენტაციის შეკრება. ბუნებრივია, რომ კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტი ვეახელი კავკასიურ ენათა კათედრის გამგეს. წინა წელს, სახელობითი სტიპენდიის მონიჭების დროს, უკვე მქონდა ამის გამოცდილება (ბატონი არნოლდის ხელით დაწერილ დახასიათებას დღემდე მოწიწებითა და სიამაყით ვინახავ). როცა გაიგო საქმის ვითარება, ისე, რომ ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამს, საოცრად ღიმილნარევი სიღინჯით მითხრა: „პატივცემულო იზა, კუბაში ყოველთვის წახვალთ მომავალში (ხომ გახსოვთ, რა დრო იყო მაშინ? თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ახალგაზრდა კი არა, ბუზიც ვერ შეფრინდებოდა ამერიკის კონტინენტზე!), ახლა კი სვანეთში უნდა წაბრძანდეთ, რადგანაც თქვენი სადიპლომო ნაშრომი სრულიად დაუმუშავებელ საკითხს ეხებაო“. მართლაც ასე იყო და, რასაკვირველია, ხმაც არ გამიღია. დღემდე დამცინის ყველა, ვისაც ეს ფაქტი ახსოვს, თუმცა სულაც არ ვნანობ, რომ მაშინ კუბის ნაცვლად სვანეთში წავედი, საიდანაც ორ კვირაში ერთხელ სამეცნიერო ხელმძღვანელს წერილებს ვწერდი იმის შესახებ, თუ რას ვსაქმიანობდი — ეს ბატონი არნოლდის დავალება იყო.

მარტის თვეში დამაცვევინა სადიპლომო ნაშრომი კათედრის სხდომაზე — გაგიგონიათ სადმე ამგვარი რამ?! მაშინაც და ახლაც მსგავსი სხდომები იმართება ხოლმე იენისში. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს აპრილის თვეში უნდა განეხილა იმ სტუდენტების საკითხი, ვისაც რეკომენდაციას აძლევდნენ ასპირანტურაში.

დავამთავრეთ უნივერსიტეტი და მოხდა საოცარი რამ — მეცნიერების საკავშირო მინისტრმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ასპირანტურაში ჩაბარების უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ

ქონდა ორი წლის მუშაობის სტაჟი. ძალიან ვინერგიულეთ — გაუქმდა სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციები, მაგრამ ლიანა სტურუას, დამანა მელიქიშვილსა და მე ეს წესი რატომღაც არ შეგვეხო. ჩავთვალეთ, რომ მაშინ საკმაოდ გჩანდით უნივერსიტეტში და ალბათ ამიტომ გამოგვარჩიეს. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ (როცა საკანდიდატო დისერტაციას ვიცავდი) მითხრა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, რომ თურმე მინისტრ ი. ელიუტინისთვის მიუწერია ბატონ არნოლდს ჩემ შესახებ ახსნა-განმარტებითი ბარათი და დაუსაბუთებია, რომ აუცილებელი იყო კადრების მომზადება სვანურ ენაში სამუშაოდ (მავანნი კი დღემდე აბრალებენ მას, რომ სვანურში არც თავად მუშაობდა და არც სხვას ამუშავებდა — ენადაც კი არ მიაჩნდა, ქართულ-მეგრულის კონგლომერატს ეძახდაო; ნეტარ არიან მორწმუნენი!..).

ჩემთვის არც უკითხავს, ისე შეუესია ასპირანტის სამუშაო გეგმა, რომელშიც აღნიშნული იყო სადისერტაციო თემის სათაური „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ქართველურ ენებში“ და ადღერში გამგზავრებულა. კინაღამ გული გამისკდა — მაშინ მოსკოვში სულ ახალი გამოსული იყო პროფ. გიორგი კლიმოვის წიგნი „Склонение имён в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте“ და მე, 22 წლის გოგონას, რაღა უნდა მეკვლია?!

მთელი წლის განმავლობაში მამუშავებინებდა ათასგვარ რეფერატს (განსაკუთრებით აკად. ნ. მარის მოღვაწეობიდან) სადისერტაციო პრობლემასთან დაკავშირებით. ბოლოს, როგორც იქნა, შევკადრე — საკანდიდატოსთვის ძალიან რთული თემაა და თუ შეიძლება, ამას მომავალში გავაკეთებ, ახლა კი რამე მარტივი შემირჩიეთ-მეთქი. ახლაც თვალწინ მიდვას ბატონი არნოლდის მომნუსხველი მზერა — მივხვდი, არ მოეწონა, რომ შევმინდი, მაგრამ უკან არ დაუხვევია.

„კარგიეთო, — მითხრა, თავის დროზე საგანგებოდ ვმუშაობდი სვანური ორფუძიანი ბრუნების შესწავლაზე (ამ მიზნით სვანეთშიც არაერთხელ გყოფილვარ), მაგრამ შემდეგ აუცილებელი გახდა ხუნძურ ენაზე მუშაობა და დალესტანში გადავინაცვლე. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნაშრომი შეიქმნა, ბევრი რამ მაინც გაურკვეველია, რადგანაც საკითხია ძალიან რთული, თანაც მთის კავკასიურ ენათა ორფუძიანი ბრუნების სისტემასთან კონტექსტში განსახილველი. ამი-

ტომ მინდოდა დაინტერესებულყავით მისი კვლევით, მაგრამ რა გაეწყობა? დაველაპარაკები ვარლამ თოფურიას (ბატონი ვარლამი ჩემი დისერტაციის კონსულტანტი იყო) და მერე გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთო“.

ერთ კვირაში შემთხვევით შემხვდა ბატონი ვარლამი უნივერსიტეტის ფოიეში. მივხვდი, რომ უკვე ყველაფერი იცოდა, რადგანაც შორიდანვე იღიმებოდა (ალბათ, გაცეხული იყო, ბატონი არნოლდის შერჩეულ თემაზე უარი რომ ვთქვი). ვთხოვე, თუ შეიძლება ძველი სვანური ხალხური საგალობლების ენას შევისწავლი-მეთქი. ძალიან გაუკვირდა — კი, მაგრამ, ეს უფრო რთული არაა, ვიდრე სახელთა ბრუნებაო?

ისე გავთავხედდი, რომ არც ერთ გენიოსს არ დაუფერე და მაინც ჩემი არჩეული თემა წარმოვადგინე დასაცავად — სხვათაშორის ვადაზე ადრე, რის გამოც პრემია დავიმსახურე.

როგორც ყველა დისერტანტი, ძალიან ვნერვიულობდი დაცვის დღეს და სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დამავგიანდა. ბატონი არნოლდი შემოსულა ჩვენს განყოფილებაში, ალბათ შეეშინდა, კიდევ რამე უცნაური არ ჩამედინა. ერთიანად შეძრულნი დამხვდნენ თანამშრომლები — სხდომათა დარბაზში შესვლამდე ხელმძღვანელი აუცილებლად ნახეო. ვიფიქრე, ტყავს გამაძრობს-მეთქი, მაგრამ იცით, რა მითხრა?

— შესავალი სიტყვა გინდ წაიკითხეთ, გინდ ზეპირად თქვით, ოღონდ ოპონენტებს პასუხი სადმე ჩაუხედავად გაეცით. საერთოდ კი იმაზე ნუ იფიქრებთ, რომ დისერტანტი ხართო.

თითქოს არც არაფერი იცოდა ჩემი დაგვიანების შესახებ — ამ მხრივ არაფერი უთქვამს.

როგორც ჩანს, დაცვის პროცესმა ნორმალურად ჩაიარა, რაც შეეცყო კიდევ სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოსვლას:

— პატივცემულ იზას ჩვენ სახელთა ბრუნების დამუშავება დავავალეთ, მაგრამ ამჯერად მან რატომღაც სხვა თემა ირჩია. ეს საკითხი ძალზე რთულია — სადოქტორო დისერტაციის თემა შეიძლება იყოს და აუცილებლად უნდა გაკეთდეს. თუ ჩვენი დისერტანტი პოეზიის ტყვეობაში არ მოექცევა, მისი მეცნიერული კეთილსინდისიერება და დღევანდელი ნაშრომი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ

მისგან რიგიანი ენათმეცნიერი დადგებაო.

მაშინ სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი იყო პროფ. გურამ თოფურია და, ბუნებრივია, მას უნდა გაეგზავნა შესაბამისი ოქმი უმაღლეს საატესტაციო კომისიაში. ხუმრობდა: „ხელმძღვანელის სიტყვებს ცოტათი შევამოკლებ; აბა რუსებს როგორ მივწერო ამდენი რამ ქალის სინდის-ნამუსის შესახებო“.

ასპირანტურაში სწავლის დროს შემეძინა ქალიშვილი. ჯანმრთელობის მხრივ მძიმე მდგომარეობა მქონდა (ერთი თვე ვიწეკი საავადმყოფოში) და ბატონი არნოლდის სემინარებზე დიდხანს არ მივსულვარ. როცა ბოლოსდაბოლოს გამოვცხადდი ენათმეცნიერების ინსტიტუტში, საშინლად შეწუხდა, ისეთი გაყვითლებული და გამხდარი ვიყავი. სამკურნალოდ „ფიტინი“ დამინიშნა, რომელიც დღესაც კი ფართო სატელევიზიო რეკლამით გამოირჩევა. სამეცადინოდაც შინ დამიბარა. მკითხა, რა შუალედში აჭმევთ თქვენს პაწია მოქალაქესო, და იმ პერიოდში ვმუშაობდით ხოლმე ერთად ძველ ქართულში, პალიმფსესტურ ტექსტებზე. ყოველთვის საათი ჰქონდა დანიშნული. ისე გავერთობოდი სასემინარო საქმიანობით, რომ ერთადერთი შვილი ზოგჯერ აღარც მახსოვდა, ბატონ არნოლდს კი ჩემი თამრიკო არასდროს დავიწყებია — ახლა ჩქარა გაიქცეით შინ, თორემ თქვენი პატარა მოქალაქე ტირილს დაიწყებსო.

სულ მეკითხებოდა ბავშვის ამბებს. ერთხელ მამამისზეც მკითხა, თუმცა ძალზე დელიკატურად, მაგრამ ისე შევწუხდი, რომ ვერაფერი ვუპასუხე (ჩემი შვილის მამასთან სერიოზული პრობლემები მქონდა) და საშინლად ავკვითინდი. უცებ მომესმა მაგიდაზე მუშტის დარტყმის ხმა.

— თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და არც კი იცით, თუ რა რთულია ცხოვრება! ცრემლებით ვერაფერს გახდებით! მთავარია ფარ-ხმალი არ დაყაროთ!

საუბრის თემა სრულიად შეცვალა და მამამო იმის შესახებ, თუ 1941 წლის 22 ივნისს როგორ იჯდა დალაქთან დალესტნის ერთ-ერთ მიუვალ აულში და არაფერი იცოდა ომის დაწყებაზე. უკანასკნელი გროშებიც იქ დატოვა და რის ვაი-ვაგლახით (ფეხით, ცხენით, ურმით...), ბაქოდან შემოვლით, რამდენიმე დღის მშვიერ-მწყურვალმა ძლივს ჩამოაღწია თბილისში. ბოლოს იკითხა:

— რამე მატერიალური გაჭირვება ხომ არ გქონიათ ოდესმე?

— არა-მეთქი — ვუპასუხე.

— ჰოდა, ნუ გეშინიათ, არც მომავალში გაგაჭირდებათ.

ძალზე მერიდებია, ამდენ ადგილს რომ ვიკავებ „არნოლდ ჩიქობავას XIX საკითხავებში“, მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო ჩვენი ბოლო შეხვედრა:

ბატონი არნოლდი ძალიან ავად გახდა — იმ მიტკლისფერი ედო, რომელშიც იწვა — ჰემოგლობინი დაეცა. რატომღაც მაშინ გაწყდა C ვიტამინი და „ფერუმლეკი“. მე და ჩემმა დამ — პროფ. გრეტა ჩანტლაძემ მთელი თბილისი შემოვირბინეთ და რაღაც სასწაულად ვიშოვეთ წამლები. პროფ. ვაჟა შენგელიას უთქვამს მისთვის ყველაფერი.

შეწუხებულხართო — ძლივს მითხრა სათაყვანებელმა მასწავლებელმა.

გვრძნობდი, რომ ველარ ვნახავდი ბატონ არნოლდს და გადავწყვიტე, სიკვდილის წინ მაინც მეთქვა მადლობა იმ ამავისთვის, რაც მან ყველა თავის მოწაფეზე გასწია.

— თქვენ რომ წუხდებოდით ხოლმე ჩვენთვის-მეთქი?

— ეს ვალი იყო, დიდი ვალი მასწავლებლისაო...

ეჰ, კიდევ რამდენი სიკეთის გახსენება შეიძლება ამ თითქოსდა მკაცრი ადამიანის შესახებ, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

## მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### ექსტრალინგვისტური ინფორმაცია ლექსიკონებში

ექსტრალინგვისტური ინფორმაცია ლექსიკონში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორგვარად:

I. სიტყვა-სტატიის განსაკუთრებულ ზონაში,

II. თვით სიტყვა-სტატიის კორპუსში.

ეს ინფორმაცია შეიძლება მოცემული იყოს (1) ფრჩილებში, ან (2) შეიძლება წარმოადგენდეს განსაზღვრების ნაწილს მნიშვნელობა-

თა განმარტებისას, ან (3) შეიძლება საილუსტრაციო მასალაში გვხვდებოდეს.

ექსტრალინგვისტური (ენციკლოპედიური) ინფორმაციის მიმართება ლინგვისტურთან მრავალმხრივ საინტერესოა. ერთი მხრივ, ამგვარი ინფორმაცია გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის უკეთესად ახსნისათვის, მეორე მხრივ, იგი აფართოებს ადრესატის ენციკლოპედიურ ცოდნას ობიექტურ გარესამყაროზე. ექსტრალინგვისტური ინფორმაციის მოცულობა და ხასიათი განისაზღვრება ლექსიკონის ტიპით. ამგვარი ინფორმაციის ჩართვას განმარტებით, თარგმნით თუ იდეოგრაფიულ ლექსიკონებში განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

ა) ნაციონალური და სოციალური რეალიები;

ბ) „სამყაროს დანაწევრება“ სხვადასხვაგვარად სხვადასხვა ენის მატარებელთა მიერ;

გ) ნაკლებადცნობილი ცნებები (სამეცნ., ისტ., ეგზოტ. და მისთ.), რომლებიც საჭიროებს ახსნას.

ექსტრალინგვისტურ ინფორმაციაში განსაკუთრებით ჭარბობს დენოტატიური ტიპის სიტყვები (ობიექტთა სახელები), რომელთა სემანტიკური კომპონენტები ასახავენ აღსანიშნი ობიექტის თავისებურებებს, თუმცა ასევე ხშირია ლექსიკა, რომელიც მისწრაფვის სიგნიფიკატური მნიშვნელობისკენ (ზმნები, ზედსართავი და აბსტრაქტული სახელები და სხვ.). თითქმის ყოველგვარი ობიექტი შეიძლება დახასიათდეს როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ პლანში. ამასთან დაკავშირებით ექსტრალინგვისტური ინფორმაცია ლექსიკონში შეიძლება ასახავდეს ობიექტის შემდეგ ასპექტებს: ისტორიას, სახესხვაობებს, აგებულებასა და თვისებებს, დანიშნულებასა და ფუნქციონირებას. ამ ნიშნების მიხედვით სიტყვების „შემოწმება“ ლექსიკოგრაფს უბიძგებს მოიძიოს და ლექსიკონში ჩართოს შესაბამისი შესიტყვებები, ახსნები, ციტატები. ცხადია, ამგვარი სამუშაოების ჩასატარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მასალებს, რაც შეიძლება გამოდგეს ლექსიკოგრაფიულ წყაროდ.

**საერთოკავკასიური სამეურნეო ყოფა (შენობა-ნაგებობები)**

◊ ს.-ქართვ. \*ბედ-ო/ბედ-ელ- „ბედელი“ (ქართ. ბედ-ო, ბედ-ელ-ი, ზან. ბად-უ „ბედელი“, სვან. ბანდ- ←\*ბანდ-უ „ბედელი; პურეულის შე-სანახი დიდი კიდობანი“);

◊ ს.-ნახ. \*ბმ-ოუ „საბრძოლო კომპი“ (იჩქ. ბმ-ოუ, ინგ. ვმ-ოუ ←\*ბმ-ოუ, ბაცბ. [ბმ-ოვ]);

◊ ს.-დალ. \*ბეტ-ო „ფარდული“ (ხუნდ. ბოტა, ანდ. ბეტჰი, ახვ. ბეტჰო, ჭამ. ბეტჰ, ტინდ. ბეტჰი, კარ. ბეტჰე, ბოთლ. ბეტჰი, ბაგვ. ბეტჰა, ლოდ. ბეტჰი; ჰინ. ბულ'ე, ხვარშ. ბულ'უ, ინხ. ბულ'უ, ბეჟ. ბულ'ო; ლაკ. ფაალ, დარგ. ბიდ);

◊ ს.-სინდ. \*ბაზ-ა „ციხე-სიმაგრე, ფარდული“ (აფხ. აბაა ←\*აბაჰა, აბაზ. ბაზა „ციხე-სიმაგრე“, ყაბ. ბაჯ „ფარდული“);

◊ ჰურ.-ურარტ. \*ბურდ- „კომპი“ (ურარტ. ბურდ-ანა „კომპი“);

◊ ს.-ქართვ. \*ცხუნ- „სხვენი; ჭერი“ (ქართ. სხუნენ-ი || სხვენ-ი, ზან. ცხვინ-ი || ცხვენ-ი || ცხონ-ი „სხვენი, ჭერი“, სვან. ცხუნენ „სხვენი“);

◊ ს.-ნახ. \*ცხარ- „ფარდული (შენობისა)“ (იჩქ. ცხარ, ინგ. ცხარ, ბაცბ. [ცხარ]);

◊ ს.-დალ. \*ცაჭური- „ბედელი; ფარდული“ (ხუნდ. ცადურ „ბედელი“, ხინ. ცუჭა „ფარდული (საქონლის)“, ჯ-სთვის შდრ. ძვ. ქართ. სჭუნენ-ი);

◊ ჰურ.-ურარტ. \*ცხარ-გ „დამხმარე შენობა“ (ჰურიტ. ი-ცხარგ „დამხმარე შენობა, სამზარეულო“).

◊ ს.-ქართვ. \*წალ- „წალო, განჯინა“ (ქართ. წალ-ო „განჯინა“, „მთხრებლის სახეობა“ (საბა), ზან. ჭა- სიტყვაში ინ-ჭა „ჭა“, სვან. ჭარ-არ „ჭები“);

◊ ს.-ნახ. \*წან- „სახლი, ოთახი“ (იჩქ. წა, მრ. წენ-ოშ, ინგ. წან — წენ-აშ, ბაცბ. წა — წენ-ბუჟ);

◊ ს.-დალ. \*წ(უ)არ- „სახლი“ (ხუნდ. წარა-ქი, ახვ. ჭარი-ქო „სახლი; ოჯახი (შინაურები)“, ლაკ. წა „სახლი“, ხინ. წუა „სახლი“);

◊ ს.-სინდ. \*ცუგ- „სახლი; სოფელი“ (აფხ. (ბზიფ.) ა-ცუ „სოფელი“, უბიხ. ცუგა „სახლი, ოთახი“).

◊ ს.-ქართვ. \*წუედ-ენ- „სვეტი; კედელი“ (ქართ. წედ-ენ-ი „სვეტის გვერდის მთლიანი ქვა“, ზან. (მეგრ.) ჭიდ-ა || ჭედ-ა ←\*ჭუდ-ა „ტიხარი“, სვან. ჭუანდ „კედელი“);

◊ ს.-დალ. \*წუე(რ)დ- „კომპი; ქვის ფიგურა“ (დიდ. ცილი „კომპი“, ლაკ. ჭუჰა "id"; დარგ. წედდ-ა „საფლავის ქვა“, თაბ. ჭურდ, აღ. წუდ, რუთ. წუდ, არჩ. წუთ „კომპი; ქვის ფიგურა; ქვის ან-ძა/სვეტი“).

◊ ს.-ქართვ. \*აგურ- „აგური“ (ქართ. აგურ-ი, ზან. (მეგრ.) ოგურ-ი, სიტყვაში ოგურ-ხინჯ-ი „აგურ-ხილი“ (ტობ.), ლაზ. ენგურ-ი ←\*ონგურ-ი „აგური“);

◊ ს.-ნახ. \*ანგ(უ)არ-ი „ფაიფური“ (იჩქ. ანგალი, ინგ. ანგალი „სარკე, ფაიფური“, ბაცბ. ანკრ-აცო ←\*ანგარ-აცო "id");

◊ ს.-დალ. \*ამგუა- „ფაიფური“ (ლეზგ. ჰამგა „ბროლი“, თაბ. ჰამგ, აღ. შაგუ-გ „ფაიფური, სარკე“);

◊ ს.-სინდ. \*ამგა- „სარკე“ (აღ. აფჩი ←\*აფქ, ყაბ. აბჯ ←\*აბგ „სარკე, მინა“).

◊ ს.-ქართვ. \*ქალ-ა „მცირე ნაგებობა; კარავი“ (ქართ. ქალა „კარ-ფანჯრის ჩარჩო“, ზან. (მეგრ.) ქოლო „კასრი“, სვან. (ზ. სვ.) ქელ „კარავი“);

◊ ს.-დალ. \*ქოლ-ა „კარ-მიდამო ნაგებობებით“ (ხუნდ. ქული || ქოლო, ანდ. ქული, ახვ. ქილა, ტინდ. ქილა, კარ. ქილე, ბაგვ. ქილა „კარ-მიდამო ნაგებობებით“);

◊ ს.-სინდ. \*ქალ-ა „ქოხი“ (აფხ. ა-ქალა, აბაზ. ქალა, აღ. ჩანლ ←\*ქალგ, ყაბ. ჩგლ ←\*ქგლგ „ქოხი“).

◇ ს.-ქართვ. \*ხალ- „ცხოვრება, სახლობა“ (ქართ. სა-ხლ-ი || სა-ხელ-ი „სახლი“, ზან. ო-ხორ-ი „სახლი“, ხორ- „სახლობა“, მა-ხორ-ჟ „მოსახლე“);

◇ ს.-ნახ. \*-ლხ- „სახლობა“ (იჩქ. ვა-ლხ-არ, ინგ. ვა-ლხ-არ „გადასახლება“, ბაცბ. ვა-ლხ-არ "id");

◇ ს.-დალ. \*ხალ- „სახლი; ფარდული“ (ხუნდ. ჰორ „ფარდული“, ჰამ. ხალ „სახლი“; ლეზგ. ხალ, თაბ. ხალ „სახლი“, აღ. ხალ, რუთ. ხალ, წახ. ხაჟ ←\*ხალ, კრიწ. ხალ, ბუდ. ხალ „სახურავი, სხვენი“, არჩ. ხალ „ბუდე“, ხალი „ოჯახი“).

◇ ს.-ქართვ. \*ყასრ- „ციხე-სიმაგრე; სამეფო სახლი“ (ძვ. ქართ. კასრ-ი, ზან. (მეგრ.) ცორშ-ი || ყორშ-ი „ციხე-სიმაგრე, კოშკი“, სვან. ყარშ (ტობ.));

◇ ს.-დალ. \*ყას-ი „საწოლი, თარო“ (დარგ. ყასი „საწოლი“, აღ. ყას, წახ. ყას, არჩ. ყას „თარო“);

◇ ს.-სინდ. \*ყაშ- „მცირე ნაგებობა (კარვისებური)“ (აღ. ვაშაშ, ყაბ. ყაშაშ).

◇ ს.-ქართვ. \*ბუძ- „თარო; ადგილი ძირდადგმული სახლის კარებთან“ (ქართ. ბუძ-ო || ბუძ-უ || ბუძ-ე, ზან. (ლაზ.) ბუჯ-ეჯ-ი, სვან. ბუჯ-ერ || ბეჯ-ერ „თარო“);

◇ ს.-ნახ. \*ბოჯ-ალ- „საჯინიბო, გომი“ (იჩქ. ბუოჟალ || ბუოჯალ „თავლა“, ინგ. ბიეჟალ || ბიეჯალ ←\*ბოჯალ „საჯინიბო“, ბაცბ. «ბოჯალ»);

◇ ს.-დალ. \*ბოჯ-ენ- „ბეღელი“ (ხუნდ. ბეჟენ „ბეღელი“; ჰინ. ბეჟ, ბეჟ. ბეჟ, ჰუნზ. ბეჟ „შემოკავებული ადგილ-ნაგებობა ცხვართათვის“).

◇ ს.-ქართვ. \*ლანძჟ- „ფანჯარა, ურდული“ (ძვ. ქართ. ლანძჟ-ი „ფანჯარა“, სვან. ლეჯჟრ-ან-ი ←\*ლეჯჟრ-ან-ი „ურდული“);

◇ ს.-დალ. \*ნაძჟ- „კარი; ფანჯარა“ (ხუნდ. ნუწა, ანდ. ჰინწაჟ, ახვ. იწაჟ, ჰამ. ჰინწაჟ, ტინდ. ჰინცაჟ, კარ. ჰინწაჟ, ბოთლ. ჰინწაჟ, ბავგ. ჰუნწა, ლოდ. ჰინცაჟ; დიდ. აც, ჰინ. აც, ხვარშ. აც, ბეჟ. აწც, ჰუნზ. გწცჟ; ლაკ. ნუზ, დარგ. უნცაა || უნძა „კარი“; თაბ. უნჯჟ „ფანჯარა“).

◇ ს.-ქართვ. \*შენ-/\*შინ- „შენება; შენობა“ (ქართ. შენ-ებ-ა, შენ-ი, შინ-ა „ხევსურული სახლის ქვემო სართული“, სვან. სვირ-ი || სკირ-ი „სვანური სახლის ქვედა სართული“);

◇ ს.-დალ. \*სინ- „მიწებება, დადება, დახურვა, დაკეტვა“ (ხუნდ. სედე-, ახვ. შინ-, ჰამ. სინ-, ტინდ. სინ-იჰ-, კარ. სინ-, ბავგ. სინჟ-, ლოდ. სინი; ლაკ. სინა, დარგ. და-სნ-ი; წახ. გა-სან, კრიწ. ვი-სნ-, არჩ. სუსაგ-ბოს).

## ნ უ გ ზ ა რ ც ე ც ხ ლ ა ძ ე

### ფლორონიმები შავშეთის ტოპონიმიაში

შავშეთის ტოპონიმიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებს.

შავშეთი ტყეებითა და მცენარეული საფარით მდიდარი რეგიონია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „შავშეთში იზრდება მრავალნაირი ხე, ბალახი, ყვავილები, ხეხილი. აქ ხილი კარგი იცის, ნამეტურ ყოლი (ბჟოლი) ... მოდის პური, სიმინდი, ქერი, ღომი, ლობიო (მეტად კარგი სცოდნია), კარტოფილი, ჰარხალი, მწვანილეულობა, ერთი სიტყვით, აქეთ კაცი რასაც დარგავს და დათესავს, ყველაფერი ხეირობს, გარდა ბრინჯისა“. (ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1993, 265, 267). უფრო ადრე, 1874 წელს, გ. ყაზბეგი წერდა: „შავშეთის ბუნება გაცილებით მდიდარია. მესაქონლეობა და მეხორბლეობა აქ შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს. შავშეთი აწარმოებს ხორბალს, რომელიც ბათუმის ბაზარზე ყარსისას სჯობნის. მიწის ზღაპრული ნაყოფიერების პირობებში შავშეთი შესაძლოა გახდეს ხორბლის წარმოების ცენტრი“ (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, 97).

რეგიონის მრავალსახეობიანი მცენარეული სახელები აისახა



ტოპონიმებში. არის შემთხვევები, როდესაც ტოპონიმად წარმოდგენილია პირდაპირ მცენარის სახელი. ე. ი. ადგილის სახელდება მოხდა მეტონიმის გზით მაგ; **მურყანი** ტყე (კუჭენი), **ლერწამი** სათიბი (მიქელეთი)...

ტოპონიმის ფუძედ აღებულია ხე-მცენარეული, კულტურული და ბალახ-მცენარეული სახელები:

**არყი** : **არყეთი**, სოფლ. უბანი (ზედა სულისი), **არყნალი** ტყე (წეთილეთი)...; **ასკილი** : **ასკილუანი** სათიბი (მანატბა)...; **ბალო** : **ბაღვანა** (← ბალოვანა) სოფელი (შავშეთი)...; **ბალსუკანა** სათიბი (მაჩხატეთი), **ბალთახეველე** დეღე (ჩიხორი), **დიდბლიზირი** (← დიდი ბლის ძირი) სათესი (ხევწრული)...; **ბზა** : **ბზათა** სოფლ. უბანი (წყალსიმერი); შდრ. ზვანი — სოფელი ვანის რაიონში. **ვაშლი** : **ვაშლათ** სათიბი (ჭუარები), **ვაშლთაყანა** სათესი (ახალდაბა)...; **ვენახი** : **ვენახები** სათესი (სვირევანი)... ამჟამად ვაზი გაშენებულია შავშეთ-იმერხევის დაბლობ ადგილებში, უმეტესად მდინარეთა გასწორვ მდებარე სოფლებში. მუსლიმანური რელიგიის გავრცელებამდე ეს კულტურა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ამას ადასტურებს სხვადასხვა სოფლებში (ტბეთი, წითვეთი, იფხრეველი...) დღესაც შემორჩენილი ქვის საწნახლები. **ვერხვი**: **ვერხვინალი** სოფ. (შავშეთი), **ვერხვანლა** ტყე (ხევწრული)...; **თელა** : **თელაწყარო** წყარო (უბე)...; **თუთა**, იგივე ბუოლი || ბუოლა (შავშეთის სოფლები ცნობილია ამ კულტურით „კულტურული მცენარეულობიდან აქ კარგად ხარობს თუთის ხე“ — წერდა გ. ყაზბეგი) : **თუთიდლე** დეღე (ჩიხვა)...; **კატარი** : **კატართ** სათიბი (ჭინალი), **კატრუანი** ტყე (წყალსიმერი), **კატეროვანი** ტყე (სვირევანი)...; **ლეკის** ხე : **ლექნართი** სათიბი (ზაქიეთი), **ლექთუკანა** ტყე (უბე)...; **მსხალი** : **მსხლობანი** სოფელი (შავშეთი), **სხალფილა** სოფ. უბანი (სვირევანი), **მსხალნარი** სათიბი (ხევწრული), **მსხალნარიდეღე** დეღე (ხევწრული), **სხალთნამწური** სათიბი (იფხველი)...; ადგილობრივ მსხლის მრავალი ჯიში ხარობს, მათგან ერთ-ერთი კუტალა მსხალია, რომელიც ფუძედ უდევს რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს: **კუტალეთი** სოფ. უბანი (სვირევანი), **კუტალიზირი** (← კუტალიძირი, კუტალის ძირი) სათესი (მანატბა), **კუტალები** სათესი (ხევწრული). ველურ ანუ ტყის მსხალს აქ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პანტა ჰქვია. დასტურდება

ტოპონიმი **პანტის სერი** მთა (ივეთი)...; **მუხა** : **მუხნერ** (← მუხნარი) ტყე (ზ. სულისი), **მუხობანი** სოფელი (შავშეთი)...; **ნიგოზი** : **ნიგოზირა** (← ნიგოზირა ← ნიგოზის ძირა ← ნიგოზის ძირი) სათიბი (წყალსიმერი)...; **ტყემალი** : **ტყემლიზირი** (← ტყემლიძირი ← ტყემლის ძირი ← ტყემლის ძირი) სათიბი (ხევწრული)...; **ასლო** — „არც ერთ სხვა ენაში ხორბლეულის ამ ჯიშს ასეთი სახელი არ ეწოდება და ამის გამო ეს ტერმინი ნამდვილ ქართულ სიტყვად უნდა გცნათ“ — წერს ივ. ჯავახიშვილი (საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, ტფ., 1930, 338). **ნასლევი სათიბი** (დიობანი)...; **იფქლი**: „შავშეთის ფრიად მომცემ ბარში უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი (იფქლი)“ — წერდა გაზეთი „ივერია“ 1877 წელს, №18, გვ. 8 (ავტორი პეტრე უმიკაშვილი). შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა დანარჩენ კუთხეებში ნათეს ხორბლეულს (პურს, ქერს, ჭვავს) ძვალთესლურს ეძახიან, ხოლო შემოდგომაზე ნათესს — იფქლს, რომელიც ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში და აღნიშნავდა შემოდგომის ხორბლეულს, ან საერთოდ პურეულს. საკვლევ რეგიონში იფქლ-ი ძირისგან რამდენიმე გეოგრაფიული სახელი არის ნაწარმოები, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ პურეულის ეს ჯიში აქ საკმაოდ გავრცელებული იყო. **იფხრანა** (← იფხრანა) სათიბი (მაჩხატეთი), **იფხრეველი**...; იფხრეველი ერთ-ერთი დიდი სოფელია იმერხევიში. „იფხრეული“ || „იფხრეველი“ „იმერხეულის“ (იქითა მხარის) სახენაცვალ ფორმად მიაჩნია ი. სიხარულიძეს (ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988 № 51). ვფიქრობთ, ტოპონიმის ამოსავალი ფუძე არის იგივე იფქლი. ანალოგიური ძირისაა ტოპონიმი იფხრევანი საძოვარი (სინკოთი)...; **ხელი** : **ხელავრი** სათიბი (იფხრეველი), **ნასელვარი** სათესი (ბაზგირეთი), **ხელი** : **ხვირევანი** (← ხვირევანი) სოფელი (იმერხევი)...; **ქერი** : **ქერეველა** სათიბი (წეთილეთი), **ქერიყანა** ტყე (მორღელი)...; **ჭილი** : **ჭილიეთი** საზამთრო სადგომი (ტბეთი), **ჭილაური** საძოვარი (სხლობანი)...

ფლორონიმებია საკვლევ რეგიონის გეოგრაფიული სახელები: **ბარდეთი** სათიბი (ჭინალი), **ბრინჯვალი** სათესი (წეთილეთი), **ბაზგირეთი** (← ბაძგირეთი) სოფელი (იმერხევი), **ნაოსპარი** სათესი (ხევწრული) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მცენარეული სახელები ფართოდ არის

წარმოდგენილი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. გვხვდება როგორც ხე-მცენარეული, ასევე კულტურული და ბალახეული მცენარეებისაგან მომდინარე ტოპონიმები.

## ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### ფუტკ-, ფუნკ- ფუქეთა წარმომავლობისათვის

1. „დაწვის“ მნიშვნელობით ძველ ქართულსა და ქართულის ენის რიგ დიალექტში დასტურდება სხვადასხვაფუძიანი სიტყვები:

**ფუტკ-**: განფუტყვა „დაწვა“ ნუუკუე მეხისტეხამან განგკაფოს, ანუ ელვამან განგფუტყოს [A=92 222r, 21-22].

**ფუნტკლ-**: გადაფუნტკლავს „გადაბუგავს, გადაწვავს, ცეცხლს წაუკიდებს“ (რაჭული).

**ფუტკრ-**: გადაფუტკრავს „გადაწვავს“ (იმერული).

ზემოაღნიშნული ფუძეების ამოსავლად მიგვაჩნია **ფუტკ-**, რომელიც, ჩვენი აზრით, საერთოქართველური წარმომავლობისაა და შეესაბამება სვანურის **ფუტკ-** || **ფუთკ-** ფუძეს. **ფუთკუნირდ**, **ფუტკუნირდ** **ლიჩედ** — გადაბუგვა, ფერფლად ქცევა. ეჭ ჯორ ფუტკუნირდ აჩად (ლშხ.) — ის სახლი დაიფერფლა).

ძველი ქართულის **ფუტყ-**, დიალექტური **ფუნტკლ-**, **ფუტკრ-** ვარიანტები კი **ფუტკ-** ფუძის ფონეტიკური ცვლილების შედეგად უნდა მიგვედო.

2. ქართული ენის რიგ დიალექტში (ქიზიყური, ინგილოური, აჭარული, იმერხ.) **ფუნკ-** || **ფუნგ-** ფუძიანი სიტყვები ნიშნავს „დაშლას, გაფუჭებას, არეგ-დარეგას“. ჩვენებიანთ ხუროი ურემ ხან აგებს და ხანა ფუტკავს (ქიზიყური). ვინ აფუტგა აქატრობა რა გიქნიან ეს, სულ ტარმატალინი გიგინდიან! (აჭარული).

ფიქრობთ, რომ **ფუნგ-** (← **ფუნკ-**) კ-ს გამჟღერების შედეგია.

**ფუნკ-** კი შეესატყვისება უ → ი პალატალური უმლაუტის შედეგად

მიღებული სვანურის შემდეგ გამოთქმაში დადასტურებული **ფინკ-ფინკ'უ'ილდ ლიგნე** — ნანგრევებად ქცევა; დაქუცმაცება, დამსხვრევა. ფინკუილდი ლგუნდა იცხრანში (პოეზ. 224) — მტვერი იდგა მსხლის ფქვილისა (ნამცეცებად ეყარა მსხლის ფქვილისაგან გაკეთებული ნამცხვარი).

## ნ ი ნ ო ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა

### საქორწილო სუფრა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი სამურზაყანოში

სამურზაყანოში ერთდღიანი ქორწილი იცოდნენ. დამით იმართებოდა ნადიმი, რომელიც გამოენიისას უნდა დასრულებულიყო. საქორწილო სუფრას ემსახურებოდა **დუდკოჩი** (თავკაცი), რომელსაც ოჯახი ირჩევდა. მის მოვალეობას სუფრისთვის თვალის დევნება წარმოადგენდა. იგი პასუხს აგებდა ყოველგვარ წვრილმანზე (სუფრის გაწყობა-გალამაზებით დაწყებული სტუმარ-მასპინძლების მიერ სუფრასთან ადგილის დაკავებით დამთავრებული). მას ემორჩილებოდა სუფრის ყველა მოსამსახურე, მიმტანი და მერიქიფე. ნადიმის დაწყებამდე სტუმარ-მასპინძელს იგი იარაღს ჩამოართმევდა და ოჯახის უფროსს ჩაბარებდა. წარსულში სუფრასთან იარაღით ჯდომა მიუღებლად ითვლებოდა. ეს წესი XX საუკუნის II ნახევრამდე მოქმედებდა. ყველა სტუმარი და მასპინძელი ვალდებული იყო თავისი იარაღი ოჯახის უფროსისთვის ჩაებარებინა, რასაც იგი სუფრის დასასრულამდე ინახავდა. იარაღის ჩამორთმევა სტუმარმასპინძლობის უძველეს ტრადიციას წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფიქსირდება (მოწერელია 1984, გვ. 26).

სამურზაყანოში სუფრასთან დაცული იყო სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი. სუფრის ერთ მხარეს, მარცხნივ, ისხდნენ ქალები, მეორე მხარეს კი, მარჯვნივ, — მამაკაცები. სუფრასთან ჯდომის მსგავსი პრინციპები საქართველოში არსებობდა V საუკუნეშიც, როცა დედაკაცს არ ჰქონდა მამაკაცთან „პურის ჭამის“

უფლება (ცურტაველი 1964, გვ. 37). არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ქალები და კაცები სუფრასთან ცალ-ცალკე სხედან“ (ლამბერტი 1938, გვ. 48). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს პატრიარქალური ოჯახისათვის დამახასიათებელ წესთან, რომელმაც დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა.

სუფრაზე ლხინის დაწყებისას ორ-სამ სადღეგრძელოს არყით დაღვედნენ. ამას **გილახვამა** (ურთიერთგაცნობის სადღეგრძელო) ეწოდებოდა. **გილახვამა** ორი სიტყვისაგან შემდგარი ზმნაა. **გილ** ართული ზმნისწინია და აღნიშნავს მიმართულებას („მიმო“), ხოლო **ხვამა** არის ლოცვა (ქაჯაია 2001, გვ. 329). ამდენად, **გილახვამა** ნიშნავს „მიმოლოცვას“. ამ დროს მასპინძელი სტუმართან ალავერდს გადადიოდა.

თამადად ირჩევდნენ სუფრის წესრიგის კარგად მცოდნეს და ნადიმის ხელმძღვანელობის უნარის მქონე გამოცდილ ადამიანს, რომელსაც სასმელის გარკვეული რაოდენობის მიღება და ატანა შეეძლო. თამადა აირჩევა ქალის მშობლებისა და მასწავლებლის უფროსის მიერ შერჩეულ მოადგილეს, რომელიც აუცილებლად ქალის მასწავლებლად უნდა ყოფილიყო. თამადის მიერ არჩეულ პიროვნებას საქორწინო სუფრაზე **მოპასუხე II ბილბაში** ეწოდებოდა.

ტერმინი **თამადა** ქართულ ყოფაში დღეს საყოველთაოდაა გავრცელებული და ნიშნავს სუფრის უფროსს, სადღეგრძელოების მთქმელს. ს. ჯანაშიას აზრით, ეს სიტყვა კავკასიურ ენებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება და ნიშნავს მამასახლისს, ამორჩეულს, სუფრის უფროსს (ჯანაშია 1968, გვ. 136). თ. იველაშვილის დაკვირვებით, თამადა სუფრის უფროსი იყო. ამ სიტყვის დამკვიდრების დროდ საქართველოში მას XIX საუკუნე მიაჩნია (იველაშვილი 1995, გვ. 13). ნ. აბაკელია წერს: „თამადა, ცნობილი ქართველოლოგის კ. შმიდტის აზრით, ჩერქეზული სიტყვაა და ნიშნავს „მამა უფალს“ (აბაკელია 1997, გვ. 146). ტერმინ „თამადის“ სადაურობისა და ქართულ ყოფაში მისი დამკვიდრების შესახებ საინტერესო შეხედულებას ავითარებს გ. გოცირიძე, რომელიც ამ სიტყვას სპარსულიდან შემოსულად მიიჩნევს. თამადობის ინსტიტუტი ძველია და წარსულიდან მოდის (გოცირიძე 1999, გვ. 65).

თამადის პარალელურად სამურზაყანოში გამოიყენება ტერმინი

**ტოლბაში**, რომელსაც იგივე აზრობრივი და ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. „ტოლუმბაში თურქული სიტყვაა და ტიკის უფროსს ნიშნავს. იგი იმავე მნიშვნელობისაა, რაც თამადა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1960, გვ. 316). თამადისა და ტოლუმბაშის შესახებ თავისი მოსაზრება ჰქონდა ზ. ჭიჭინაძეს. „თამადა და ტოლუმბაში ერეკლე II-ის დროს დამკვიდრებულია. მასთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრები — ყაენის შვილები და მათ საპატივცემულოდ იმართებოდა სუფრა. შეკრებილი წარჩინებულნი ამოირჩევდნენ სუფრაზე ყველაზე კარგ მსმელს, დასვამდნენ მუთაქაზე. პირველად მას უნდა დაეღია აზარფემა და საჭმლის გემოც მას უნდა გაესინჯა. აქედან არის წარმომდგარი **თავი-მადა**. ტოლუმბაშიც იმიტომ დაერქვა, რომ ასევე ზემოხსენებული პირი იყო **ტოლების თავი**, ანუ სპარსულად „ბაში“. (მაწმინდელი 1878, №19). ტერმინი **ტოლუმბაში** მთელ საქართველოშია გავრცელებული, თუმცა იგი უფრო მეტად დომინირებს მეგრულში.

**ბილბაში** მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ყოფაში დასტურდება. იგი თურქული სიტყვაა და ნიშნავს თამადის მოადგილეს, შემწეს (Магазаник 1945:76). სამეგრელოში **ტოლუმბაშისა** და **ბილბაშის** გავრცელების მიზეზი თურქეთის გავლენით აიხსნება.

ტოლუმბაშისა და ბილბაშს ერთი კვირით ადრე აფრთხილებდა ოჯახის უფროსი. თამადა მთელი კვირის განმავლობაში მარილიან მჭადს ჭამდა, რომ მოწყურებოდა და ბევრი ღვინო დაეღია. ტოლუმბაშს სუფრაზე **ნახვაწა**-ს („ლომის ქერქს“) დაუდებდნენ, რომელიც, რესპოდენტთა გადმოცემით, ხელს უწყობდა მსმელს ღვინის დაღვევაში. თუ ვინმე დროზე ადრე, ლხინის დამთავრებამდე, ადგებოდა სუფრიდან, მას აჯარიმებდნენ და ერთი სასმისით მეტს ასმევდნენ, რასაც **ონტყოლაშურ**-ს („ნატალახარს“) უწოდებდნენ. ტოლუმბაშისა და ბილბაშის ლხინიდან ადრე წასვლა დარჩენილის გამარჯვებას ნიშნავდა. როგორც ვხედავთ, მეგრულ სუფრაზე ღვინის სმაში ნამდვილი პაექრობა იმართებოდა. ყველაზე მეტი ღვინის დაღვევა გამირობის ტოლფასი იყო. ტოლუმბაში, ქართული სუფრის ტრადიციისამებრ, ორ-სამ სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, რომლის შემდეგ ნეფე-პატარძალი უნდა ედღეგრძელებინა. ამ დროს იგი მოითხოვდა სეფაში შემოეყვანათ ახალდაქორწინებულები, რათა თავიანთი კუთვნილი ად-

გილი — **სახათეცო კუნთხუ** დაეკავებინათ.

სუფრაზე სადღეგრძელოების სამი წყება იცოდნენ. ერთ წყებაში რამდენიმე ჭიქა შედიოდა, ხოლო მეორე და მესამე წყებას სადღეგრძელოების რაოდენობა ემატებოდა. ტოლუმბაში თუ ვერ შემორჩებოდა ღვინს, მაშინ სუფრას ბილბაში გაუძღვებოდა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ტრადიციულად ტოლუმბაში მისთვის განკუთვნილ ყველა სადღეგრძელოს წარმოთქვამდა და დალევდა. შემდეგ ბილბაშიც რამდენიმე სადღეგრძელოს იტყოდა და ბოლო ჭიქით პატივისცემისა და სუფრის კარგად გაძღოლისათვის თამადას ადღეგრძელებდა. თუ თამადა და ბილბაში ფუნქციებს თავს კარგად გაართმევდნენ, მაშინ თამადას, საქორწილო სუფრის ტრადიციისამებრ, ქორწილში დაკლული საქონლის თავი, ხოლო ბილბაშს — ბეჭი ეკუთვნოდა. ერთ-ერთის დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულს რჩებოდა საქონლის თავიც და ბეჭიც. დასავლეთ საქართველოში წესად იყო სუფრაზე საქონლის მოხარშული ბეჭის მიტანა, რასაც თან ახლდა შესაბამისი საწებელიც, რომელიც სუფრის ხელმძღვანელებისათვის საგანგებოდ მზადდებოდა (ჯაიშელი 1884, გვ. 156). ლამაზად მორთული საქონლის მოხარშული თავი და ბეჭი თამადასა და ბილბაშის წინ იდო.

სუფრა სრულდებოდა **ოლურ-კულა**-თი, ანუ „წასასვლელი თასით“. **ოლუ** ზანურში ნიშნავს გზას (Кипшидзе 1914:429). **კულა** ხის პატარა თასი იყო, ცოტათი განსხვავებული იმ სასმისისაგან, რომლითაც ღვინოს მიირთმევდნენ. „ოლურ კულას“ სიმღერას ქალის მაცრები წამოიწყებდნენ. ამ დროს სადღეგრძელოს შეუსმელობა სირცხვილად ითვლებოდა.

სამურზაყანოში საქორწილო სუფრა გამთენიისას უნდა დასრულდებულყო. **ბილბაში** სადღეგრძელოებს დილაამდე დაამთავრებდა, რადგან მას ჯერ კიდევ ხის ტოტზე მჯდარი დედალი თოფის ერთი გასროლით უნდა ჩამოეგდო და ოჯახის დიასახლისისათვის მიერთმია.

## ცირა ჯანჯღავა

### მეგრული შური „სული“ დერივატებსა და კომპოზიტებში

**შური** „სული“ მეგრულში ფართოდ არის გამოყენებული დერივატებსა და კომპოზიტებში.

აღნიშნული სიტყვისაგან გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ნიმუშები.

პრეფიქსად **ნო-** || **ნა-** გამოიყენება:

**ნო-**შური || **ნა-**შური „დასუნთქული (გველის პირშებულთი)“

სუფიქსურ წარმოებაში გვხვდება **-ამ**, **-ეთ**, **-ელ**, **-ო** სუფიქსიანი დერივატები.

**-ამ**: შურ-**ამ**-ი „სუნიანი“ (აქედან **-ია** სუფიქსით: შურამ-**ია** „ხემყრალი“)

**-ეთ**: შურ-**ეთ**-ი „საიქიო“

**-ელ**: შურ-**ელ**-ი „დასუნთქული“

**-ო** შურ-**ო** „სულა(ც)არ...“

საკმაოდ ხშირია **შურ-** ფუძისაგან პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება.

**ო** — **ე** || **ო** — **ეთ**: **ო-**შურ-**ე** || **ო-**შურ-**ეთ**-ი „საიქიო“

**მა** — **ალ** : **მა-**შურ-**ალ**-ი „დამსუნთქველი“

**ნა** — **ა** || **ნა** — **ე**: **ნა-**შურ-**ა** || **ნა-**შურ-**ე** „დასუნთქული“

**უ** — **ე**: **უ-**შურ-**ე** „უსულო; უსუნო“

ყურადღებას იქცევს **შურ-** ფუძისაგან სხვადასხვა აფიქსებით ნაწარმოები ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები (სინონიმები): **ნო-**შური || **ნაშური** || **შურელი** || **ნაშურა** || **ნაშურე** „დასუნთქული“ და **შურეთი** || **ოშურე** || **ოშურეთი** „საიქიო“.

როცა **შურ-** ფუძე კომპოზიტის პირველი კომპონენტია, მეორე კომპონენტი შეიძლება იყოს არსებითი და ზედსართავი სახელები, უფრო ხშირად — ნაზმნარი სახელები:

**შურ-**გური „სული და გული“ (**შურ-**გურით „სულით და გულით“); **უ** — **ე** ცირკუმფიქსით: **უშურგურე** „უსულგულო“.

**შურ-**კუნტა „სულმოკლე“

შურ-გოტებული „სულწასული“

შურ-მალაფუ „მომაკვლავი“

შურ-სანთხო „სუნამო“

შურ-უბუმუ „სულგაკმედილი“ და სხვა.

საინტერესოა, რომ მეგრულ დიალექტში, საკუთრივ მეგრული შურ-ის გვერდით, ქართული დიალექტური წრიდან შეთვისებული სუნ-იც გვხვდება სიტყვაში **სუნთობა** || **სუნთაობა** „მიცვალეხულის მოხსენიების დღე“: შდრ. დიალ. **სულთაობა** იმავე მნიშვნელობით (მეგრულში **ლ** → **ნ** არაბუნებრივი **ლთ** კომპლექსის სუბერაციის შედეგად).

## ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

### „აქედან / იქიდან გამომდინარე“ ფორმათა უმართებულო ხმარების გამო ქართულში

თანამედროვე ქართულ ზეპირ მეტყველებასა (კერძო საუბარი, ტელე და რადიოგადაცემები) თუ ბეჭდვით მედიაში ხშირად გვხვდება „აქედან / იქიდან გამომდინარე“ ფორმები, რომლებმაც ხმარებიდან გამოდევნა:

1. ამის/იმის გამო;
2. ასე რომ;
3. ამიტომ/იმიტომ, (რომ);
4. რადგან, რადგანაც;
5. ვინაიდან;
6. მაშასადამე და სხვა;

მაგალითები:

- ეს საკითხი **იქიდან გამომდინარე** არის მნიშვნელოვანი... (უნდა იყოს: **იმის გამო; იმიტომ** და სხვა);
- მას მოძღვარს ვეძახდით, **იქიდან გამომდინარე**, რომ... (უნდა იყოს: **იმიტომ, რომ** და სხვა );
- მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **აქედან გამომდინარე**

ჩვენც უნდა გავჩერდეთ? (უნდა იყოს: **ამიტომ** და სხვა);

- ჩვენ ბევრი რამ უნდა ჩავგეტვირთა, **იქიდან გამომდინარე**, რომ მანქანა მხოლოდ ორი საათით გვათხოვეს; (უნდა იყოს: **ვინაიდან** და სხვა);
- **იქიდან გამომდინარე**, რომ ანაბეჭდები ვერ აღმოვაჩინეთ... (უნდა იყოს: **რადგანაც** და სხვა);

მოხსენებაში წარმოდგენილია რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## მ ა რ ი ნ ა ჯ ლ ა რ კ ა ვ ა

### ო—უ აფიქსები მეგრულსა და ლაზურში

მეგრულშიც და ლაზურშიც **ო—უ** აფიქსებით გაფორმებული ზმნური ძირები გვხვდება. მეგრულში **ო—უ** ვნებითის მაწარმოებლებია, სადაც **ო-** საკუთრივ ვნებითი გვარის ნიშანია (ქართული ე-ს შე-სატყვისი), **-უ** კი — თემის ნიშანი.

- ო-ჩქარ-უ** — ე-ჩქარ-ებ-ა
- ო-ნატრ-უ** — ე-ნატრ-ებ-ა
- ო-ნდ-უ** — ე-ნდ-ობ-ა

ასეთი წარმოების ვნებითი ლაზურშიც არის (მაგ., **ო-ხვეწ-უ-ნ** — ეხვეწება), თუმცა **ო-** პრეფიქსიანი პასივის ფორმები აქ ძალზე ცოტაა.

**ო—უ** აფიქსები ლაზურში მასდარს აწარმოებს:

- ო-ტკოჩ-უ** — სროლა
- ო-ქაჩ-უ** — დაჭერა
- ო-ღარღალ-უ** — ლაპარაკი, საუბარი

**ო—უ**-თი ნაწარმოები მასდარები მეგრულშიც გვხვდება. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ჭანურისებურ მასდარებს მეგრული იყენებს გარკვეულ გამოთქმებში: ვოხვარუქ თეში **ოჭარუს**, **ოქიმინუს**, **ოჭკი-რუს** — ვშველი ამის **წერაში**, **ქმნაში**, **ჭრაში**... მიდართუ ოგორუმა — წავიდა საძებრად („ძებნად“).

მეგრულში **ო-** ქართული **სა-** პრეფიქსის შესატყვისია: აწარმოებს დანიშნულების სახელებს (**ო-ქოთომ-ე** — **სა-ქათმ-ე**, **ო-რზ-ოლ-ი** — **სა-გზ-ალ-ი**) და მომავალი დროის მიმღობას (**ო-ჭარ-ალ-ი** — და-**სა-წერ-ი** || **სა-წერ-ი**, **ო-ძირ-აფ-ალ-ი** — სა-ნახ-ავ-ი...).

**ო-** პრეფიქსის იგივე ფუნქცია ლაზურშიც დასტურდება:

**ო-ნჯიე** — **სა-წოლ-ი**

**ო-ნცირუ** — **სა-ცერ-ი**

**ო-ნინამუ** — საცეხველი

ისევე, როგორც ქართულში ს-, სი-, სა-, მეგრულსა და ლაზურში **ო-** აწარმოებს სახელზმნებს.

რაც შეეხება **-უ** სუფიქსს, ის თემის ნიშანია (შდრ., კეთ-ებ-ა, ტკბ-ობ-ა, თრ-ევ-ა...), რომელიც მეგრულში მასდარის მაწარმოებელ -ა-ს დაირთავს, ლაზურში კი — არა. შდრ.:

მეგრ.            ლაზ.            ქართ.

ქოს-უ-ა        ო-ქოს-უ        ცოცხვ-ა

ლარ-უ-ა        ო-ლარ-უ        ღარ-ვ-ა (და-ღარ-ვ-ა)

ყინ-უ-ა        ო-ყინ-უ        ყინ-ვ-ა

მასდარის მაწარმოებელი **-ა** სუფიქსი, — აღნიშნავს არნ. ჩიქო-ბავა, — მეგრულს ქართულიდან აქვს შეთვისებული და აქა-იქ ჭანურშიც გვხვდება (თქუალ-**ა** — თქმა, შურინ-**ა** — შიში, თანაფ-**ა** — თენება).

მეგრულშიც და ლაზურშიც **ო-უ** აფიქსებს წარმოშობა ერთნაირი აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძირითადად სხვადასხვა მორფოლოგიურ ერთეულებს აწარმოებენ (მეგრულში — ვნებიტს, ლაზურში — მასდარს).